

ეთერ რეხვიაშვილი

ჩემი მოგონებები

რაჭაზე
მონაგარზე
დიდ ზვიაღზე
სხვადასხვა

ჩემი მოგონებები

რაჭაზე

მონაგარზე

დიდ ზვიადიზე

სხვადასხვა

UDC (უპაკ) 821.353.1-94
რ-522



© გამომცემლობა „ზენაარი“
თბილისი, ზანდუკელის 1,
ტელ.: 5 99 343 727; (032) 298 48 07;
ელფოსტა: zurkob@gmail.com
ვებგვერდი: zenaari.ge

ISBN 978-9941-9812-9-6

დავიბადე 1940 წლის 10 იანვარს ამბროლაურის რაიონის სოფელ ურავში, ე. ი. ქვემო რაჭაში. ვინაიდან ექიმები არ იყვნენ ურავში, ამშობიარა დედაჩემი ბებია ქალმა მაშიკომ (ასე ვიცი უფროსი და-ძმებისაგან). ის მაშიკო მეც მახსოვს, ჩალაძე იყო გვარად. დავიბადე თურმე დიდ ზამათარში. ბუნხართან დამბანეს ღვინოშერეულ წყალში მცივანა არ იქნებაო (ასეთიცა ვარ). ძალიან ვუნდოდი ჩემს და-ძმებს ბიჭი, მაგრამ გავჩნდი გოგო. ჩემი უფროსი და ფედოსი გათხოვილი იყო და შეილიც ჰყავდა მ თვის, მე მუცელშივე დეიდა ვიყავი. დედაჩემი მეტყოდა, ისე ამყევი, სანამ არ გაინძერი მუცელში, არც ვიცოდი თუ ორსულად ვიყავიო. მერე ველარ მოგიცილეო. თან დავიმტვერი და ლოგინში გაკრული ვინეკი, ხერხემალი მქონდა დაზიანებული. შენ არ იძროდი მუცელში და მკვდარი გვეგონე ყველასო. ყავარჯნებით დავდიოდი ძლივძლივობით და შენ ვის ახსოვდიო. მამაშენი იძახოდა, ეგ იქნება სიბერეში ჩვენი პატრონიო. მე სამი თვის ვყოფილვარ, მამა რომ გარდაცვლილა, ფილტვების ანთებით. ძალიან ლამაზი, ვაჟკაცი მამა მყოლია. მთელი ცხოვრება მის სიკეთეზე, კარგ სულზე და გულზე მესმოდა ლაპარაკი. ამიტომ გვეამაყება ჩემს და-ძმებს ჩემი დედ-მამა.

რაც თავი მახსოვს, ე. ი. 9 წლამდე, ურავში ვიზრდებოდი. დიდი ორსართულიანი სახლი გვქონდა. ხილიანი ეზო, ეზოში წყარო (ეს მარტო ჩვენს ეზოში იყო). გვყავდა ძროხები, ღორები, ფრინველი. დედაჩემი ქრისტინე ცდილობდა ობლობა არ გვეგრძნო. მე ყველაზე ნაბოლარა ვიყავი, 12 წელია ჩემი წინა ძმასა და ჩემს შორის განსხვავება (ხო, ვთქვი, შემთხვევით გაჩენილვართქო). დედა ყოჩადი, მშრომელი ქალი იყო. მას მხარში ედგა ჩემი და საშა, რომელიც დღე და ღამეს ასწორებდა დედასთან ერთად იმ ბნელ დროში. გაჭირვება რომ არ გვეგრძნო, თუმცა, ბევრჯერ გვშიოდა კიდეც. მაგრამ სხვებში „კაციან ოჯახებზე“ უკეთ მიანც ვცხოვრობდით.

მე რვა წლის შემეყვანეს ურავის ოთხწლიან სკოლაში. პირველი მასწავლებელი იყო სევარა (სევარიონი) გოგრიჭიანი, კარგი ადამიანი. სულ მეფერებოდა, ვეცოდებოდი, ობოლი რომ ვიყავი. ჩემი ძმები კაკო და ვაჟა მეზობელ სოფელში ლიხეთში სწავლობდნენ, სადაც ჩემი და ფედოსი იყო გათხოვილი.

მე ბავშვობიდან ძალიან ეშმაკი ვიყავი. რაც მახსოვს, მინდა დავწერო, რომ ჩემმა შვილიშვილებმა ნაიკითხონ და გაიგონ მათი ბებია როგორ და რა პირობებში იზრდებოდა. ბავშვობიდან როგორი მიზანდასახული ვიყავი და რას მივაღწიე.

რაც მახსოვრობა მაქვს თვალწინ მიდგას ურავის ლამაზი ბუნება. მისი ტყე-ველი, მდინარე გუგუშურა, პატარა ღელე, რომელსაც „ხორიღელეს“

ვეძახდით. სოფლის წყარო, რომელიც სოფლელი ქალების თავშესაფარი სანახშო ადგილი იყო. აქ ირჩეოდა სოფლის ავ-კარგი. ჩემი პატარა ლამაზი სოფელი იყოფოდა რამოდენიმე უბნად. ასე, მაგალითად, „ოტიანახულევი“ (ალბათ, ოდესღაც, ვინმე ოტიას ხულა ედგა ამ ადგილას), „ჩასავალა უბანი“, ჩვენ სადაც ვცხოვრობდით, „ბასუკენთები“, რომელიც ცოტა დამცინავად მოიხსენიებოდნენ. თვითონ სახელწოდება ურავი როგორც დიდობაში გავიგე წარმომდგარა რუსული სიტყვიდან „ურანი“, აქ ხომ ბევრი სხვადასხვა ნიაღისეული მოიპოვება. მაგალითად, მსოფლიო მნიშვნელობის ნიაღისეული „მიშიაკი“ — დარიშხანი, რომელიც აღმოაჩინა განთქმულმა მონადირემ მიხეილა რეხვიაშვილმა მაღალ მთებში, კერძოდ, „უხტნულრში“ ჩამოჰქონდათ ბარში და ამუშავებდნენ „ხიმრუდაში“, „Химичкская руда“. სოფლელები კი ამ ადგილის „წარმოებას“ უძახდნენ. ალბათ, იმიტომ, რომ აქ ხდებოდა წარმოება-გადამუშავება დარიშხანის. სწორედ ამიტომ ამ პატარა დასახლებაში ცხოვრობდნენ რუსები, თავის დროზე გერმანელები, რომლებიც ეხმარებოდნენ, ასწავლიდნენ მოპოვებას და გადამუშავებას ამ მსოფლიო მნიშვნელობის მადნისას. სწორედ ამ წარმოებაში „ახრანის“ დაცვის უფროსად მუშაობდა ჩემი ლამაზი მამა — რომანოზი. „ხიმრუდის“ ირგვლივ „ჯელაძეების“ უბანი იყო. ასე რომ ურავი იმდროიდანვე განთქმული იყო დიდ სსრკ-ში, თვით გერმანიაში. პოლონეთსიც. ალბათ, სხვა ქვეყნებშიც. ეს ჩემზე უკეთ ეცოდინებათ იმ ადამიანებს ვინც მოღვაწეობდნენ იმ წარმოებაში, როგორც ვიცი, ახლაც მოქმედა.

მე მინდა ვთქვა ის, რაც ბავშვობის მეხსიერებას შემორჩა ჩემში, ურავში არის უნიკალური მჟავე წყლები, ტალახი, რომელიც კურნავს ათასნაირ დაავადებებს, იყო აბანოებიც „პირველ მჟავეწყალთან“, ალბათ, ისევ უცხოელმა ააშენა, იყო კუჭის „ნავიხურევის“ სახელწოდებით. ამოქუხდა მინიდან, ოდნავ მახსოვს. იყო სასუნთქ-ბრონხების, ბუასილის, სახსრების, რა აღარ იყო, მინახავს ფეხებზე ნასმული ტალახი ქალსა თუ კაცზე, რა თქმა უნდა, ეს წყლები ახლაც არის, იქნებ ვინმე პატრონი გამოუჩნდეს, რომ ხალხის საკეთილდღეოდ გააკეთონ. მახსოვს დიდი დღესასწაული „მჟავეწყლობა“ იმართებოდა იმ ადგილას, სადაც ეს წყლები იყო თავმოყრილი. აქვე ახლოს დიდი სალოცავი იყო, რომელსაც „ჯვარუკა“ ერქვა. „ჯვარის“ სალოცავი, სადაც ერი დიდი გამხმარი ხე იდგა, აღარ მახსოვს 5 თუ 7 დიდი ტოტიით. ამ ადგილას ისე არ გავივლიდით, რომ პირჯვარი არ გადაგვეწერა დიდს და პატარას. ვანთებდით სანთლებსაც, ვწირავდით ფულსაც ხურდის სახით (რა თქმა უნდა, თუ გვექონდა). იმ ადგილას მაცხოვრებლებს „ჯვარუკას“ უბნელები ჰქვიოდათ, ე. ი. არც ისე პატარა სოფელი იყო და არის ჩემი ურავი გვაქვს სალოცავი, რომელიც სოფლის ახლოს მაღალ გორაკზეა და უწოდებენ „ნასახტარს“ — ალბათ, ნასაყდარი. ამ გორაკზე იდგა ალბათ პატა-

რა საყდარი, დრო-ჟამმა დაანგრია, დიდი ქვების გროვა მოწმობს ამას, სადაც იმართებოდა დიდი დღესასწაული აღდგომის მეორე დღეს, ანთებდნენ სანთლებს, სწირავდნენ ცხვრებს, მამლებს, ფულს. ამ დღეს რაჭის თითქმის ყველა სოფლიდან მოდიოდნენ ადამიანები მთელი ნათესაობა იყრიდა ჩვენს სახლში თავს, იყო დიდი ზეიმი.

ასე რომ როგორც რაჭა და მისი ყველა სოფელი განთქმულია სილამაზით, სიკეთით, თავის უკვდავი ისტორიით, მათ შორის მე მგონი პირველ ადგილზე ჩემი სოფელი ურავი, რომელიც დაყოფილია უბნებად: „ჯვარუკა“, „ოტია-ნახულევი“, „ხომრუდა“, „ჯელაძეები“, „ჩასავალა“, „ბოხაშვილების უბანი“, „ბასუკანთუბანი“, ურავში ყველაზე მეტი ჩემი გვარია, რეხვიაშვილები, მერე მოდიან ჩალაძეები, არიან ბოხაშვილები, ჯელაძეები, გობეჯიშვილები, მეტრეველები, გოგრიჭიანები, მაისურაძეები, ჩიკვილაძე. მერე კი ნავიდ-ნამოვიდნენ ზოგი ძალით, ზოგი ნებით, მაგრამ, მაინც არიან ჩასავალა უბანში ჩვენ ე. ი. რეხვიაშვილებს, კერძოდ, „გოგიტაენტების“ (ჩვენი წინაპარი ყოფილა გოგიტა, მალალი, ლამაზი, ვაჟკაცი, სასიქადულო კაცი), იმის საპატივცემლოდ ჩვენ შტოს „გოგიტას შტო“ ანუ „გოგიტაენთი“ ეწოდა. რეხვიაშვილის გვარი დიდი გავრცედა და იყოფა შტოებად, ანუ სისხლხორცეულ ნათესაობად, ე. ი. მართალია რეხვიაშვილები რაჭველები ვართ, მაგრამ, მიმოზნეული ვართ მსოფლიოს ყველა კუთხეში. მაგალითად, ამერიკის სამ შტატში რეხვიაშვილების გვარი მრავლადაა, რომელნიც საამაყო წარმომადგენლებია ჩვენი გვარის. იტალიაში არის სასაფლაო, გამოსახული ულამაზესი ვაჟკაცის სურათით, რომელიც ყოფილა ცნობილი მსახიობი, მეცენატი, სასაფლაოს ქვაზე ამოკვეთილია „რეხოვსკი“ — რეხვიაშილი. ეს გადაცემა ვნახე ტელევიზიით რამოდენიმე წლის წინ. ეს ზოგადად ჩემს დიდ გვარზე ამოუწურავი სიკეთე, ვაჟკაცობაზე შეიძლება ლაპარაკი. ასე რომ რეხვიაშვილები „გოგიტაენტები“ ჩემი სისხლი და ხორცი არიან.

ყველაზე უფრო ლამაზი და კარგი მოგონებები ურავთანაა დაკავშირებული. დიდი სიხარული იყო ჩემთვის მწყემსად წასვლა, ე. ი. დილით ადრე გავერეკავდით სოფლის გოგო-ბიჭები საქონელს — პირუტყვს, მინდვრებში, რომლებიც ბლომად ყო სოფლის ირგვლივ, „საბალახებლად“ ნოდებულნი. იყო „ნახსარავა“, „რგვალია“, „ყანუკა“, „ახოები“, „მეტრეველიანთ ახო“, „ჯვარუკა“, „დამბალები“, „სიკოსეულა“, რომელიც ჩვენად ითვლებოდა, ასევე „კარზე ყანა“, „ნაკარტოფილევი“, „ლეჩხუმელა“, „გუგუშურები“ და სხვა, რომლებიც აღარ მახსოვს. ყველაზე ახლო იყო სოფელთან „ჩრდილუკეები“, „ნახსარავა“, „მლაშუკა“ — მლაშე წყლებით, ძალიან უყვარდათ ძროხებს ამ წყლის დაღევა. შუადღისას აქეთ მიემშურებოდნენ და იკლავდნენ წყურვილს. როცა ეს პატარა 5-6 წლის (10 წლამდე იყვნენ სხვები) ბავშვები ვმწყემსავდით საქონელს, იყო დიდი სიამაყის ვალდებულების გრძნობა, რომ ჩვენ

ვიყავით ბატონ-პატრონი ოჯახის მარჩენლების ძროხების, საღამოთი დატი-
კნილი ჯიქნებით მოგვყავდა სახლში. ყველა ბავშვს გადაკიდებული გვექონდა
ზურგზე ჩანთები, რომელიც უმეტესად ბლის ქერქისგან იყო დანსული. მე
ყველაზე ღამაზი ჩანთა მქონდა, რომელიც ჩემი ძმის ვაჟას მიერ იყო
დანსული. ვაჟა აგრეთვე აკეთებდა ფანდურებს, რომელსაც ოჯახში ყველა
ვუკრავდით, თითისტოლა ბავშვი განაფული ვიყავი როგორც დაკვრაში,
ასევე, სიმღერასა და ცეკვაში. ურავის ტყეებში ათასნაირი ჯიშის სოკო იყო.
მდ. გუგუშურა სავსე იყო კალმახით, ანკარა მთის მდინარეში ჩავცქეროდი და
ვტკებობდი მათი ცქერით. სოკოებში გამორჩეული იყო ნიყვი, რომელმაც
ერთსა და იმავე ადგილას იცოდა ამოსვლა. ვიცოდი „დაგულელებული“ მქონდა
ნიყვის ადგილი და რომ ამოვიდოდა, ზოგი წითლად ხაშხაშებდა, ზოგიც
კოკობი იყო, ე. ი. თავისივე თეთრ აფსკში გახვეული, ჯერ კიდევ გაუსკდომი,
დავკრიფავდი, გავავსებდი კალათას ნიყვით, მივურბენინებდი დედას, საშას
და გავახარებდი, ისინიც ათასნაირად აკეთებდნენ, ზოგს კეცზე წვავდნენ
მარილმოყრილს, ზოგს კერძათ აკეთებდნენ, ზოგსაც ახმობდნენ და ზამ-
თარში ნოყიერ სუბს გვიკეთებდნენ, ჩვენს ტყეში ბლომად იყო ქაღო, რომე-
ლიც უმადვე იჭმებოდა, იყო არყა, თეთრი, მწარე, მაგრამ ნაკვერჩხლებზე
შემწვარი უგემრიელესი იყო. „ჭკუმბლა“ სოკო, ხეზე იცოდა, კახელები
„კალმახა“ სოკოს ეძახიან, „სილის სოკო“ — ქამა, დილით ნამიანზე ვერავინ
მასწრებდა მის დაკრეფას. განსაკუთრებით ბევრი იყო „ჩრდილუკეებში“,
„მაჭკუნარა“ — მანჭკვალა. „დამპალეებზე“ — გადაჭრილი ხეების ძირებში
იცოდა უამრავი. ყველაფერი ეს საკუთარი ხელით დამიკრეფია, მოკლედ
ახლაც თვალწინ მიდგას ჩემი ბავშვობა, ყველაფერი ის, რაც განმიცდია, რაც
გამხარებია, ძალიან ძნელი, მძიმე ბავშვობა მქონდა, მეც და სხვებს ჩემზე
უარესი, მაგრამ ეხლა რომ მაგონდება დაუვიწყარი და ღამაზი იყო ყვე-
ლაფერი. ახლანდელი ბავშვები გათამამებული არიან ყველაფრით, მაგრამ
აკლიათ ის ღამაზი და ზღაპარივით თავგადასავლები, რომელიც მე და ჩემმა
თაობამ გამოვიარეთ სოფლად თუ ქალაქად, მაგრამ განსაკუთრებით
სოფლად.

როცა სამწყესურში მივდიოდით სოფლის ბავშვები, დიდი სიხარული იყო
ჩვენთვის, მშობლები — უფროსები სოფლის სამუშაოებზე გადიოდნენ, პუ-
რის ყანაში, სიმინდში, მოცვის ფოთლის საკრეფად და რა ვიცი სად. რაჭა
საერთოდ მოუსავლიანი მხარეა. მაშინ ომის შემდეგ, რა იქნებოდა, მითუ-
მეტეს ჩემი სოფელი ახლა რომ ვფიქრობ რა დიდი იმედი ჩვენ ვიყავით, ეს
პატარა გოგო-ბიჭები ტყეში მწყემსებად, სადაც მგელი ძალიან ბევრი იყო და
მათი ყმუილი მთელი ღამე გვესმოდა. ალბათ, იმ ხმაურის, ყვირლ-ხივილის
ეშინოდათ მგლებს და დღისით ახლოს არ გვეკარებოდნენ. თუ საქონელი
დაიკარგებოდა, შორს სადმე წავიდოდა საბალახოთ და ღამე გარეთ დარჩე-

ბოდა, ის უკვე მგლის ლუკმა იყო. ჩვენ პატარებს არაფრის არ გვეშინოდა, გაფაციცებული ვიყავით ძროხები არსად გაგვპარვოდა, თან ათასწაირ სათამაშოებს ვიგონებდით. რიკტაფელობანა, კუკუდამალობა, დანასობია. ბურთაობა — ნრეში შესვლა და დაჭრა. ბურთი გვექონდა ნაჭრებისგან შეკრული, ან უკეთეს შემთხვევაში, ბალნის, პირუტყვის ბენვისგან დამზადებული. ასეთ ბურთს ჩვენ თვითონ ვაკეთებდით. შემდეგნაირად: იყო პერიოდი, გაზაფხული მე მგონი, როცა პირუტყვი ბალანს იცვლიდა, ალბათ, ახლაც ასეა. მივადგებოდით და ხელით ვაცლიდით ბლუჯა-ბლუჯა ამ ბალანს ძროხებს და ვაძლევედით მრგვალ ფორმას ერთ მუჭაში ვიჭერდით და ასე ვთამაშობდით.

მე მყავდა ლამაზი ძროხები „ხატულა“, „შამირა“ და „კვანნია“. ყველაზე ჯიშინი, ლამაზები და კარგი მენველი. სახლში ბლომად გვექონდა რძე, რძის თავი, ყველი, კარაქი, ერბო და შრატი. დედაჩემი იმდენად ეკონომიური, ხელმომჭირნე ქალი იყო, რომ ყველაფერი გვექონდა. ორი ღორი იკვლებოდა საახალწლოდ. ვაკეთებდით პურის ცომისგან ათასწაირ ცხოველთა გამოსახულებას, ჩიტს, ძაღლს, კასაბასილას შემოვსვავდით ცხენზე ჯოხით ხელში. ყველით ხალმები სავსე იყო, სტუმარი სულ გვყავდა, განსაკუთრებით თბილისელ ნათესაებს უყვარდათ ჩვენთან მოსვლა და დარჩენა კარგ ჰაერზე. მეც მიხაროდა, რომ სტუმრებისთვის დედაჩემი გამოაცხობდა ხაჭაპურს, ლობიანს, დაკლავდა ქათამს და თავი და ფეხები ჩვენი იყო. კარგი ნაჭრები სტუმრების იყო. მაინც კმაყოფილი ვიყავი. არ მახსოვს რომ ოჯახში ქათამი არ დაკლულიყოს სტუმართან არ შევრცხვეო. ასე გვზრდიდა ხუთ ობოლს დედაჩემი. ომის დროს თურმე ძალიან გვიჭირდა, მაგრამ ჭადი და ყველი მაინც იყო. მე რადგან ყველაზე პატარა ვიყავი და მამის ალერსს მოკლებული, ყველა ცდილობდა თავის ლუკმა ჩემთვის მოეცა. ამიტომ გავიზარდე ამხელა. მე პატარა დავრჩი, ჩემს ლუკმას შენ გაძლევი, მეუბნებოდა ვაჟა ახლაც. ჩვენს სოფელში იყვნენ ძალიან გაჭირვებული ოჯახები, განსაკუთრებით „ბასუკენთები“, მახსოვს, ვერიჩკა ჩალაძე, რომლის ოჯახი 8 სულისგან შედგებოდა, ჰქონდათ ერთი დიდი ოთახი, ამ ოთახის მთელი სიგრძე ეჭირა ერთ ტახტს, და ამ ერთ ტახტზე ეძინა ყველას. როგორ ახერხებდნენ გერასიმე და ვერიჩკა ამ შვილების კეთებას, ახლაც ძალიან მიკვირს. ისე მე ძალიან მიყვარდა ეს ოჯახი, ჩემზე ცოტა უფროსი იყო არიადნა, რომელსაც ტრუსიკი არასოდეს სცმია, რა თქმა უნდა პატარაობისას, მახსოვს დედაჩემი იტყოდა ხოლმე, სიმინდის მაგიერ ნაქუჩი დაფქვეს ნისქვილზეო, ჩვენ საკუთარი ნისქვილი გვექონდა და ათხოვებდა ხოლმე სხვებს, ქვა მოსაკოდიაო, აღარ ფქვავსო. ასეთი გაჭირვებული ხალხიც იყო ურავში. არ უჭირდათ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, საბჭოს თავმჯდომარეს (ერთი იყო ვიქტორია ჩალაძე, მეორე აკაკი რეხვიაშვილი და ფერმის გამგე — მალაქია

ჩალაძე „ჩორტმალაქო“) ტუჩი ჰქონდა მოღრეცილი და, ალბათ, ამიტომ ეძახდნენ ამ ზედმეტ სახელს. რა თქმა უნდა, ეს ხალხი არ უყვარდა სოფელს, იცოდნენ, რომ მათ კუთვნილს მიერთმევდნენ. „ჩორტმალაქოზე“ ერთ ასეთ ამბავს ყვებოდნენ: ჩემი ძმა ვაჟა და ბიძაშვილი გუჯია-ელგუჯა“. თურმე ეს ბიჭები და მალაქია მიდიოდნენ ფერმაში. მალაქია უკან ჩამორჩენილა. ერთი მენვრილმანე ურია (რაჭის სოფლებში დადიოდნენ ურიები და გადლით დაჰქონდათ ათასნაირი ჩითები, ფერ-უმარლი, მეც მახსოვს შალიკუნა და აბრამუკა ურიები). ვაჟას დაუბარებია ამ ურიისთვის გზში „ჩორტმალაქო“ შეგხვდება და მალე იაროს, მოგვენიოსო. რამოდენიმე მანძილის მოშორებით შეხვედრია ჯოხიანი მალაქია ამ ებრაელს — „ჩორტმალაქო“ შენა ხარ? — ბიჭებმა შემოგითვალეს მოგვენიეო. ვინ არის შენი „ჩორტმალაქო“ შე აყრო-ლებულოო და უთავაზებია ჯოხი, გაშტერებულ ურიასათვის „ჩორტმალაქოს“. ახლა ბიჭებს რა დღეს დააყრიდა კარგად მოგეხსენებათ. მეც მაქვს ცუდი მოგონება ამ მალაქიასთან — „ჩორტმალაქოსთან“.

მე პატარა კი ვიყავი ოჯახში, მაგრამ ჩემი საქმე მაინც მევალებოდა. მაგალითად, საღამოს სამწყემსურიდან რომ მოვიყვანდი საქონელს, თან ერთი კონა ფიჩხი უნდა მომეტანა. მეც ვაგროვებდი შეშას ტყეში და ჭინჭველასავით ვიკიდებდი ამ კონას, რომელიც ნედლი თხილის წკნელით მქონდა შეკრული, მომქონდა სახლში. გროვებოდა და თონეს ვახურებდით. ასე გაგვზარდა დედამ ყველა შვილები. შრომაში და ამიტომაც, რომ ცხოვრების სიძნელეებს რომელიც მრავლად იყო და არის ყოველდღიურ ცხოვრებაში გაჟკაცურად ვხვდებით დედ-მამიშვილები.

ერთხელ დედამ მითხრა ფერმიდან განაწილებით ყველი გვერგება და წადი კანტორაში, მოიტანეო. მეც რა თქმა უნდა, ვიგრძენი სიამაყე, რომ საქმეებს მაგალებენ, ჩემს ერთგულ ფინა ძაღლით, რომელსაც სილამაზის გამო „კუკლა“ ჰქვია, სულ მე დამდევდა უკან, ზოგჯერ წინ გარბოდა, განსაკუთრებით ტყეში, როცა ვიყავით და ყნოსავდა ირგვლივ ყველაფერს, საფრთხე ხომ არაფერი გველოდა. მეც ამ პატარა არსების მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულს ვგრძნობდი, ისიც სიყვარულით და დიდი ერთგულებით მიხდიდა ამ სიყვარულს. ის რომ გვერდით მყავდა არაფრის არ მეშინოდა. თავს დაუმარცხებელ გმირად ვგრძნობდი, წავედი კანტორაში ყველის მოსატანად. კანტორა ჩვენგან შორს, ზედა უბანში „გვერდათავს“ იქეთ, ავიარეთ და მე და „კუკლამ“, „გვერდათავის“ აღმართი მეტრეველების სახლები, განსაკუთრებით ღრჯუ-დაბოლმილი კაცი იყო სეფე ჩალაძე, ისეთი შეხედულება ჰქონდა, რომ მეგონა ყურები უნდა აენია ჩემთვის, გავიარეთ ჩუმად, ფეხაკრეფით (რატომ უნდა ვეცემე მე ამ კაცს რაღაც არ ვიცი), ისე ძალიან მეშინოდა ამ სეფესი, ბიძაჩემი ნესტორასი, სერგიელა ჩალაძის და სულელი

შალიკუნასი, მონადირე მიხეილა რეხვიაშვილის შვილი, რომელიც ჭკუა-
ნაკლები იყო) ეს ის ხალხი იყო რომლებიც შურით იყვნენ გატენილები ჩვენი
ოჯახის მიმართ, იბოლმებოდნენ როგორ ვარსებობდით, როგორ უძღვებოდა
ამ დიდ ოჯახს ეს ქვრივი ქალი — დედაჩემი, როგორ ასწავლიდა შვილებს, მი-
უხედავად ამდენი გაჭირვებისა, როგორ უსწორდებოდა მტერს და მოყვარეს
ქალი, როცა კაცთან ოჯახებს უჭირდათ. ამას მე ვხედავდი, მესმოდა და,
იმიტომ არ მიყვარდა ეს ხალხი. ამაზე კიდევ მექნება ლაპარაკი ქვემოთ.

მივედი კანტორაში, თავმჯდომარე იყო იმ დროს ვიქტორა ჩალაძე, სოფ-
ლის საბჭოს თავმჯდომარე კი იყო აკაკი რეხვიაშვილი (ეს კაცი ყოველთვის
კარგად მოიხსენიებოდა ჩვენს ოჯახში, როგორც ჩვენი დამცველი,
მოყვარული მამაჩემის შთამომავლის, ამიტომ მეც ბავშვური სიყვარულით
მიყვარდა ეს კაცი. იმედი მექონდა). მივედი კარგა დიდი მანძილი გამოვიარე
და ძალიან მომშვიდა კიდეც. შევედი კანტორის უკანა ოთახში, ვიქტორა
„ჩორთმალაქო“ — მალაქიას ცოლი ვარინკა და მისი ერთადერთი შვილიც იქ
იყო (სახელი აღარ მახსოვს იმ გოგოსი — მგონი ამლიკო, ჩემზე ასაკით დიდი
იყო) დიდ, ხის გობზე ახალი კარაქი აქვთ, ცხელი თონეულები, (თონის პური)
ადგანან ამ გობს ყველა ესენი და ურევენ კარაქში ცხელ პურს და ჭამენ.
ირგვლივ ისეთი სუნი ტრიალებდა ცხელი პურის, კარაქის, ყველის, რომ მე
ნერწყვი მომადგა პირზე, ვნატრობდი ერთი ლუკმა შემაჭამა ნეტა-თქო.
ვისია ეს ბოშუნაო, იკითხეს, მე ვუთხარი ვინც ვიყავი და რატომ ვიყავი
მოსული, დამიცადეო, მითხრა „ჩორთმალაქომ“ და გააგრძელეს ჭამა, თან
ვარინკა თავის შვილს ატენიდა კარაქიან პურს, რომელიც იმანჭებოდა და
იბრანჭებოდა, არ მინდა, არ მინდას ძახილით. მე ამის შემხედვარეს თავბრუ
დამეხვა და კინაღამ წავიქეცი. არავინ არ გამომინოდა არც ხმელა პური,
გაძღნენ და მერე ამიწონეს ყველი, მგონი 2 კგ იყო, დიდი ყველის ნახევარი,
წამოვლასლასდი და ამ ნახევარ ყველს ციცქნა დაეუწყე, ცოტა ჩემს ფინი-
ასაც ვაჭამე, სახლში მოსვლამდე კარგა ბლომად შემომეჭამა, ახლა დედა-
ჩემის შემეშინდა, არ გამლახოს-მეთქი, ასე ცოტა გვერგოო? მიაწყველა
დედაჩემმა იმგენს და მე არაფერი არ მითხრა. ყველა ეს ზემოთ ხსენებული
ხალხი ახლა ცოცხალი აღარ არის, მე მთელი ჩემი ცხოვრება მახსოვს მათი
არაადამიანობა. ასე ვიცი, რომ ყველა ცუდი და გატანჯული სიკვდილით
მოკვდა. მე მგონი შთამომავალიც არ დარჩენიათ. ღმერთი არავის არ
შეარჩენს პურს და ბოღმას. სუსტის დაჩაგვრას, არშეცოდებას, რა იქნებოდა,
ერთი ლუკმა პურის მოწოდება ობოლი, უმამო ბავშვისათვის, როგორც ეს
ცუდი დამამახსოვრდა, ხომ კარგიც მენსომებოდა? ჩემმა სიძულვილმა,
ალბათ, სხვებისამაც არ გაახარა იმათი ოჯახები. ამიტომ იხარა და იმრავლა
დედაჩემის და მამაჩემის მოდგმამ, რომ გაჭირვებულს სულ ეხმარებოდნენ,
ასე ვაგრძელებთ მეც და ჩემი შვილებიც, ასე უნდა გააგრძელონ ჩემმა შვილი-

შვილებმაც, ყოველთვის გაუნოდონ ობოლს და გაჭირვებულს დახმარების ხელი. ბავშვები — ჩემზე უფროსები, ქვრივი ქალები, სულ იხსენებდნენ ჩემს მამას. „ნარმოებიდან რომ მოდიოდა რომანოზი იმისი სულუკას ვენაცვალეთო, ორი დიდი „ბუხანკა“ პური მოჰქონდა, ერთი სახლისთვის და მეორე ქვრივ-ობლებისთვის, რომლებმაც ვიცოდით მისი ამოვლის დრო და ქუჩაში ვხვდებოდით, პური რომ მოეტეხა მშვიერი ბავშვებისთვისო. დაგვირიგებდა ყველას და მოგვასულიერებდა პურზე მონატრებულებსო. მაშინ თურმე ფულიცრ ომ გქონოდა, პურს ყველა ვერ ყიდულობდა, თუ ნარმოებაში არ მუშაობდა. სპეციალური ტალონები იყო, მეც მახსოვს, დედაჩემს, მამის სიკვდილის მერეც აძლევდნენ ამ ტალონებს და ვყიდულობდით იმ არჩჩვეულებრივ, სურნელოვან პურს, რომელსაც მისაჭმელიც აღარ უნდოა, ისეთი არომატული და ნოყიერი იყო.

მე ზემოთ ვთქვი, რომ დიდი სახლი გვქონდა. ასე იცოდნენ თქმა, ცხენი გაჭენდებო. ზედა სართული დიდი აივნით, მოჩუქურთმებული, არაჩვეულებრივი ჩუქურთმით. დიდი სასტუმრო, იქეთ-აქეთ ორი ოთახი ჰქონდა, საძინებელი ზალაში დიდი გრძელი ხის მაგიდა იდგა სკამებით, შკაფი, ლამაზი ჩუქურთმიანი კამოდი, კაკლის ხის, დედას ნამზითევი, იდგა გვერდზე პატარა მაგიდა, კედელზე ჩამოკიდებული იყო „მანდოლინა“, არ ვიცი საიდან, ალბათ, მამა ვლადიკავკაზში იყო რამოდენიმე წელი ნამსახური და იქედან ჩამოიტანა (მე ამ მოგონებებს ჩემით ვწერ, არაფერს ვეკითხები ჩემს ძმებს კაკოს და ვაჟას, რომლებმაც ჩემზე ბევრი იციან). გიტარა, ფანდური, ერთი ჩახმახიანი თოფი, მამას ნაქონი და ვერცხლის ხანჯალი, ახლა ეს ხანჯალი რომანის აქვს. გაკრული იყო კედლებზე ულამაზესი ხელით ნაქსოვი ხალიჩები, დედაჩემის ნამზითევი, მისივე მოქსოვილი. ასევე, ამ დიდ ზალაში იდგა იქეთ-აქეთ ლამაზი ხის სანოლები, მოჩუქურთმებული, ულამაზესი შეხედულების, ზედ ეგო ბუმბულის ლეიბი, ბუმბულისავე ბალიშებით, ლამაზი ბამბის საბნებით, ლამაზი ზოლიანი მუთაქებით, შორეული სტუმრებისთვის, ასევე ოთახებიც, ლამაზი სანოლებით, ბუმბულებით იყო განწყობილი. ქვედა სართული, პალატა — ქვით იყო ბუხრის მხარე აშენებული. ირგვლივ ხით. დიდი ზალა იყო შუაში დედაბოძი ჰქონდა შეყენებული. გვერდზე მოშენებული ჰქონდა 1 ოთახი, სადაც ბიჭებს ვაჟას და კაკოს ეძინა. მე დედას და საშას დიდ ოთახში გვქონდა სანოლები. მეორე მხარეს მიშენებული იყო ბელელი, მარანიც, სადაც გვქონდა კოდები (ხისგან გაკეთებული ფქვილის შესანახები, ბათმანები, რომელიც სანყავ საშუალებად იყო გამოყენებული. მაგალითად, ერთი ბათმანი სიძინდი, ლობიო და ა. შ. მე მგონი მ კგ-იანი იყო). ასევე ბელელში გვქონდა გუდა ხბოს ტყავის, რომელიც გამოიყენებოდა მარცვლის გადასატანად ნისქვილში და მერე ფქვილის ნამოსაღებად. მარან-

ში ჭურები გქვონდა ჩაფლული, ხალმები ყველით და მუავეულით სავესე, ასე რომ კარგ მაცხოვრებლად ვითვლებოდით.

ეზოში სახლის მოშორებით გვედგა დიდი ბოსელი გრძელი ბაგით, სადაც საღამოთი ყველა ძროხა იბმებოდა თავის ადგილას, აქვე წველიდა საშა ან დედა ამ ძროხებს, რომლებიც ბაგაში ჩაყრილ ბალახს ან თივას ახრამუნებდნენ. ბოსლისთავზე ინახებოდა, საქონლისთვის თივა, რომელსაც თიბავდნენ ჩემი ძმები შემოდგომაზე გარეყანებში. გარეთ ქოხთან ახლოს იდგა ჩალის ზვინები, ასე რომ ზამთრისთვის ჩვენი საქონელი მომარაგებული იყვნენ. დიდი სიხარული იყო ჩვენთვის ზამთარში (ძალიან დიდი ზამთარი იცოდა ჩვენთან) საქონლის დარწყლულება, ე. ი. „ხორილეღეში“ წაყვანა წყლის დასალევად, გავირეკავდი ეს თითისტოლა ბავშვი ამ საქონელს სოფლელების მიერ გაკვალულ თოვლში დეღეზე, რომელიც მოყინული იყო ხოლმე ზევიდან და მიჩუნჩუნებდა ყინულის ქვეშ ეს ბროლივით ანკარა წყარო. ჩაუ-მტვრევდი ამ ყინულს იმხელაზე, რომ ტუჩი ჩატეოდა ძროხებს და ხბოებს, ჩაყოფდნენ პირს და წრუპინ-წრუპინით სვამდნენ წყალს. ასევე აკეთებდნენ ყველა სოფლელები. იმდენად ინტერესიანი და მშრომელი ქალი იყო დედაჩემი, რომ სხვებზე კარგი და მოვლილი სახლ-კარი გქვონდა, სხვებზე კარგი და ლამაზი საქონელიც გვყავდა, ძალიც, ჩვენც ასე ინტერესით გვზრდიდა სხვებისთვის, „კაციანი“ ოჯახებისთვის უნდა გვეჯობნა. ძალიან მიყვარდა რომელიმე ძროხის კუდზე ხელის წავლება, მერე აღარაფრის აღარ მეშინოდა.

ყველაზე კარგი იყო ჩემს ლამაზ ძროხების ყელზე შებმული ზარები. სამწყესურში ზარის წკრიალის მიხედვით ვიცოდი სად და რა ადგილას ბალახობდნენ ჩემი ძროხები. ბავშვები სულ შემომნატროდნენ, მე რომ ზარიანი ძროხები მყადა, სად და როგორ შოულობდა ამ ზარებს დედა არ ვიცი. არდადეგებზე, კაკოს და ვაჟას ფერმიდან თხები გამოჰყავდათ, დაახლოებით 40-50-მდე, მწყემსავდნენ და რაღაც დღიურები ეწერებოდათ, ან სიმინდს მისცემდნენ, ან ყველს, ან ლობიოს, ან კარტოფილს, რა თქმა უნდა, ბიჭებს მე სულ თან დავყავდი, როგორ მიხაროდა ამდენი თხა და მიმატებული ჩვენი ცხვრები და ძროხები, რომ შემოდისდნენ ჩვენს ეზოში. ეზო გქვონდა ბოსლის წინ დიდი, შემორაგული „რეიკით“. შესასვლელი იყო „ფალანგა“ — გრძელი ხეები. იყო მიბმული ერთიმეორეზე, შეკრული და წარმოადგენდა ეზოს ჭიშკარს — ჩამკეტს. „ფალანგა“ რატომ ქვიოდა ან სადაური სიტყვა იყო არ ვიცი. მთვარიან ღამეში ეს თხები რომ იწვნენ ეზოში, მათ ყურებას არაფერი სჯობდა. ძალი ისეთი ფხიზელი გვყავდა, ბუზს არ გადააფრენდა, რომ არ შეეყვება. იყო შემთხვევები, რომ ღამით სოფელში მგელი შემოვიდოდა, განსაკუთრებით ზამთარში, ატყდებოდა ძაღლების ყეფა-გნისასი. აქაიქ თოფის სროლა და მგელიც კუდამოძუებული გარბოდა სოფლიდან. მახსოვს კარგი მწყემსობისათვის ვაჟას ლამაზი თხა აჩუქეს, ყელზე ჩამო-

კიდებული ჰქონდა ორი ბიბილო და ამიტომ „ბიბილა“ დავარქვით. ძალიან გვიყვარდა ყველას ეს დედალი თხა, რომელმაც მრავალი თიკანი გვაჩუქა, მოგვიმრავლდა თხებიც.

ბევრი ფხალეულითაა განთქმული რაჭა, განსაკუთრებით ჩემი სოფელი ურაფი. „ქალაკოდა“ — რომელსაც სიმღერა უძღვნეს რაჭველებმა „ტყეში ქალები წასულან, „ქალაკოდას საკრეფადო“ და სხვა, „მეკენძალა“, „ზერჩო“, „მუყუდო“, „დიმელა“, „ჯინჭარი“, „ქათმის კურტუმი“, „ქათანაცარა“, „ბატიფეხა“ „ია-ია“, „მგლისხორხა“ და რა ვიცი კიდევ რა. ეს სახელები ეტყობა იმიტომ შეარქვეს ადამიანებმა, რომ რალაციით გავდნენ თავის მოსახლეებს. ქალაკოდას ქალის ნაწნავისებურად წნავდნენ და ზამთრისთვის ინახავდნენ, ასევე ტყეში კრეფავდნენ მოცვს, ათასნაირ გარეულ ხილს, რომელსაც „ჭკუტა“ მსხალს და ვაშლს ეძახდნენ, დაჩირავდნენ, ახმობდნენ და „კერკ ჩირს“ უწოდებდნენ, აბარებდნენ კოლმეურნეობას და იმ კაპიკებით ვაჟას და კაკოს სკოლის ქირას — ფულს იხდიდნენ. ზოგ გარეულ „ჭკუტას“ ხის ჩაქუჩით ნაყავდნენ, ჭურში ყრიდნენ და არაყს ხდიდნენ. გვექონდა კარგა მანძილით მოშორებული ვენახი, სადაც ფრანგულა ვაზი იყო დარგული, უფლიდნენ ჩვენები და არაუშავს ყურძენს გკრეფდით. ვითხოვდით ხარებს მარხილით და ზედადგმული „ხვირით“ (თხილის წნელისგან დაწნული დიდი მოცულობის, ოვალური მოყვანილობის დიდი გოდორი, გვერდებიდან მოწნული, ღია დიდი თავით) ივსებოდა ეს „ხვირი“, როცა კარგი მოსავალი იყო ყურძნის რამოდენიმე „ხვირი“ ამოგქვონდა სახლში, გვექონდა დიდი ხაპი, ვყრიდით ამ ყურძენს, დააბანიებთა ვაჟას და კაკოს ფეხებს დედა, აიკაპინებდნენ შარვალს ბიჭები, ჩადგებოდნენ ყურძნით სავსე ხაპში, დაინყებდნენ ყურძნის ქყლეტას და წამონკრიალდებოდა ტკბილი, ხაპის მრგვალი ღარიდან, ივსებოდა დიდი ღრმა გობი, აქედან ჩაფი — აყალო მინიდან გაკეთებული დიდი კოკა-ჩაფი, ზოგი 20 ლიტრიანი იყო. ზოგი უფრო დიდი, ან პატარა ასხავდნენ გარეცხილ, გაკრიალებულ ჭურებში, სადაც რამოდენიმე დღეში თუ კვირაში დაღვინდებოდა, ამ ჭურს ზევიდან ჯერ ეხურებოდა ხის მრგვალი სარქველი, ხოლო მერე აყალო მინით „მოუგოზავდნენ“ თავს. ასე ინახებოდა ღვინო მომავალ ღვინობამდე. რამდენიმე წელი ინახებოდა, სტუმარს რომ მოუხდიდნენ ჭურს, ამას უხადს ეძახდნენ. ეს ხდებოდა საპატივცემლო სტუმრის დროს. ამოიღებდნენ რამდენიც საჭირო იყო და მერე ისევ „დააგოზავდნენ“ თავს. ნაკლული ჭურში ღვინო არ ფუჭდებოდა, ოღონდ თავზე იცოდა „ფკის“ მოყენება. უხადს რომ მოხდიდნენ, სულ ნაპერწკლები მოხტოდნენ ჭურიდან. „ჩინჩხლებს“ ყრისო ჭური, იცოდნენ თქმა ღვინის ჭურიდან იღებდნენ „ხრიკით“, ეს „ხრიკა“ კეთდებოდა სპეციალური კვახის მსგავს მცენარიდან, ისხავდა გრძელ ყუნწიან, მრგვალ კვახებს, ჩამოეკიდებოდნენ სარზე, რომელიც მიდგმული ჰქონდა ამ კვახის ბუდეს, გაიზრდე-

ბოდა, მომნიფდებოდა, მონყვეტდნენ, ამოფხიკავდნენ გულს, გაუხვრე-
ტდავდნენ მრგვალ გვერდს, მიამაგრებდნენ მოგრძო ჯოხზე, ჯოხთან მიმაგ-
რებულ ადგილს აყალო მიწით ამოავსებდნენ და მზად იყო ღვინის ჭურვიდან
ამოსაღები „ხრიკა“. წყლის ჭურჭლადაც იყენებდნენ ასეთ კვახს. ცივად
ინახავდა წყალს.

მოკლედ თვალწინ მიდგას ურავი, მახსოვს ყველა წერილმანი, ამხელა
ქალი ვარ, 50 წელი მაშორებს ამ ბავშვობის მოგონებებს და არაფერი არ
დამეჩინებია, სიზმარშიც ურავი მესიზმრება, ჩემი სახლ-კარი, ეზო-ყურე,
ველ-მინდვრები, ისე მენატრება იქაობა, სიზმარში ტირილით ვსკდები,
გამელვიძება და ისევ ის დიდი ნოსტალგია, ნოსტალგია იმ მძიმე და დატვირ-
თული, მაგრამ მაინც ლამაზი ბავშვობისა, რომელიც გავატარე ურავში.
ბევრი, ძალიან ბევრი მაქვს მოსაგონარი, ვეცდები, დაწერო ჩემთვისაც და
ჩემი მონაგარისთვისაც, მინდა დავიცვა თანმიმდევრობა იქედან-დღემდე.
მოკლედ ავღწერო ჩემი ბავშვობა და დიდობა.

რატომ მეშინოდა ალალი ბიძის ნესტორა რეხვიაშვილის, მამა ხომ ადრე
დამედუჰა, დარჩა დედა 5 თბოლით. იმის მაგიერ რომ ბიძები და მამიდები
გვერდში ამოდგომოდნენ ოჯახს, დაგვიწყეს ჩავგრა, ბიძია ჩვენი მესაზღვრე
იყო. შუაში ეკალი ჰქონდა დარგული, ე. ი. საზღვარი. ეკლიანით იყო გაყო-
ფილი. მახსოვს, ერთხელ ატირებული საშა და დედა შემოვიდნენ სახლში და
ასეთი რამ გავიგე. თურმე ჩვენი ერთი გოჭი გადამძვრალა ნესტორის ეზოში,
იმას მოუკლავს და მკვდარი ჩვენს ეზოში გადმოვგდო. ასე მოგიკლავთ
ყველაფერს, რაც ჩემსკენ გადმოვაო. მახსოვს, რომ ატყდა წივილ-კივილი,
ნესტორა მამამისს, ე. ი. ბაბუაჩემს ილიკოს, რომელიც ფენუა ბიცოლას
სახლში ცხოვრობდა, ისინიც ნესტორის გვერდით ცხოვრობდნენ, ე. ი. ჩვენ,
მერე ნესტორა და მერე ფენუა ბიცოლა ცხოვრობდა, ფენუაც მიტოვებული
იყო მეორე ჩემი ბიძისგან. ლაფრენტისგან, სხვა ცოლი ჰყავდა, ისიც ორ ბიჭს
გუჯავს და ვახტანგის ზრდიდა უმამოდ. ილიკო ბაბუაც მათთან ცხოვრობდა,
ლამაზი, თეთრწვერა ბაბუა იყო, ბაბუა მახსოვს, ბებია ალათი ადრე
მომკვდარა, მთელ ჩასავალა უზანს ესმოდა ბაბუას ყვირილი, მიშველეთ,
ნესტორიკა მკლავსო. მე მივირბინე და დავინახე ჩაკეცილი ბაბუა და ნესტო-
რა წიხლებით სცემს, გუჯავს და ვახტანგი კი იყვნენ მოზრდილები, მაგრამ
სანამ მეზობლები მოვიდოდნენ, ბაბუა მაგარი გალახული იყო. ეს ხდებოდა
ჩემს თვალწინ, შემძულდა საბოლოოდ ნესტორა, ვტიროდით და ვბლაოდით
ყველა, საშა, გუჯავს, ვახტანგი, მე. ფენუა ბიცოლა ყრუ იყო, ანთების შემდეგ,
დაყრუებულა და გვიან გაიგო, შეიყვანეს ბაბუა, მობანეს სისხლი და
ბუხართან დასვეს, ძალიან ცუდ მოგონებად დამრჩა. სულ მეშინოდა და
ვიმალეობდი ნესტორას დანახვაზე. არ გვახსოვს, რომელიმე ძმისშვილს

მოფერებოდა. ყველას ეჯავრებოდა ეს კაცი, ნესტორა-ჩოხა, ასე ეძახდნენ ჩემი და-ძმები და ბიძაშვილები, ალბათ, ადრე ჩოხა ეცვა და იმიტომ.

ნესტორას პირველი ცოლიდან, რომელიც საეჭვო ვითარებაში მომკვდარა, ორი შვილი ჰყავდა, სირა და ნოე. მეორე ცოლად მოუყვანია კატო, რომელიც მახსოვს, ლამაზი და ტკბილი ქალი იყო. მას მოჰყვა თავის ქმრისგან ერთი გოგო ზანო — ზანუშა და გაათხოვეს ლიხეთელ ქიშვარდი კანთელაძეზე, კარგ ბიჭზე. ეს ის კანთელაძეებია, რომლებმაც ცნობილი ფეხბურთელი ფირუზა კანთელაძე გაზარდეს, ე. ი. კატო ბიცოლა, ფირუზა კანთელაძის ბებია იყო. ფირუზას დაც ჰყავს, ნათელა, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ, არც ერთი დაოჯახებული არაა, იქნებიან ისინიც ალბათ 50 წლისანები.

ჩემი ძმები და ბიძაშვილები მაშინებდნენ ხოლმე, იმიტომ, რომ მუხლზე დიდი მეჭეჭი მქონდა, ფეხს მოგაჭრიანო, მაგის გულიზაო. სულ ვმაღავდი მუჭეჭს, რომ ფეხი არ მოეჭრათ ჩემთვის. ერთხელ ფენუა ბიცოლას სახლში ვარ, შემოირბინა ვახტანგი და მეუბნება, — არიქა, თავს უშველე, ფეხისჭრიები მოდიანო. თან ამიყვანა ხელში და გამახედა „გვერდათავისკენ“. სწორედ ის ჩემთვის საშიში ადამიანები დავინახე ნაჯახებით ხელში, სეფე ჩალაძე, სერგიელა ჩალაძე და ორი ვიდაც სხვა კაცი. აბღავლებული გავვარდი, მაგრამ სად, მეც არ ვიცი, უცებ ნესტორას ეზოში დავინახე ახლად დანიშნული ზანო და ქიშვარდი, გავიქეცი მათკენ, იქნებ მიშველონ-თქო, გადავხტი ეზოში, ქიშვარდი სულ მეფერებოდა და ძალიან მიყვარდა, რატო ტირიხარო ზანომ, ფეხიჭრიები მოდიან-თქო, მივატირე, სად არიან ბევრი ჭიები, მომადახა ქიშვარდომ, მე გავრბოდი ჩვენი სახლისაკენ ბოსტნებით, ამ დროს ატირებული ეკლებზე მივხტივარ, ჩვენი ბოსტნის და ნესტორის საზღვარზე, ნაჯახით ხელში დგას „სანატრელი“ ბიძაჩემი ლობის სარებს ამაგრებს, ვიფიქრე, დადგა ჩემი აღსასრული-თქო, ისინი იქედამ მოდიან, ესეც აქ დამხვდა-თქო, ერთი არ შემეკითხა, რატომ ტირიო, გავიქეცი ისევ ზანოსთან და ქიშვარდისთან. ამგენმა უკვე გაიგეს ჩემი ტირილის მიზეზი და ახარხარებულ გუჯას და ვახოს შავ დღეს აყრიან. ამიყვანა ქიშვარდომ ხელში და მოფერება დამიწყო. მე მაინც გზისკენ მქონდა თვალები. თურმე ის კაცები იელის მოსაჭრელად მიდიოდნენ, რომ ლობის სარებისთვის რგოლები გაეკეთებინათ. მე კი ჩემი დამემართა, ბოლოს დედულეთს ვიყავი და რომ მოუყვა დედა ჩემს გაჭირვებას თავის ძმისშვილს შაქროს, იმან იმნუთშივე გამოიტანა კერისტავი, დამადო მეჭეჭზე, ჩაყარა თოფის წამალი, აანთო ასანთი და მიადო თოფის წამალს, ერთი ალი ავარდა უცბად და სანამ მე აზრზე მოვიდოდი, მეჭეჭი აღარსად იყო. მომისვეს რაღაცის ქონი და სამ დღეში ყვეალფერი მოშუშებული იყო, ასე გადავრჩი ფეხის მოჭრას.

ჩემი ბიძაშვილები ე. ი. „გოგიტაენტები“ თითქმის თანატოლები იყვნენ. ჩემზე 12 წლით და მეტი უფროსები იყვნენ. მე ერთი გოგო ვიყავი მათ

შორის, თანაც პატარა. ყველაფერ ეშმაკობას მასწავლიდნენ, ჭიდაობის ხერხებს, ჩხუბს, მოკლედ მწვრთნიდნენ და უბან-უბან დამატარებდნენ, ჩემი მომრევი არც ჭიდაობაში და არც ჩხუბში არ იყვნენ. მე ვერავინ მჯობდა. ვაჟა, კაკო, გუჯა, ნოე, ვახტო, ილუშა, ტუხია, პახულა, ეს ბიჭები ყველა ერთად იზრდებოდა, ერთიმეორის ახლოს ვცხოვრობდით, ხუთი სახლი ერთიმეორის ახლოს იდა, ორი ბაბუის შვილები აქედან მარტო ჩემი ძმები სწავლობდნენ, კაკო და ვაჟა. ესეც თავისებურად აბოროტებდა ლუკიას ქეთოს, ონისიმეს და ვალენტიას. აქედან ქეთუა — ქეთო ძალიან იყო გადაკიდებული დედაჩემზე, რატომ ცხოვრობ ჩვენზე უკეთო. შუკის ზემოთ ჩვენ ვცხოვრობდით, ჩვენს ნინ შუკის იქით ქეთო და ლუკა. 20 მეტრსმ დაახლოებით ქეთუა ავი, ბოროტი იყო, ხან რას მოგვიდებდა მიზეზს და ხან რას. ბიჭები ერთმანეთსი არასოდეს ჩხუბობდნენ, მათი შვილი ილუშა ტუხას და პახოს ძმა იყო, ზრდიდა შვილად ლუკა და ქეთო. იმათ შვილი არ ჰყავდათ, ე. ი. ლუკა და ონისიმე ალალი ძმები იყვნენ, ისე როგორც მამა, ნესტორა და ლავრენტი. ონისიმე და ლუკა განაყოფები იყვნენ ჩვენი, ე. ი. ორი ძმის შვილები. ამიტომ იყო, რომ უფროსების ჩხუბი შვილებზე არ მოქმედებდა. ერთად იზრდებოდნენ, სახლშიც რომ მოიყრიდნენ ერთად თავს, მათ მოსმენას არაფერი სჯობია, ვახტანგი გამოაკლდათ უდროოდ, ქეთო ბიცოლა ათასნაირ რალაცას მოიმიზეზებდა და ეჩხუბებოდა დედას, დედაჩემიც თავს არავის დაჩაგვრინებდა, სხვისი არაფერი უნდოდა, არც თავისას გაატანდა სხვას. მთელი ცხოვრება ავკარგიანი ქალის სახელით იცხოვრა, რომანოზის შვილებს არავის დავაჩაგვრინებო. ასეც იყო, ყველა ვშრომობდით, ყველა ვსწავლობდით, ყველას კარგი ოჯახი გვაქვს, ის არის დასანანი, რომ საშა არ დაოჯახებულა. მამა რომ მომკვდარა მიუტოვებია სწავლა, გათხოვებაზე ფიქრი და დაუდგა დედას მხარში, თავის თავზე აიღო ცხოვრების ტვირთი, რომ ძმებს, მე, მესწავლა და ცხოვრებაში არ დავჩაგრულიყავით. სწორედ ამიტომ იყო, რომ ვაჟა და კაკო განთქმული, ნიჭიერი მოსწავლეები იყვნენ. იმხელა მანძილს ურავიდან ლიხეთამდე ფეხით დადიოდნენ, ზამთარში იძულებულნი იყვნენ უგზოობის, დიდთოვლობის გამო, ექირავათ ლიხეთში ბინა, ბევრჯერ სციოდათ, შიოდათ, მაგრამ მაინც ივარგეს.

არდადეგების დროს. ზემოთაც ვთქვი, შრომობდნენ, შინ თუ გარეთ, ფერმის თხები რომ გამოჰყავდათ, მინდორში თან შეშას აგროვებდნენ, თან ლობიოს და ვაზის სარს ჭრიდნენ, მერე ვილაც ღვთისნიერი ხარებს გვათხოვებდა, მოგზიდავდით სახლში, შეშას და მთელი ზამთარი ვავიზგიზებდით ბუხარს. გარე ყანებს ამუშავებდნენ, დედას გვერდით, თესდნენ სიმინდს, თონინდნენ, როცა ტაროს გაიკეთებდა, სიმინდი სოფლელები ყანებში „ხულებს“ დგამდნენ და ღამეს ათენებდნენ, ყანა დათვს რომ არ „დაებელა“, დაეტორა“, არ შეეჭამა, თურმე ძალიან უყვარს დათვს ჭყინტი სიმინდი. რა

თქმა უნდა, ყოველ ღამე მე მივყავდი ჩემს და-ძმებს „ხულაში“, რაც ჩემთვის დიდი სიხარული იყო. ვწვავდით ტაროს, კვახს და მთელი რამე ცეცხლი არ ჩაგვექროსო მთელი სოფლის გოგო-ბიჭები დღისით საქმეს რომ მორჩებოდნენ, საღამოს დადლილ-დაქანცულეები მიდიოდნენ ჟივილ-ხივილით „ხულეებში“. შიშველი ხელებით დათვებთან საბრძოლველად. ეტყობა მხეცებს ცეცხლის ეშინოდათ, რადგან არ მახსოვს, რომ დათვს იქ გაეჭაჭანებინოს, სიმინდი მშრომელი კაცის იმედი, სადაც „ხულა“ იდგა და ცეცხლი ინთებოდა, იყო გადაძახილ-გადმოძახილი, ხან ერთ-ერთ „ხულაში“ მოიყრიდნენ თავს სოფლის „ჩასავალა“ უბნის ახალგაზრდობა და მთელს ღამეს ათენებდნენ სიმღერასა და ცეკვაში ეს ხდებოდა სოფლიდან შორს, უღრან ტყეებს შორის, სადაც ეს ყანები იყო „ხულას“ აკეთებდნენ ძალიან იოლად, იქე-აქეთ დაასობდნენ სარებს, მოწნავდნენ გვერდებს, წინ ღია იყო, ზევიდან იხურებოდა ყავრით, წვიმა რომ არ ჩამოსულიყო, მინაზე გაგებულნი იყო თივა, ჩალა და წამოვუნვებოდით ცეცხლს, ვუყურებდით ღამაზე ცას, გვესმოდა ბუს კივილი, მგლის ყმუილი, ტურის ჩხავილი, ჩვენი ჭკვიანი ძაღლი ტყუილა არ დაიყვებოდა, თუ რაიმე საფრთხე არ იყო ახლოს.

ჩვენ ერთი ყანა გვექონდა შორს სოხორთულში. გადაღმა ადგილას, სახელი აღარ მახსოვს იმ ადგილის, დედა ჯავრობდა, დამიბრძიყვეს უკაცო ოჯახი, რომ მაქვსო, მოკლედ, ჩვენ ვიყავით იმ ტყეებში ბოლო. იმის იქეთ აღარავინ აღარ იყო, გარდა ნადირისა, დავამუშავეთ, მოვუარეთ და ისეთი ყანა გამოგვივიდა, რომ მტერს თვალს უყენებდა. ვაჟამ და კაკომ ღამაში „ხულა“ გააკეთეს, ვუთევდით ღამეს და ყველას ვაჯობეთ. ერთ-ერთი ღამის თევის დროს, შუაღამეს, წყალი მომწყურდა, თან აღარ გვექონდა, ვინჩიალე, ვაჟას ვაღვიძებ, თან მეცოდება, იმდენად მწყურია და რომ აღარ დამეძინა, წამო „კუკლა“, ამხელა სიმინდებში ჩავძვრები, მოწკრილებული ცაა და ამ უღრან ტყეში პატარა ყანაში თითქოს მთელი შუქია თავმოყრილი, ისე გაკაშკაშებული იყო ირგვლივ ყოველი. მივდივართ მე და ჩემი განუყრელი, ერთგული მეგობარი ძაღლი, იქვე ყანის თავში, ტყის პირას, სადაც სამარხილე გზა გადიოდა, ბუნებრივი წყალი ამოდიოდა ქვევიდან, არც ღარი ჰქონდა და არაფერი, სასმელი წყალი იყო. მივადექი ამ პატარა გუბეს, რომელიც ხის ხმელი ფოთლებით იყო დაფარული, მივწინ-მოვწინე ეს ფოთლები და დავენაფე ამ შუაღამეზე წყალს. ასე მეგონა აღარ მეყოფოდა ეს პატარა გუბე. თითქოს ჩემმა ძაღლმა თანაგრძნობა გამინია, იმანაც მეორე მხრიდან თხლაპათხლუპი აუტეხა ამ წყალს, ეტყობა სწყუროდა. როცა წყურვილი მოვიკალით მე და „კუკლამ“, ტყის შუაგულდიდან მოგვესმა ღანა-ღუნნი, ძაღლმა ყურები ცქვიტა, ხმა არ ამოიღო-თქო ნავჩურჩულე, კისერთან თმა ყალყზე დაუდგა, არ ვიცი შიშისგან თუ საბრძოლველად მოემზადა, ეს პატარა, ღამაში არსება, რომელსაც ადამიანივით ესმოდა. მოვეკურცხლე „ხულისკენ“, ვაჟას ტკბილი

ძილით ეძინა, არც გაუგია, ნაკვერჩხლებს შეშა მოეფუმარჯვე, სული შეეუბერე და ცეცხლი ავაგიზგიზე, ხმაური დიდხანს ისმოდა ტყიდან, გამთენიისას მივეხუტე ვაჟას და დამეძინა. რომ გავიღვიძე მზე ამოსული იყო. ვაჟა შემოვიდა, შეახვია ნაკვერჩხლები ნაცარში, რომ სალამომდე გაეძლო. ასანთი იშვიათობა იყო იმ წლებში (1947-1948 წ.წ. ომი ახალი დამთავრებული იყო). რომ გამოვიარეთ წყალთან დათვის ნაფეხურები შეამჩნია ვაჟამ, ხედავ, სად ჩამოსულა წყალი, დაუღევეია, თან ზემოთ „დათვემსხალა“ არის და იმის საჭმელადაც იქნებოდაო. მე შემეშინდა, რომ შევეჭამე-თქო, წუხელი ასე და ასე იყო-თქო, გაგიჟდა ვაჟა, უჩემოდ როგორ გაბედე ღამე „ხულიდან“ გამოსვლაო, კიდევ კარგი დათვმა რომ არ „დაგტორა“ (თურმე დათვი ტორებით კლავს მსხვერპლს და მერე ჭამსო), მერე ავტირდი შიშისგან. გამოეუარეთ დანარჩენ უბნელებს, რომლებიც ჩვენსავით ღამეს ათევდნენ „ხულებში“ და გამოვნიეთ სოფლისაკენ, რომ ახალ შრომის ფერხულში ჩავმდგარიყავით, თან თითო კონა შეშა მოგვექონდა.

მახსოვს, ჩვენი უბანი, მთელი სოფელი ხანშიშესული თუ ახლგაზრდა თვეში ერთხელ ან ორჯერ რომელიმე ოჯახში, რა თქმა უნდა დიდ სახლში მართავდნენ ღამისთევას ან „ოჩხარს“. ღამისთევასი უფრო ახალგაზრდები მიდიოდნენ, მოიყრიდა სოფლის ახალგაზრდობა ვინემს სახლში თავს, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, დაირაზე და გარმონზე, რომლის დაკვრა თითქმის ყველამ იცოდა, განსაკუთრებით დაირის დაკვრა, მაგრად იცოდა ჩემმა დამ საშამ. რა თქმა უნდა, დაირას და გარმონს ყოველთვის ვერ შოულობდნენ და შაირებზე და სკამზე დაკრულზე ცეკვავდნენ ახალგაზრდები, აქ ხდებოდა ერთიმეორის შეყვარება, შეძულება, ეჭვიანობა და ა. შ.

„ოჩხარი“ გვიხაროდა ყველას, დიდს და პატარას. აქ ყველა ოჯახს მიჰქონდა სახლში გამზადებული პურ-მარილი, რაჭველებისთვის დამახასიათებელი ლობიანი — ბაჭულები, ლორი, „ბოხჩურები“, რომელიც ცხობის დროს ოთხი მხრიდან ბოხჩასავით იკვრებოდა, ნადუღით და ერბოთი იყო გატენილი, შუა ადგილი ღია ჰქონდა და ერბო გადმოდიოდა იქედან, ძალიან გემრიელი რამე იყო, მოქონდათ ღვინო, ქათმები და რა ვიცი რა. ყველა დიასახლისი თავს ინონებდა თავის ნამზადით. იყო ქეიფი, ცეკვა, ორპირული სიმღერები, ფერხისა ჩაბმული იყვნენ ყველა ფერხულში, თან მღეროდნენ და თან ცეკვავდნენ. ახლაც თვალწინ მიდგას და თითქმის ზეპირად მახსოვს ის ღამაზი ტკბილხმოვანი სიმღერები. თითქოს ყველა ჩემი სოფლელი ცეკვავდა და მღეროდა. აქ ერთობოდა ეს შრომით დაღლილი ხალხი თქვეში ერთხელ მაინც. იცოდნენ ათასნაირი დღესასწაულები, მაგალითად, „ბოსლის საქონელს კუდის ქვეშ ქონს უსვამდნენ, რომ მსუქნები ყოფილიყვნენ. მაღავდნენ

კვერცხს ბოსელში, ვინც მეორე დღეს იპოვნოდა, იმისი იყო, ზურგზე მოკიდებული მიყვავდით უფროსებს უმცროსები და ვყვიროდით: ბოსელი, ბოსელი უ..., რატომ არ ვიცი.

ძალიან გვიყვარდა ბავშვებს „მელიაკვერობა“, რომელ თვეში იყო აღარ მახსოვს, უფრო გაზაფხულზე, გამოგვიცხოვდნენ თითო ხაჭაპურისხელა კვერს, ყველა ბავშვს სოფელში, მოგცემდნენ ხელში ჯერ კიდევ ცხელს, გამოგვეკიდებოდნენ ძახილით „მელიამ კვერი მოიტაცაო“, ჩვენც გავრბოდით, კისრის ტეხით სოფლის რომელიმე ადგილას, მე იქვე ახლო ყანაში „გვერიდთავთან“ გავრბოდი, შემოვჯდებოდი უზარმაზარ ქვაზე, რომელიც ყანის შუაგულში იყო და ახლაც იქნება დაახლოებით (5-6 მ სიმაღლის), ჯერ პატარ-პატარა ნატეხებს, უფრო ნამცეცებს მოვუტეხავდი ქორს, ჩიტს, მელას, ძერას და რაც სახელი ვოცოდი ჩამოვთვლიდი, ვცდილობდი, რაც შეიძლება ცოტა მომეკლო, რომ ბევრი მე შემეჭამა, ნერწყვი მომდიოდა, ასეთი სიხარული წელიწადში ერთხელ გვექონდა, ეს „მელიაკვერობა“ სხვაგან არსად გამიგია.

ძალიან ეშმაკი საქმიანიც რომ ვიყავი, ვიზრდებოდი ბიჭებში, ბიძაშვილებში, ყველაფერი ბიჭური მიყვარდა და მეხერხებოდა, უბანმა „ქალბიჭა“ შემარქვა, თან მეუბნებოდნენ, შენ რომ ცისარტყელას გადააბიჯო, ბიჭად გადაიქცევიო. რამდენი მინდორი გადაგვირბენია სოფლის გოგოებს, როცა ნანვიმარზე ცისარტყელას დავინახავდით, რომ გადავბტომოდით და ბიჭებად გადაექცეულიყავით. ეს რომ არ შეიძლებოდა, ახლა ვხვდები, რასაც უფრო მოვუახლოვდებოდი, გორას, ცისარტყელა უფრო შორს მიდიოდა. ასე დამრჩა ეს ბავშვობის ოცნება აუხდენელი.

ჩვენი ძროხა „შამირა“ მაკეთ იყო, დღედღეზე ხბო უნდა მოეგო, საბალახოთ მაინც ვუშვებდით, ახლო ყანებში, არ ვმწყემსავდით საქონელს, სალამოს ყველა პირუტყვი მოვიდა, „შამირას“ გარდა, საშამ და ვაჟამ ღამით გადაწყვიტეს მოსაძებნად ნასვლა, მგლებმა არ შეგვიჭამოსო. რა თქმა უნდა, მეც ნამიყვანეს, არ ვიცი, ძალი რატომ არ წაგვეყვა, ვიარეთ, ვეძებეთ, მაგრამ იმ ღამეში ვერ მივაგენით, საქონელს უყვარდა ხშირად ერთ და იგივე ადგილზე დადგომა. ვაჟამ თქვა, ავიდეთ „ნაკართოფილებთან“ (მინდვრის სახელია) და თუ ვერ ვნახეთ, ღამე გავათიოთ, იქ იქნება ახლომახლოო. დიდი წიფელის ქვეშ დავანთეთ ცეცხლი, შემოვუსხედით და ზოგჯერ ვაჟა ნაისტვენდა, ზოგჯერ დაიყვირებდა, რომ მგლები დამფრთხალიყვნენ, რომელთა ყმუილი იქვე „მეტრეველიანთ ახოდან“ ისმოდა. ჩვენ ხმაურზე მგლები ჩუმდებოდნენ. მე ძილი მომეკიდა, ჩავუდე თავი საშას კალთაში და ჩაეიძინე. ეტყობა რიჟრაჟზე შემცივდა და შევეტრიალდი, პირით ტყისკენ, ზურგი მივუშვირე ცეცხლს, თვალი უკვე არჩევდა ტყის სულუეტებს, უკვე თენდებოდა, უცებ რამოდენიმე ხის იქეთ, რალაც გაინძრა, დავაკვირდი და ჩვენი ძროხა არ დავინახე,

ვიყვირე სიხარულით, წამოვხტით და ჩვენს მარჩენალს ფერება დაფუნყეთ, ზუსტად მიხვდა ვაჟამ, რომ ძროხა აქ იქნებოდა სადმე. ძლივს მობაჯბაჯდა სახლში, მეორე დღეს აღარ გავდენეთ საბალახოზე, მესამე დღეს კი მოიგო, შავი მაცვალივით საძროხე ხბო. დავარქვი „ხატულა“, ასე გადავარჩინეთ ძროხა და ხბო მგლებს.

ჩვენი უბნის მოზრდილები, ჩემი ძმები, ბიძაშვილები და ჩალაძეები გოგობიჭები ნასულები იყვნენ 2-3 დღით „უსტნულებში“, ზოგს თივა უნდა დაემზადებინა, ზოგიც „ხულებში“ იყვნენ სიმინდის საყარაულოდ. სალამოთი იკრიბებოდნენ ეს გოგო-ბიჭები და ერთობოდნენ, 2-3 დღეში უკვე სახლში უნდა მოსულიყვნენ, მესამე დღეს ვინცლამ ამბავი მოიტანა, ბიჭუნები მდინარე ლეხუმში ჩაცვივულან, ხიდუკა ჩანგრევიათო. დარჩენილები არიან გაღმა, მაშინათვე ჭრაქებით, კვართი, ხელში წავიდა მთელი „ჩასავალა უბანი“. რა თქმა უნდა, დედაჩემიც. გამოღმიდან ესენი ეძახიან, რაღა ხართო. ზოგს თავი ჰქონდა გატეხილი, ზოგს ფეხი და ხელი ნაღრძობი, ჩემს ძმას ვაჟას კი ცელით მუცელი გაჭროდა. მოიყვანეს კაცები, გადეს ხიდი, ერთი დიდი მორი იყო გადებული ქვებზე და ეს მორი ასრულებდა ხიდის მოვალეობას, თურმე ვაჟა და კიდევ ერთი ბიჭი შედგნენ და შესაშინებლად ყველა რომ იყო შემდგარი ამ ხიდზე დააზანზარეს, აგორდა ეს მორი და ჩაცვივდა ყველა ამ მთის ყინულივით და ჩქარ მდინარეში. როგორც იქნა გავიდნენ იქეთა ნაპირზე, ვაჟას ჭრილობა ვითომ რაღაცით შეუხვიეს, დიდხანს და ახლაც გასახსენებლად აქვთ ბიჭებს ეს ამბავი.

ჩვენს უბანში იყო ამაღლებული ადგილი შუა მინდორი, რომელსაც „ციხია გორას“ ეძახდნენ, ეტყობა ამ ადგილას ოდესღაც ციხე, თავდასაცავი კოშკი ან რაღაც ამდაგვარი რაიმე იყო აშენებული, რომელიც დროთა განმავლობაში ტყით და ბალახით დაიფარა. იქ იყო მამაჩემი და მისი წინაპრები დასაფლავებული, ეტყობა „გოგიტაენტების“ სასაფლაოდ ითვლებოდა. პატარა ადგილი იყო და ლამაზი. მახსოვს დედაჩემი გადაგვიყვანდა ხოლმე საფლავზე, ახლა სხვებიც, ასაფლავიან იქ. მე ვეღარც ვიცნობ საფლავს, ჩემი ძმები კი, იცნობენ მსხლის ხეო დარგული თავთანო.

როგორც ყველა ბავშვს, მეც წელიწადის ყველა დრო მიყვარდა. გაზაფხულზე ბუჩქების ძირას „კანალკულნულას“ (ყოჩივარდებს რომ ეძახიან) ვკრიფავდი, და ჩემს სათამაშო სახლში, რომელიც პატარა ოთახში მქონდა მონყბილი, ჩალის ღერისგან გაკეთებული, ვითონ „კუკლა“, შემოხვეული ათასგვარი ფერადი ნაჭრებით და მიმსგავსებული თოჯინას, ფერადი ბრჭყვიალა შუშის და თეფშების ნატყებებით მორთული „კუკლის“ პატარა სახლი მართლა ლამაზად გამოიყურებოდა. უენიას დედა იულია პატარა აკვნებს გვიკეთებდა ბავშვებს, აკვანში ჩალასგანვე გაკეთებული პატარა მენვინა, შიგ ჩადებული იყო ყველაფერი, ის რაც საჭირო იყო აკვნისთვის, ქურჩაში

ჭრელს და ლამაზ კენჭებს რომ ვიპოვიდი, ან შუშის ნატყეხებს, ყველაფერს სათამაშოდ იყო გამოყენებული (ახლანდელი ბავშვს უამრავი აქვს ყველაფერი, მაგრამ ის სულ სხვა იყო. არაფერი არ უკვიროთ, მე და ჩემს ამხანაგებს კი უზომოდ გვახარებდა ქუჩაში ნაპოვნი ჭრელ-ჭრელი ნაჭრები, ქვის კენჭები, შუშის ნამსხვრევები, აყალო მიწისგან გამოძერწილი ათასნაირი ცხოველი, ფრინველის თუ ადამიანის ფიგურები.

ზამთარში „კანკებზე“ ვსრიალებდი არა ისეთებზე, ახლა რომ სავსეა მაღაზიები. ჩემი ძმის ვაჟს ვაკეთებულთ, „მოზიძგულ“ თოვლზე რომ გავქანდებოდი, „სიკოსეულას“ დაღმართებში, ვერვან მენეოდა, ისეთი ყინვები იცოდა, თოვლი ზევიდან იყინებოდა, იმდენად რომ ზედაპირზე ვსრიალობდით დიდი და პატარა. კანკებით „დონბურებით“, (სახლში ვაკეთებული ციგა) გადაყირავებული ტაბლებით, მარხილით და რა ვიცი რითი აღარ. ამ ტაბლით უფრო დიდები სრიალებდნენ, ვაჟა იყო ვითომ შოფერი, რამდენჯერ ამოყირავებულან და დამტვრეულან, მაგრამ მე რაც დამემართა ის არავის არ მოსვლია, „ქალაბიჭას“ ტყვილა კი არ მეძახდნენ, ავიყოლიე რამოდენიმე ბავშვი, ზოგი დიდი ჩემზე, ზოგი პატარა, გამოვაცანინე იას, სილუას გოგოს ტაბლა, კარგა მოზრდილი იყო, დავჯქით ექვსიოდე ბავშვი, გადაბრუნებულ ტაბლაზე და დავეშვით დაბლა. რა თქმა უნდა „შოფერი“ მე ვიყავი, გავარდა ამ „მოზიძგულ“ თოვლზე ეს სუფრა, თოვლის გაყინული ტაბლის მიერ აყრილი ყინულები სახეში გვეყრებოდა, ზოგი გადმოვარდა გზადაგზა, ასეთი სიჩქარის დროს და შიშისგან და შემოყრილი თოვლისგან თვალედახუჭულმა გადავფრინდით სადღაც. საშინელი მტვრევის, მსხვრევის ხმა, ნივილი, კივილი, ბავშვების და მერე დიდების, გავახილვე თვალი და გაყინულ „ხოროღელეში“ ვართ ჩავარდნილები, ტირილი შიშისგან და ტკივილისაგან. ამასობაში მოიბრძინეს უფროსებმა, ამოგვიყვანეს დაჩეჩქვილები, გალიგვებულები, ზოგს თავი გვექონდა გატყეხილი, ფეხი ან ხელი ნალრძობი, დაფხაჭნილები, მოკლედ, დამახინჯებულები ვიყავით. ჩვენ ხომ ჩვენი გვეჭირდა, მოვარდა იას დედა კატო, დაიშინა თავში ხელები, რალა ვქნა, სუფრუკა სულ დაუფშენიათო, მომკლავს სოლოუკაო, ჩვენ რომ ბავშვებად აღარ ვვარგოდით, ამას არ ჩიოდა, ბოლოს დედამ დაანყნარა, ეს ბოვშვები გადაგვირჩინენ და მე მოგცემ ტაბლასო. ამას კი მოვკლავ, ოღონდ ახლა გადამირჩესო. ყველა გადავრჩით, არც ერთი არ დავმახინჯდით, ოღონდ მე ახლაც მაქვს თავზე მაშინდელი ნისშანი.

ძალიან მიყვარდა „კალოობა“, ჩვენს სოფელში პურის მოსავალიც იყო, მომკიდნენ, გააკეთებდნენ ძნებს და რომ გაუვლიდა ნიავი შემოზიდავდნენ კალოზე, კალო ჰქვიოდა სწორ ადგილს, რომელიც ჩვენს უბანში „ჩასავალი“ შუაში იყო მოქცეული. ჩვენს სახლთან იქვე, ახლოს კალოს სოფლის ქალი დაკაცი ამზადებდა პურის გასალენად, შემდეგნაირად. ნაკელი მოჰქონდათ

ბევრი, როგორც მახსოვს, წყალში ზილავდნენ ფეხებით ამ ნაკელს, მერე მოასხავდნენ ამას კალოს და ასწორებდნენ, ამას ჰქვიადა „მოპეტვლა“ დატოვებდნენ მზეზე და ეს თხლად დასხმული მასა ახმებოდა მიწას. როგორც მოასფლატებული, ისე იყო. გაამზადებდნენ კევრებს, კევრები ძირიდან მოჭედილი იყო კაუჩი წვეტიანი ქვით. სად შოულობდნენ ამდენ კაუჩ ქვას არ მახსოვს. ჩვენს უბანს 4-5 კევრი გვექონდა, ჩვენს პატარა კალოს კი ყოფნიდა. ეს კევრი გამოიმუშავდა იყო გრძელ და მსხვილ ხის ტოტის ნაჭერზე, შეაბამდნენ ორ ხარს უღელში, დაამაგრებდნენ ღველერჭით ამ კევრს ხეზე, ხეს უღელზე და მზად იყო პურის გასალენად.

გაყენდნენ ამ კალოზე თავთავეებს, რომელიც ძნებით იყო კალოს ირგვლივ გაკეთებული (უბნის ბავშვები სულ აქ ვთამაშობდით კუკუდამალობანას, ამდენ ძნეში ისე ვიმალებოდით, კაცი ვერ გვეპოულობდა), შეგვაჯენდნენ დიდი ხვეწნა მუდარით ამ კევრზე ერთდორულად 2 ან 3 უღელი ხარი იყო შებმული, 2-3 ბავშვს, სიმძიმისათვის, მოგვცემდნენ ხელში ხის ნიჩაბს, რომ ხარებს პურში არ მოეფუნათ, ჩა... ად, თორემ კევრი რომ გადაუვლიდა და აიზილებოდა ეს ახალი ნაკელი პურის კაკალი ფუჭდებოდა, ჩვენ ოღონდაც კევრზე დავესვით და ამ დავალებას პირნათლად ვასრულებდით, მიციცინებული ვიყავით ხარის ქუდის ძირში, აწევდა თუ არა ზევით მომარჯვებული გვექონდა ნიჩაბი, რომ მოათავებდა ხარი თავის ამბავს, გადმოვხტებოდით კევრიდან მოვისროდით ნაპირას ნაკელს და ვაგრძელებდით ლენვას. ამ პატარა მრგვალ კალოზე დილიდან, საღამომდე (შუადღეზე ვასვენებდით ხარებს, ჩავდენიდი მდინარე გუგუშურაზე და ვარწყულვებდით ამ სიციხით გათანგულ პირუტყვს, ჩვენ კი „სიკოსეულას ღურღულში“ ვბანაობდით, დიდი „ღურღული“ იყო და ჩვენც უფრო დიდს ვაკეთებდით, ყვინთვა და ცურვა იქ ვისწავლე). ან ჩვენ, ან ხარები როგორ უძლებდნენ ტრიალს, პური ისე ილენებოდა, წვრილ-წვრილი ნაწილები რჩებოდა ამხელა ღეროებიდან (ამას „ბზეს“ უძახდნენ, ინახავდნენ ქოხებში და ზამთარში პირუტყვს აჭმევდნენ), საღამოს ამ გალენილ პურს თავის ბზიანად მოუყრიდნენ, მიხვეტავდნენ ხის სპეციალური სახვეტებით (სახელი არდანი დამავიწყდა ამ საგნის) ნიაგი მოუბერავდა თუ არა ნიჩბებით დიდი და პატარა ჰაერში ისროდნენ ამ ნალენს (ქალი და კაცი პირშეხვეულები იყვნენ, რომ ბზე არ ჩაყროდათ თავში, მაგრამ რას უშველიდათ ეს სახვეტები), ნიაგს ბზე გვერდზე მიჰქონდა და ერთ მხარეს საითკენაც ნიაგი ქროდა, იქ აგროვებდა, ხოლო პურის მარცვალი როგორც მძიმე, დაბლა, შუაგულში იყრებოდა ასე წვალობდნენ და ანიაგებდნენ პურს მანამ, სანამ სუფთა მარცვალი არ დარჩებოდა შუაში. ეს ყველაფერი ჩემი თვალით მინახია მონაწილეობაც მიმიღია. კალოსთან იდგა ორი დიდი ძირი მსხალი, ორივე კალოობის დროს შემოდებოდა ე. ი. მნიფდებოდა, ერთი იყო „შავსხალა“, მეორე „თეთრსხალა“, ორივე უგემრი-

ელესი იყო, ერთი შავად ღუჯდებოდა, მეორე თეთრად, სახელებიც იმიტომ ერქვა ასეთი. ამ დროს თითქმის ყველა მსხალი იყო შემოსული „მწვანია“, მწვანედ მწიფდებოდა, სანამ არ ჩაქებჩავდი, ვერ გაიგებდი, რომ მწიფე იყო, „ბორა“ — მსხვილი მსხალი იყო, რომელიც სოფელში იშვიათობა იყო, რაჟდენა რეხვიაშვილს ჰქონდა და ვპარავდით ხოლმე. ათასნაირი ჯიშის ვაშლი გვქონდა საერთოდ ჩვენებური ხილის გემო ახლაც მახსოვს, მსგავსი არსად მინახია, იყო „გადამშური“ ოსების სოფელი იყო რაჭასთან ახლოს და „გადამში“ ჰქვიოდა, ეტყობა იქედან იყო ეს მსხალი მოჯიშებული. ბლომად გვქონდა „ხეჭეჭური“, არაჩვეულებრივი გემოსი, ვაშლი აბილაური, იყო ყველანაირი დაწყებული ბლიდან დამთავრებული ბიამდე. ატამი არ გვედგა. ჩვენ ჩემს ბიძაშვილებს, ეს ხილი იშვიათობა იყო ურავში. 1 თუ 2 ძირი ვენახში ედგა, გუგუშურიას პირზე დარიკუნა ჩალაძეს. ერთხელაც „სიკოსეულას ღურღულში“ ვბანაობდით. მე, ვახო, პახულა და ალიოშა ჩალაძე, ილიას ბიჭი, ბანაობის შემდეგ მოილაპარაკეს დარიკუნას ატამი მოვიპაროთო. წითლად იყო დახუნძლული, გადავიდნენ ლობზე, მე ლობესთან დამტოვეს პატარა ხარო, კრეფდნენ და უბეში იყრიდნენ, მეც მანოდებდნენ და უბეში ვიყრიდი. ამ საქმიანობაში რომ ვართ, უცბად ფეხის ხმა მომესმა, გავიხედე და ფეხშიშველა დარია მორბის, გვეპარება, არიქა ბიჭებო დარიუკა გვეპარება—თქო, ვიყვირე და გავიქეცი, გადმოახტნენ ბიჭებიც ლობეს და გავრბივართ უბნისკენ, მე მართალია წინ ვიყავი, მარაბ ბიჭებმა გამისწრეს, მივრბივართ და მიგვდევს წყევლა-კრულვით დარია. მე შიშისგან და სიმწრისგან ტირილ-ტირილით მივრბივარ. ატამი უბეში ხტის სირბილის დროს, შიშველ ტანზე მედება გინგლი და მენვის, ამომეჩეჩა მაისური თუ რაღაც მეცვა, მებნევა ატამი, ღონეც აღარა მაქვს ამდენი სირბილის, დარია მეძახის ეთერუკა შენ ნუ გეშინია. არ გაგლახავ ობოლი ბოშუნა ხარო, მაგენს კი ვუტირებ ყოფასო, ამასობაში წამომენია და ისე ჩამიქროლა მე მაყვლის ბურჯებში ჩავვარდი, ესლა მაკლდა, ისედაც გამწარებული ახლა ეკლებით დავიკანრე, ვეღარ ამოვდივარ ბურდიდან, ვწივი და ვკვივი, შევეცოდე დარიას, მობრუნდა, ამომიყვანა ეკლებიდან, აკრიფა დაბღრიალებული ატამები და ჩამიყარა უბეში, მე მივხვდი, რომ დარია არაფერს მერჩოდა, გავჩუმდი, მაგრამ მუცელი მენვის ატამის გინგლისგან, ხელ-ფეხიდან სისხლი მომდის, რაღა ვქნა ახლაო, რა გიშველოო, წამიყვანა ისევ გუგუშურაზე, მდინარეა, დამბანა, გამაცალა გინგლები, და ეკლები, ქრისტინას არ უთხრა ეს ამბავი, თვარა მომკლავსო, ატამის გულისთვის კინალამ დაგამახინჯე ბოშიო. მომიყვანა ქიშკრამდე და წავიდა თვითონ სახლში, ასე გადავარჩინე ბიჭები დარიას ცემას, ახლა მიკვირს, როგორ შეძლო ამდენი სირბილი ამ ქალმა (აღბათ, ცოცხალი აღარც არის), მე კი იმ ამბის შემდეგ ატამის დანახვაზე ბურძგლი მაყრის, დანახვას ვერ ვიტან და ეს ბავშვობის დროინდელი ეშმაკობა დამიდგება ხოლზე წინ.

ერთხელ ჩემმა ბიძაშვილმა ნოემ, რომელსაც ძალიან ვუყვარდი, ჩამსვა გიდელში, დაწული, მაღალი გოდორი იფნის წნელისგან, მომიკიდა ზურგზე და წამიყვანა „სიკოსეულში“, სადაც საშა მსხალს კრეფავდა და უნდა მივხმარებოდით. ნოემ მითხრა მოდი გიდელას დავავორებ და შენ შიგ იყავი, ხომ კარგი რამეაო. მეც სიხარულით დავეთანხმე, დამაგორა დაღმართში, ჯერ ნელა მივგორავდით მე და გიდელი, მაგრამ უფრო და უფრო რომ მოუმატა სიჩქარეს, მე ავყვირდი, გამაჩრე-თქო, ნოე ველარ დაგვეწია და მე გონება-დაკარგულმა ამდენი ტრიალით, ხმას ველარ ვიღებდი, ამასობაში ჩავვარდი ეკალ-ბარდებში, გიდელი გვერდებიდან დაღენილი იყო ამდენი გორებით, ამომათრია როგორც იქნა ეკლებიდან, მომასულიერა, და შემეხვეწა, საშიკუნას არ უთხრა, თორემ მომკლავსო, გიდელი მამამისს მოპარა და მოურბენია საშას. მე ღებინებით კინალამ მოეკვდი, მაგრამ არავის არ ვუთხარი.

დედაჩემი დღე და ღამე წვალობდა, შრომობდა და შვილებსაც შრომის-მოყვარეებად გვზრდიდა. სიმინდს ან პურს რომ აიღებდნენ, კოლმეურნეობის ყანებში, მერე წავიდოდა დედა და მარცვალ-მარცვალ აგროვებდა სიმინდს და პურს. რა თქმა უნდა მეც მივყავდი, ძალიან ცუდი იყო ნამკალში ფეხშიშველი სიარული და ძებნა თავთავის, მაგრამ მაინც ვაკეთებდი, ერთხელაც გაგვიმართლა, და ბლომად სიმინდის მარცვალსაც და ტარო შევავროვე, მე მივაგენი ბუჩქებში ვილაცის მიერ გადამალულ რამოდენიმე ტაროს (ეტყობა ღამით მოვიდოდა და წაიღებდა), მე გავივსე კალთა და მიუფურბენინე დედაჩემს. გაუხარდა. წამოვიღეთ. სახლს რომ მივუახლოვდით შეგვხვდა ბრიგადირი ბაგრატი ჩალაძე, რომელიც ძალიან გვჩაგრავედა, შეხედა მეშოკით რაღაც მოაქვს დედაჩემს, რა არისო ნასიმიდნარში მოვხიკეო, ახლაცე მომეციო, მოპარულიაო, დედაჩემი რას დაუთმოხდა, ტირილით ეუბნება: მთელი ყანები მოვიარე და შევავროვეთო, იფიცება. ეს ბაგრატი ძალად ართმევს, მე ვტირი, ობოლ შვილებს რატო მიჩაგრავეო, მოიყარა უბანმა თავი, შურიანები ბაგრატს იცავდნენ, კეთილი ადამიანები დედას და მე გვეფერებოდნენ, ეს ჩვენი ტირილი საშამ და ვაჟამ გაიგეს, გამოუცვივდნენ ბაგრატის და კუდით ქვა ასროლინეს. ის ამბავი ახლაც და, მთელი ცსოვრება თვალწინ მიდგას. საწყალი დედაჩემი რამდენ დამცირებას, ტკივილს იტანდა იმ არა-ადამიანებისაგან და მაინც გაგვზარდა, გვასწავლა, შრომა შეგვაყვარა, მტერს მტრულად ხედებოდა, მოუყვარეს მოყვრულად (ასე ვართ ჩვენც), მთელი სოფლიდან 4-5 ბავშვი თუ სწავლობდა, ჩემი ძმები ყველას სჯობნიდნენ სწავლასა და შრომაში. ეს ყველაფერი დედას და საშის დამსახურება იყო.

ერთხელ ზაფხული იწყებოდა, თოვლი აქა-იქლა იყო შემორჩენილი, ჩრდილ-ლებში უფრო გამოიარა კატო ბიცოლამ (ნესტორას მეორე ცოლმა, ფირუზა ანთელაძის ბებია), დედაჩემს სთხოვა სალოცავზე (ნასახტარზე) მივდივარ,

განატყვი“ (კაკლის ლებანით გამომცხვარი პური, ხაჭაპურივით) მიმაქვს და ეთერიკა გამაყოლეო. დედამ მკაცრად გამაფრთხილა მეც და კატოც, სალოცავიდან არაფერი წამოიღოსო. არ დამიბრმავდეს ბოშუნაო, სიხარულით წავეყვი კატოს, თან ჩემი ოთხფეხა მეგობარი „კუკლა“ გამომყვა, კარგა შორს იყო ეს სალოცავი, კუნტრუშით მივრბივარ მე წინ, კატო ბიცოლა კი ნელ-ნელა მოდის. წინ „კუკლა“ მიცუნცულეებს მოკაუჭებული კუდით, რა თქმა უნდა პირველებმა მივირბინეთ მე და ძაღლმა სალოცავთან. აქა-იქ თოვლი იყო შემორჩენილი, ვხედავ ბლომად ფული აწყვია ქვებზე, ზოგი სველია, ზოგიც მშრალია. ეტყობა ჯერ არავინ ყოფილა ზამთრის შემდეგ. იყო ათიანები, ხუთიანები, სამმანეთიანები, მანეთიანები და ხურდებიც, წამძლია სულმა, გავიხედე, ბიცოლა შორს არის, ავკრიფე დიდი ფულები და ჩავიყარე უბეში, ამასობაში კატოც მოვიდა, რომ ნახა ფული, შემეკითხა, ხომ არ აგილიაო, არა-თქო, ილოცა, შეეჭამეთ კაკლიანი პური და წამოვედით, შიშისგან თმები ყალყზე მიდგას, ან ახლა დაგვრმავდები და ან ახლა-თქო, მინდა უკან მივაბრუნო ეს ფულები, მაგრამ არც მინდა, მოვედით სახლში, დედაჩემმა იმ წუთში შემეკითხა ხომ არაფერი აგილია სალოცავიდანო. არა-მეთქი, ფული დავმაღე წიგნებში, დედაჩემმა კიდეც დამიყინა სახლში არაფერი შემომოიტანო სალოცავიდანო, ღმერთი გაგინყრებაო, შეშინებულმა სახლიდან გამოვიტანე ის ფული და გარეთ შუშებში დავმაღე. ნავედი სკოლაში, მაშინ მეორე კლასში ვიყავი და „სიმრუდაში“ ვსწავლობდი, ნახევარი ჩვენი სოფელი გადასახლებული იყო აფხაზეთში, სოხუმის რაიონი, სოფ. ოდიშში 1949 წ. და ამიტომ დარჩენილი ბავშვები დავდიოდით წარმოებაში. იქ იყო მაღაზები, მოკლედ, ნერწყვს ვყლაპავდი, რომ ვუყურებდი, ამდენ ტკბილესს, მდიდარი ბავშვები იყიდდნენ, ჭამდნენ და ჩვენ ობლებს და განირვებულებს ვინ რას მოგვცემდა, კამფეტის ჭამის დიდმა სურვილმა გამაბედინა ის, რომ სალოცავიდან ფული ავიღე. ყოველდღე მიმქონდა ფული, ვყიდულობდი კანფეტს, ვჭამდი და ცოტას სილუას ოთარასაც ვაჭმევდი, შევედიოდი სასადილოში, პირველად ბორშჩის და კატლეტის გემო იქ გავიგე, მოკლეთ, ჩემზე ბედნიერი არავინ იყო (ამაზე ღმერთი როგორ დამსჯიდა, მეტი მაღლი აღარც შეიძლებოდა, რაც მე იმ ფულით გავიხარე), ნოქარი-გამყიდველი შემეკითხა, ამდენი ფული ვინ მოგცა კანფეტს რომ ყიდულობო. ჩემმა სიძემ თედომ-თქო (შოფრად მუშაობდა წარმოებაში ჩემი სიძე, დის ქმარი). უი, იმან გვიხარა, ასეთ მაღლს რომ შერება და ობოლს ყურადღებას გაქცევსო (დალოცა იმ ქალმა თედო, რომელსაც აბაზი არ უჩუქებია ჩემთვის, თუმცა, მდიდარ კაცად ითვლებოდა ყოველთვის). დედის გულმა იგრძნო რაღაც, მითხრა, არ მჯერა, რომ შენ ნასახტრიდან ფული არ წამოიღეო. აიღო მ მანეთი და შეწირა სალოცავს, ჩემმა უჭკუო შვილმა თუ შესცოდა გვაპატიე და მოგვიტევეო, ასე გამოისყიდა ჩემი დანაშაული დედაჩემმა.

დედამ გადანყვიტა ჩემი ლამაზი ძაღლი „კუკლა“ არდო ჩიკვილაძისთვის მიეყიდა. ერთ გიდელ სიმინდში. არდოს ძლიერ მოსწონდა ჩემი „კუკლა“ დედა იძულებული იყო სიმინდში გაეცვალა, რადგან გველეოდა, და სადღა იშოვიდა ასეთ მუშტარს. დღე და ღამე ვტიროდი, ვეფერებოდი, ჩემს ლამაზ ძაღლს, ისიც თვალეებში შემომყურებდა და თითქოს იცოდა ჩემი ტირილის ამბავი, შემომეყვდა, მლოკავდა, კოტრიალობდა ჩემს ფეხებთან, თითქოს მამშვიდებდა, ტყვილად ტირიო, რამოდენიმე დღეში გამოჩნდა ეს არდო (რომელსაც დედაჩემი ზღვის ცხოველს ეძახდა, ალბათ, თბილისის ზოოპარკის ბეგემოტი ჰყავდა ნანახი და იმას ამსგავსებდა თავისი მსხვილი, უაზრო სახით, ტანით და ცხვირით, ყოველ შემთხვევაში მე რომ თბილისში ბეჰემოთი ვნახე, არდო ჩიკვილაძეს მოვამსგავსე და მაშინათვე დედა გამახსენდა. დედა თბილისში ხშირად ჩამოდოდა აქ ჰყავდა დები, უფროსი და ბაბილა, თავის მონაგრით. მიხაროდა თბილისიდან მისი დაბრუნება, ჩამოჰქონდა ნაცვამი ტანსაცმელი, საჭმელ-სასმელი ჩვენთვის. არდომ ზურგზე მოკიდებული გიდელი დაცალა, ჩემი „კუკლა“ ყოველგვარი გადაღიანების გარეშე, ერთი კი დაუკრიჭა კბილები არდოს ავად, აუხვიეს თვალეები, ჩესვა გიდელში ჩემი ლამაზი ძაღლი და წაიყვანა, ჩემი ტირილი ცაში ადიოდა ალბათ, არდო კი მიძუნძულებდა თავის გიდელით და ჩემი ცუგოთი იმ დღიდან აღარ დამენახებოდა თვალით ის და მისი ოჯახი (ეს გამომყვა დიდობაშიც და, ალბათ, ეს სიძულვილი შეიქნა მიზეზი მისი უდროო სიკვდილისა).

გაიარა რამოდენიმე დღემ, ეზოში ვარ და ჩემი „კუკლა“ გადმოახტა ღობეს, შემომახტა სახეზე. წკმუტუნ-წკმუტუნით, მლოკავს და აღარ იცის რა ქნას. მე სიცილ-ტირილი ამივარდა, დავჯექი და ვეფერებოთ მე და ძაღლი ერთმანეთს. დედა სახლში არ იყო. გავიქეცი და ქოხში დავიმალეთ მე და ძაღლი, ვიცი, რომ არდო მოაკითხავს ძაღლს (არდო ზევითა უბანში, „ოტიანახულევზე“ ცხოვრობდა). ამ სიხარულსა და ფერებაში დამძინებია მე, ძაღლიც გვერდზე მომწოლია, დაუდევს თავი ჩემს ხელზე და დაუძინია. უკვე მოსალამოებულია. დედა და საშა სამუშაოდან მოსულან, მომიკითხეს მეზობლებში და არსად არა ვარ. ამასობაში ის არდოც მოსულა თავის გიდელით, ძაღლი ვერაფრით ვერ მივიჩვიეო, რა არ გავუკეთე, საჭმელს პირს არ აკარებდა, დავაბი, თოკი გადაულრღნია და გამოქცეულაო. დედა კი მიხვდა ჩემი გაუჩინარების მიზეზს, უკვე მიხვდა, რომ მე და ძაღლი ერთად ვიყავით, თუ ძაღლის მოვლის თავია რა გქონდა, სად მიგყავდაო, იქეთ შეუტია დედამ არდოს, მოვა, ალბათ სახლში, თუ წამომყვა წავიყვან, თუ არადა, სიმინდი უკან უნდა წავიღოვო, ამოიღულულა თურმე, ზღვის ცხოველმა, რა სიმინდი, რის სიმინდი, ამდენ ხანს ძაღლი შიმშილით მოგიკლია, ვინ იცის, იქნებ დაიკარგა კიდეცო. ის სიმინდი დავფქვი და შევჭამე კიდეცო. იმ ძაღლს ისე უვლიდნენ ბოშები, თავის ლუკმას აჭმევდნენ, შენ თუ თავი არ გქონდა, სად მიგყავ-

დაო. გაუშვა კუდამოძეებული არდო დედაჩემმა. ამასობაში საშამ ჩემი ძეგნა დაინყო ძაღლმა რომ გაიგონა საშას და დედაჩემის ხმა ანმკმუტუნდა, მაგრამ ქობიდან არ გამოდიოდა, არდოს წასვლამდე, ძაღლის ნკმუტუნი გაიგო საშამ და სიხარულით გამოგვიყვანა სამალავიდან, ასე შეგვძინა ჩემმა ჭკვიანმა ძაღლმა სიმინდი, თვითონ კი დაგვიბრუნდა სახლში.

ბევრი რამეა ჩემი ბავშვობის, ძნელი ბავშვობის მოსაგონარი. დღეს მოდის და მოდის ის პატარაობის დროინდელი ლამაზი თუ ულამაზო გაჭირვების თუ დაღბინების დღეების და ღამეების მოგონებები, ალბათ, ყველაფერი, რომ დავწერო არ მეოფა არც ფურცლები და არც დრო, მე ამ მოგონებებს იმიტომ ვწერ და ვიხსენებ, რომ ვადარებ ერთიმეორეს მაშინდელს და ახლანდელს, რომელი სჯობია, მე რომ ვცხოვრობდი და ვიზრდებოდი, ლამაზ, სუფთა ბუნებაში, ვჭამდი სუფთას და ნაღდს, თუ ახლა, როცა ყველაფერია, მაგრამ მონამღული, ჰავა თუ წყალი, ბუნება და ადამიანები, ჩაგვრა, ღარიბი და მდიდარი, სულ ყოფილა და იქნება, მაგრამ რა ეშველება ამდენ შურს და ბოღმას, რომელმაც კულმინაციას მიაღწია, საზღვარი აღარ აქვს აღარაფერს, მე სულით და გულით, მთელი ჩემი ძალ-ღონე მოვახმარე კარგი კაცთ-მოყვარე, ერის ერთგული შვილები რომ გამეზარდა, მივალნიე, ვამაყობ მათით, კარგი ოჯახები აქვთ. შვილიშვილებიც მათნაირი კარგები მინდა რომ იყვნენ, ჯერ-ჯერობით არიან, რომ გაიზრდებიან, როგორი იქნება მაშინ ცხოვრება, როგორ აუნყოფენ ამ ორომტრიალს ფეხს რა იქნება, მაფიქრებს, მადარდებს, ძალიან ძლიერ ფესვებსზე, ძლიერი ამონაყარია და გულითა მჯერა, ჩემი შთამომავალნი იხარებენ, იმრავლებენ, იკარგქალებენ, იკარგვა-ჟკაცებენ, მეც ამ იმედებით ვარ შევხარი მათ.

დანარჩენი მინდა დავწერო აფხაზეთში გადასახლება, იქაური ამბები, დღევანდელამდე, ყველაფერი, რაც გადამხდენია თავს როგორ მოვისწრაფოდი წინ, როგორ მივალნიე იმას, რაც ჩაფიქრებული მქონდა.

1950 წელს, თვე აღარ მახსოვს, ალბათ, აპრილი, მაისი, ურავის ნაწილი, რომლებიც დარჩენილი ვიყავით ამ სოფელში (ნაწილი 1949 წელს გადაასახლეს გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნში, XIX პარტიული ყრილობის სახელობის კოლმეურნეობა). „...რამდენს ვთამაშობდით დარჩენილი ბავშვები მიტოვებულ სახლებში და ეზოებში. ბავშვებს კი გვიხაროდა ეს მიტოვებული ეზო-მიდამო, მაგრამ უფროსები ნუხდნენ, რომ სადღთაც შორს აფხაზეშში — „ველურებთან“ გადასახლეს ძალით მეზობლები, რომელთა ამბავი იშვიათად მოდიოდა წერილით ან ვინმე თუ მოვიდოდა ურავში.

რამდენიმე ოჯახი დავრჩით, მოიშალა მეურნეობა, ყველა აკეთებდა იმას, რაც უნდოდა, დარჩა მინდვრები, ყანები, სახლები უპატრონოთ. მიდიოდა

უღიმღამო, უინტერესო დღეები. მომრავლდა ნადირი, ადრე თუ იშვიათად იკარგებოდა საქონელი, ახლა ხან სად ნახავდნენ შეჭმულს მგლებისგან და ხან სად ჩვენ სულიერი, ე. ი. საქონელი ბევრი გვეყავდა. ქათამი, ღორი, ვცხოვრობდით. ნესტორა ბიძია, გუჯა და სხვა ბიძამეილები, ყველა გადაასახლეს, დავრჩით „გოგიტაენტებიდან“ მარტო ჩვენ. ახლო-მახლო აღარავინ ცხოვრობდა, იყო ცარიელი, მიტოვებული სახლები. ჩვენს ქვემოთ ცოტა მოცილებით ცხოვრობდნენ რაჟდენა რეხვიაშვილი, ზოსინა ჩალაძე, უცოლშვილო კაცი, იულია ჩალაძე, სილუა რეხვიაშვილი. ეს ოთხი ოჯახი დავრჩით „ჩასავალა“ უბანში. ცოტა მოცილებით „ბასუკეენტების“ უბანი თითქმის ყველა დარჩა. აქა-იქ ისმოდა ძაღლის ყეფა და მამლის ყივილი. „ოტიანახულები“ საერთოდ დაცარიელდა, ზოგი ოდიშში (სოხუმის რაიონი) გადაასახლეს, ზოგიც ლიხნში. ვაჟა სწავლობდა ლიხეთში, კაკო ქუთაისში, თან მუშაობდა, მე „ხიმრულაში“ დავდიოდი მეორე კლასში. დედაჩემი და საშა უძღვებოდნენ ოჯახს. იყო ძალიან მონყენილობა, მაგრამ მაინც უხაროდათ, რომ იმარჯვეს და დარჩნენ ურავში.

მაგრამ მოვიდა ამბავი, რომ ვინც დარჩა ურავში, ისინიც უნდა გადასახლდნენ აქედან გუდაუთაში, ლიხთან ახლოს, დურიფში შენდება სახლები და 1950 წელს მთელი ამბროლაურის რაიონის მილიცია, რაიკომის მდივანი და ყველა პასუხისმგებელი მუშაკი ურავში მოდის, რომ დარჩენილი კომლები (მოსახლეები) უნდა გაასახლონ (ეს ბრძანება იყო მოსკოვიდან, სტალინის და ბერიასი. აფხაზეთში რაც შეიძლება მეტი ქართველი უნდა ჩასახლდეს, რომ ქართული ადათ-წესები არ მოიშალოსო და ცოდნა-განათლება აღორძინდესო, ვინაიდან, იმ დღეს, აფხაზებს არც დამწერლობა ჰქონდათ, და არც სკოლები. თუ არ ვიტყვით აჯამიგრის ოთხნობიან და დურიფის რვანობიან სკოლას, სადაც სწავლება მიდიოდა ქართულ ენაზე. ჩუმცა, შევსება არ იყო, რადგან, აფხაზებს სწავლა არ უნდოდათ.

რაიონის უფროსობა დაბინავდნენ ჩვენთან, რადგან ჩვენ სახლიც დიდი გვექონდა და ლოგინებიც. ჩვენ გვიხარდა ჩვენთან რომ იყვნენ, რადგან გვაიმედებდნენ, თქვენ არსად არ გადაგასახლებთო, აქ დარჩებითო. თუ მაინც და მაინც დაბლა „კაროლია-კარებთან“ ჩასახლდებით და იქ იცხოვრებთო. რადგან, ზევით, ე. ი. ჩვენგან ყველა უნდა გადაესახლებინათ. თან ჩვენი ოჯახი უმამო იყო, კაკოც სამთოზე სწავლობდა და თან მუშაობდა, ყველაფერი საბუთები გააკეთებინეს დედაჩემს და აღარაფერს ვდარდობდით. მაგრამ რად გვინდოდა მარტო ჩვენს ოჯახს ურავში დარჩენა, მე არ ვიცი. ალბათ, როგორც ყველას, დედასაც ეშინოდა ამხელა ოჯახის არეგ-დარეგა.

რაიონის ხელმძღვანელობა კი ამოვიდა, მაგრამ ხალხი არ დახვდათ სახლებში. ყველა გაიხიზნა ტყეში, აიკრა გუდა-ნაბადი და ნავიდნენ. რაც შეიძლება შორს დაიმაღლნენ. სახლში დატოვეს მოხუცები, რომლებიც საქონელს

ხედავდნენ. ისმოდა ძაღლების ღავღავი-ყმუილი. ჩემს მეხსიერებას შემორჩა საშინელი მოგონება ამ ცარიელი სოფლისა. ღამ-ღამობით, ჩუმად მოიპარებოდნენ სახლში ადამიანები, წაიღებდნენ თუ რაიმე გააჩნდათ საჭმელი, და გასწევდნენ შორს ტყეში. დარბოდნენ მილიცია, დაეძებდნენ ამ ადამიანებს, რომელბსაც არ ეთმობოდათ თავის კუთხე-კუნჭული, სადაც დაიბადნენ, გაიზარდნენ, თავის წინაპრები ჰყავდათ დამარხული. ზოსიმე — ზოსინიკა ჩალაძე ეს მარტოხელა კაცი, ისე შორს წასულა, დამპალებს იქით, გამოქვაბულში დაბანაკებულა, გაუცრელი ფეკელი და ლობიო წაუღია, დაუწყია პირველყოფილი ცხოვრება, კვესითა და აბედით უკიდებდა თურმე ცეცხლს. ასე „ბასუკეენტები“ ერთ ჯგუფად იყვნენ, მერე შეუერთდათ დანარჩენები, მოიყარეს თავი და ღამღამობით დიდ ცეცხლს რომ დაანთებდნენ, ირგვლივ გააჩაღებდნენ ცეკვა-თამაშს, ფანდური და მგონია დაირაცე ტქონდათ. გატქონდათ ასე სიცილ-ტირილში დრო. ეს ხდებოდა „წითელკოდუნეებში“ (რატო ერქვა ეს სახელი, მე არ ვიცი, იყო კი ძალიან შორს, უღრან ტყესი ეს მინდორი).

რაიონის უფროსობა ძალიან მეფერებოდნენ მე. ყველაზე პატარა ვიყავი, ხან მთავე წყალზე გამაგზავნიდნენ, ხან მალაზიაში, ყველაფერს სწრაფად ვასრულებდი. ისინი კიდევ ფულს მჩუქნიდნენ და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ტქონდა. გვარები მახსოვს, ზოგი დავითულიანი, ზარკალიანი, ბოლოს გადანყვიტეს თურმე, ღამე ეძებნათ ტყეში დამალული ხალხი. როცა მეზობელმა სოფლელებმა (აბარლებმა) გასცეს ეს ხალხი „წითელკოდუნეებში“ იმალებიანო, ღამე ერთი ამბავი აქვთო, სიმღერა, ცეკვა-თამაში აქვთ გამართულიო. ჩაუსაფრდნენ მილიციელები და როცა წინა და რაჟდენას აქორწინებდნენ ეს ხალხი და იყო სიცილ-კისკისი, ენთოთ დიდი ცეცხლი ამ ცეცხლის კვამლით მიაგნეს, შემოარტყეს ალყა და ყველანი შუალამეზე გამოატარეს სოფელში, იყო ტირილი, წივილი, წყევლა მთავრობის, დაანერინეს ხელწერილები და მქუარით, დაშინებით აყარეს ეს ხალხი, ურმებით, ხელით, ტირილით ეზიდებოდნენ სამანქანო გზაზე თავის ბარგი-ბარხაას. ამ დევნაში მილიციონრებმა ვითომ ვაშინებდითო და იმ დროს როცა სახლიდან იპარებოდა 4 პატარა შვილის მამა ლადი რეხვიამვილი ესროლეს და მოკლეს. დამარხვაც ძვლივს მოასწრეს, ასე უპატრონოდ, განუკითხავად აყარეს ეს ძირძველი მოსახლეობა მამა-პაპურ ადგილიდან. ბოლოს „ბასუკეენტებმა“, კერძოდ, ვერიკა ჩალაძემ თუ ქრისტინას ოჯახი არ წამოვა, ჩვენ არსად არ წავალთო. რატომ უნდა დარჩნენ მაგენიო. ჩვენც ავებარგეთ და ორ დღეში „კაროლია კარზე“, სამანქანო გზაზე ჩამოვებარგეთ. რამოდენიმე დღე ციგნებვით ვეყარეთ ქუჩაში მანქანების მოლოდინში, მე კი მიხაროდა, რომ მოვდიოდით, რაღაც ახალს მოველოდი, გამოგვიყვეს მანქანა, ჩვენ როგორც ბევრი, ბარგის პატრონი, 4 საბარგო გამოგვიყვეს, როცა ზოგიერთის ავლა-დი-

დება ერთ ან ორ მანქანაზე დაეცია (როგორ უხაროდათ მეზობელ სოფელ-
ლებს, კერძოდ, აბარლებს" — „აბარი“ ჩვენს საქონელს ბევრი საბალახო
დარჩება).

ჩამოგვიყვანეს ქუთაისის მატარებლის სადგურში, ახლა იქ დაგვყარეს.
ციგნების ბანაკი ეხლა რომ მახსენდება, საბარგო მატარებლის ლოდინში
გავიდა 1 თუ 2 კვირა. იქ ვაკეთებდით საქმელს, რაღაცით გადახურეს თავ-
თაიანთი „ვეში“ და ვცხოვრობდით საბარგოს მოლოდინში.

მე მინდა აღვწერო ის ბოლო დღე, როცა სახლები დავტოვეთ. ჩვენ ასე
გადავწყვიტეთ კაკო (ჩამოვიდა ქუთაისიდან), საშა, მე და თედო ჩემი სიძე
წავიდოდით გუდაუთაში. დედაჩემი და ვაჟა ლიხეთში სწავლობდა მეთათე
კლასში იყო). დარჩებოდნენ სახლში, რომ მიეხედათ ოჯახისთვის, რომელიც
ნახევარზე მეტი დავტოვეთ, ვითომ დავბრუნდებოდით უკან. ძროხები,
ხბოები, ღორები, ცხვრები, ქათმები, წინილები, ჩემი ძაღლი „კუკლა“, იმდენი
ისტორია გამოვლილი. ამდენ პირუტყვს ხომ უნდოდა მიხედვა. დედაჩემმა
დავაბინავებ და დაბლა ჩამოგხედავთ მეცო. ჩვენ ხომ სამანქანო გზაზე
ვიყავით ჩაბარგებული. წავედი საქონლის მოსარეკად და რომ მგონია შორს
იქნებიან საბალახოდ წასულები, ვხედავ იქვე „კარზეყანებს“ რომ ვეძახდით,
ადრე იქ ვყოფილვართ ჩვენი ოჯახი დასახლებული, სახლთან ახლო „კარზე
— ყანა“. არიან გაჩერებული ჩვენი ხუთი სული ძროხები და უშობელები, არც
ბალახობენ, არც იცოხნებიან, დგანან გაშტერებულები, განსაკუთრებით
მონყენილი მეჩვენა ჩემი უშობელი (ტყეში რომ გაგვათენებინა ჩვენმა
ძროხამ „შამირამ“ ღამე და მეორე დღეს დაბადა ულამაზესი ხბო, რომელსაც
„ხატულა“ დავარქვი), ნაღვლიან თვალებით იყურება. შემომბლავლა, თით-
ქოს მსაყვედურობს „რატომ მტოვებო“, მე ტირილ-ტირილით მოვდენე ჩემი
საყვარელი პირიტყვები, შევრეკე ბოსელში, დავაბი ყველა თავ-თავის
ადგილას ბაგაზე, ჩაუყარე თივა, ამ პატარა ბავშვმა 8-9 წლისამ, მოვეფერე
ყველას, ამოვუკოცნე თვალები, რომლებიც სველი ჰქონდათ (ასე მგონია
ისინიც ტიროდნენ), ასე დავემშვიდობე ჩემს საყვარელ პირუტყვებს უკანას-
კნელად. გამოვედი, დედაჩემი ვედროთი მოდიოდა ძროხების მოსაწველად,
წყველიდა და კრულავდა მთავრობას, ვინც ჩვენ აგვაფორიაქა, აგვყარა და
ვინ იცის სად მიყვავართო. მე რომ მტირალი დამინახა, ერთი მაგარი
წამითაქა თავში, მომანყევლა შენდა მაკლიხარ ნერვების მოსაშლელადო, რას
ტირიხარ, წაეთრიე ქვევით, დაეგდე საშიკუნასთან, მიხედეთ ქუჩაში დაყრილ
ჩვენს ნაწვავ-ნადაგსო. მე წავედი მოვრეკე ექვსი სული ცხვარი, წინილები და
კრუხები საქათმეში შევაბუდე, ღორები ვერსად ვნახე, ამდენ სირბილში, ჩემი
ლამაზი ძაღლი, ჩემი „კუკლა“ უკან დამდევდა და ის მოკარიჩნო კუდი სულ
ზევით რომ ჰქონდა დახვეული ლამაზად, ახლა ჩამოშვებული ჰქონდა დაბლა

და ნაღვლიანად წკმუტუნებდა, თითქოს მეუბნებოდა, „რალა ვქნა უშენოდო“. ამასობაში დედაჩემი გამოვიდა ბოსლიდან, ქაქანი, ამას რა მოვესწარი, არც ერთმა ძროხამ არ მოინწყვლაო, თან ვედროში იხედებოდა, სამსე გამომქონდა და ახლა ფსკერი არ მოიფარაო, ესენიც გრძნობენ ჩვენს უბედურებასო და ისეთი წყევლა-კრულვა გაუგზავნა ჩვენს გადმომსახლებლებს, რომ (ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ნავიკითხე თუ არა ოლლა ბებიას წყევლა, მაშინვე გამახსენდა, დედაჩემის სართულებიანი წყევლა), თუ რომელიმე გადარჩა აღარ მეგონა, დავეშვი მე დაბლა საშუალო-თან, უკვე საღამო იყო, დაენტოთ ცეცხლი ხალხს, ზოგს ერთად მოეყარა თავი, ყვებოდნენ ტყის ამბებს, თუ როგორ ატარებდნენ დღეებს და ღამეებს, ზოგჯერ იცინოდნენ, ზოგჯერ ტიროდნენ, განიცდიდნენ, საწყალი ლადოს სიკვდილს, მის ობლებს ეფერებოდნენ, ასე გავიდა რამოდენიმე დღე, მოადგნენ მანქანები, ჩატვირთეს ამ ხალხმა თავის ავლა-დიდება მანქანებში და დაიძრნენ ქუთაისისკენ.

ქუთაისის სადგურში დაგვყარეს როგორც იტყვიან და მოვანყვეთ დროებითი საცხოვრებელი, ზოგმა ყავარი, ზოგმა რალაც-რალაცეები გადააფარეს, თავიანთ ავლა-დიდებას. ჩვენც მოვენყვეთ, გვეძინა ფიცრებზე, „კრაოტებზე“ ველოდით საბარგო მატარებელს რამოდენიმე დღე და ღამე. წარმოიდგინეთ რა დღეში ვიქნებოდით. ქვებზე შემოდგამულ ქვაბებში კეთდებოდა საქმელი, ალბათ, ციგნებზე უარეს დღეში ვიყავით. ვიყავით დაყრილი უპატრონოდ. ერთ დღეს მომესმა დედაჩემის ხმა, სადა ხართ შვილებიოო, მოსთქვამდა, მთელი 80-100 ოჯახი იყო დაბანაკებული სადგურში, სანამ ჩვენ მოგვძებნა, ქალი კინალამ გააკოჟდა, რომ დამინახა მორთო ტირილი, ჩემო ობლებო, სადა ხართ დაყრილებიო. მოგვიტანა ლორი, რომელიც არ გაგვხსენებია წამოღება, მოგვიხარშა გარეთ, ცეცხლზე, დაგვიცხო ჭადები და თავს ბედნიერად ვგრძნობდით, რომ დედაჩემი გვერდში გვედგა. აღარაფრის გვეშინოდა, კაკომ წამიყვანა და მითხრა, „ბაკლაშკა“ (მამაჩემის ნაქონი) წამოიღე, ლიმონათს გამოგატანო, მე ლიმონათი გემოთი არ ვიცოდი რა იყო, მიმიყვანა „კიოსკში“ ჩამოასხმევინა ჩემთვისაც, მაგრამ მე არ დავლიე, მეგონა რალაც ცუდი, რომ გამომიშვა უკან, მაშინ მოვსვი ცოტა და კინალამ გავვიჟდი, ისე მომეწონა, იმის შემდეგ აღარ ვცილდებოდი იმ „კიოსკს“ თანაც მაშინდელი გაზიანი წყალი რა იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ (ალბათ, 12-13) ჩამოდგა რალაც დახურული ვაგონები, ზოგი 2-3 ოჯახი ერთ ვაგონში დაეტა, ჩვენ ერთი ვაგონი დავიკავეთ მთლიანად. თითქმის გაივსო. მე, საშა, კაკო, დედა, ჩვენი ბარგი-ბარხანით, მე ლოგინი მომინყვეს პატარა, სარკმელი ჰქონდა იმ ვაგონს და იმის სიმაღლეზე მთელი დღე და ღამე ვყურებოდი იქედან, რამდენიმე ქალაქი და სოფელი გავიარეთ, რას არ ვხედავდი ჩემი ფანჯრიდან, ბევრჯერ გავჩერდით

სხვადასხვა ქალაქში, როგორც იქნა ჩავედით გუდაუთაში. სადგურში ბიძა და ბიცოლა დაგვხვდნენ, რომლოებიც 1941 წელს გამოუსახლებიათ ახალსოფელში ეთერიკას ჩვენთან წავიყვანთ იქ იყოს, მანამ, თქვენ დალაგდებითო, მე სიხარულით წავეყვი მათ. თანა მყვებოდნენ. ჩვენებისთვის მანქანები მოუყვანიათ და სოფელ ღურფში ჩაიყვანეს. ყველას დარიგებული გვქონდა ქუჩის სახელი და სახლის ნომერი. მე აღარ მახსოვს რა ნომერი იყო ჩვენი სახლი, ისე ქუჩას ლ. პ. ბერიას სახელი ერქვა.

რამოდენიმე დღესი წაგვიყვანეს ღურფში. ლამაზი სოფელი დამხვდა. ჩვენი უბანი, სადაც ჩასახლებულები იყვნენ სულ ერთნაირი სახლები იდგა, ქუჩები სწორი ხრემმოყრილი. სამოთახიანი სახლები იყო. ზოგს კარალიოკის ეზოები შეხვდა ჩვენს ეზოში თხემლები, ზედ ყურძენი „იზაბელა“ შეშვებული, თხემლის ძირები ეკლით იყო გაბარდული, „შაშვიურას“ ეძახდნენ ამ ეკალს, რომელიც წითელ მრგვალ ნაყოფს იხსავდა და ბავშვები სიამოვნებით მივირთმევდით, რა თქმა უნდა, ის ეკლები ამოვძირკვეთ და დარჩა თხემლები თავის „იზაბელათი“. ყველამ გააღამაზა თავის ეზო-მიდამო. ძალიან ლამაზი ეზო გვქონდა. დედაჩემი იტყოდა, ღმერთია ჩემი მფარველიო. ყველაზე კარგი ეზო ჩვენ შეგვხვდაო. ყველა ეზოში წყალი იყო შეყვანილი. მოკლეთ ეს პირველი შთაბეჭდილება კარგი იყო. ახლა საინტერესო იყო აფხაზები, ვინ იყვნენ, რანაირად გამოიყურებოდნენ, მართლა კაცოჭამიები იყვნენ თუ არა.

ჩვენი ბიძაშვილები ვინახულეთ ყველა, უბნელები, რომლებიც გვამშვიდებდნენ და გვეუბნებოდნენ, ძალიან კარგი ხალხია აფხაზებიო. მალე ჩვენც დავრწმუნდით, რომ ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ ისინიც.

ჩვენი სახლის გვერდზე იყო ჩაის პლანტაცია, ე. ი. გავალებდით ჭიშკარს და ფები ჩაიში გვქონდა, არ ვიცი, რა დრო იყო, ალბათ, მაისი ან აპრილი, ჩვენ რომ ჩავედით, ჩაის კრეფდნენ აფხაზები ჩვენს სახლთან, ვიჭვრიტებოდით ჩვენ აქედან, ისინი იქიდან, ბოლოს გაბედა დედაჩემმა და გავიდა, მიესალმა „გამარჯობა“-ო უთხრათ, იმათაც მიატოვეს ჩაის ბუჩქები, გადმოვიდნენ და დიდი მონივნებით მიესალმნენ დედაჩემს ქართულად. დედა გაშტერდა, თქვენ კაცოჭამიები გვეგონეთ და ჩვენსავით ლაპარაკობთო, გამოეყო ერთი სიმპათიური კაცი, აფხაზების ჯგუფს, მივიდა დედაჩემთან (მე ვუყურებდი ყოველივე ამას, ვიფიქრე, გათავდა დედაჩემის საქმე-თქო), მოეხვია, ჩემო დედაო, აკოცა მხარზე (აფხაზური წესი ყოფილა), ჩვენ თქვენზე ვფიქრობდით კაცოჭამიები მოყავთო, თურმე, ყველა ჩვეულებრივი ადამიანები ვყოფილვართო. გაკვირდებით და ვხედვათ, როგორ შრომობთ, კაცი და ქალიო. ბევრი ილაპარაკეს დამტკრეული ქართულით აფხაზებმა (კაცები იყვნენ მარტო), იმათში კარგი ქართულით, შეხედულებით და კეთილი გულით გამოირჩეოდა ის პირველი მოსაუბრე (გრიშა კვარაცხელია, რომელიც ბოლომდე ჩვენი და ყველა ოჯახის ძმა და მეგობარი გახდა). მერე მე გავეყვარი ღობე დამინახა

გრიშამ, ამიყვანა ხელში, დამინყო მოფერება, შემამჩნია შიში და მითხრა, არაფრის და არავისი შეგეშინდესო. თუ რაიმე დაგჭირდეთ აგერ თქვენნი მეზობელი ვარ, დამიძახეთ და ყველაფერში მოგეხმარებითო, მე შევამჩნიე რომ თქვენს ოჯახში კაცი არ არისო (კაკო უკვე წავიდა, სწავლა და სამუშაო ელოდებოდა). ამაშობაში მოიყარა უბნის ქალებმა თავი, კაცები ჯერ მაინც ვერ გამოდიოდნენ, პირველი დედა დაინტერესდა ჩაის კრეფით, აგვიხსნეს კრეფის წესები, სამ დუყზე უნდა მოკრეფილიყო, მოკლედ იმ დღეს მოხდა განცობა ჩვენი და ჩვენი ახლო მეზობლების: გრიშასი, მისი ძმების მელიტონის, შოთასი და ბაგრატასი. ისინი სპეციალურად გადმოვიდნენ უბანში, ვითომ ჩაის საკრეფად და სინამდვილეში გასაცნობად. მეორე, მესამე დღეს მოვიდა აგრეთვე ვახტანგი (ან პატარიძე იყო ან სიხარულიძე), მოგვიყარა დიდსა და პატარას თავი, აუხსნეს (თავმჯდომარე კოლმეურნობის იყო გრიშა არძინბა, გადასარევი კაცი, ლამაზი, მოსიყვარულე), ჩაიში გასვლა მაინც ვერავინ გაბედა, დედაჩემი პირველი ურაველი იყო, რომელმაც 8 კგ ჩაი მოკრიფა, გრიშა კვარაცხელიას დამხარებით. გავარდა ხმა ქრისტიანს ჩაი მოუკრეფიაო. მეორე დღეს მთელი უბანი გავიდა ჩაიში. რაჭველების უბანს მე-14-ე ბრიგადა დაარქვეს, ბრიგადირად დედაჩემის მოთხოვნით გრიშა დაგვიყენეს, ეს მშრომელი ურავლები რაჭაში ჩაის მაგივრად მოცვს კრეფდნენ, კიდევ მოენონათ და ადვილი მოეჩვენათ ჩაის ბუჩქებში ტრიალი. პირველი დიდი სიხარული იყო ფული რომ აიღეს შრომადღეები რომ ეწერებოდათ. მოკლედ ჩვენმა ოჯახმა — საშამ, დედამ და მე იქვე ახლო ჩაი მივიზომეთ, მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ ვის დაუთმობდა დედაჩემი ჩვენს ბოსტანზე მობმულ პლანტაციას. გრიშაც ჩვენს მხარეზე იყო. თავმჯდომარეც დიდ პატივს სცემდა ჩვენს ოჯახს. ჩვენს სახლში შემოვიდნენ პირველად და ასე გრძელდებოდა ბოლომდე.

მე ამჩიგრის მეორე კლასში დამსვენეს, ურავლებით და აფხაზებით იყო კლასი სავსე. მოვიყარეთ თავი მთელი „ჩასავალა“ უბნის ხალხმა, ბავშვებმა. დაიწყო ახალი ცხოვრება. სწავლა, აფხაზები სწავლობდნენ ქართულად, სკოლა რვანლიანად გადაკეთდა, ოთახები არ გვეყოფნიდა და ჩვენს სოფელში რამოდენიმე სახლი დაცარიელდა, ან ერთი ოთახი დაუთმეს სკოლას და იქ ვსწავლობდით, სანამ დურფშში ახალი დიდი სკოლა აშენდებოდა. ერთი-ორი წელი ასე ვსწავლობდით, მერე გადავედით დურიფშში ახალ დიდ სკოლაში. ყველაფერი ქართულად მიდიოდა. მახსოვს, ჩემი კლასელები აფხაზები ხუთოსნები, ისე კარგად იცოდნენ ქართული, არძინბა ანატოლი (რომელიც ახლა თირმე თბილისშია), შულუმბა დავრენტი, კობახია მაია, თავისი ძმით ვლადიმერით, თარბა დიმიტრი, თარკილი ჭიჭიკო, გუმბა მაია, არძინბა ანნა, შულუმბა ვანია, „ვიჩკა“. გერზმავა ზურა. გოგრიჭიანი რეზო, სერგო ჩალაძე 20-25 ბავშვი ალბათ, 4-5 ან 3 ქართველი ვიყავით, მასწავლებლები სულ

სამეგრელოს მხრიდან იყვნენ. აფხაზი პოეტი ქალი თარბა ნელი ჩემზე წინა კლასებში სწავლობდა. მასხოვს ლამაზი გოგო არძინბა მილია, ყველა შეყვარებული იყო მასზე. მოკლედ, მეგობრულად, ძმურად ვცხოვრობდით. ვსწავლობდით აფხაზი და ქართველი 1953 წლამდე. სტალინის გარდაცვალება, მისი გასვენების დღე არ დამავინყდებდა, მთელი სკოლა გლოვობდა, ტიროდა მოსწავლე და მასწავლებელი. გასვენების დღეს მე და დედა გუდაუთაში ვიყავით. უცბად აყვირდა ქარხნის საყვირი, ყველა გაშეშდა გზაში, ვინ სად ვიდექით, აყვირდა ყველა მანქანის სიგანალები, ეს იყო რალაც ამაზრუნენი, საშიში, ტიროდა ყველა ქალი, კაცი, ბავშვი, აფხაზი, ქართველი, რუსი, ებრაელი, რომ გავიხედ-გამოვიხედე, ხმამალალი ტირილით მოთქვამდნენ. ერთი წუთი დუმილი, ეს იყო რალაც სასწაული. არასოდეს ნაიშლება ჩემი მეხსიერებიდან ის მომენტი.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, აირია ყველაფერი, გაჩნდა უნდობლობა, რალაც ისეთი, რაც მანაადე არ იგრძნობოდა, მალე ბერიაც მიაყოლეს ბელადს. ქართული სწავლება უცბად რუსულზე გადავიდა, დურიფშის საშუალო სკოლაში ქართული სწავლება „მეთხედიდან“ შეწყდა. აჯამჩგარაში გააკეთეს რუსული და ქართული სექტორი. მე მეექვსე კლასიდან გავაგრძელე სწავლა აჯამჩიგრაში — ლიხნში. კლასში სულ ექვსი ქართველი ვიყავით, ასევე, სხვა კლასებშიც. 3 მერხი იდგა ჩვენს ოთახში პიონერთა ოთახში ვსწავლობდით. ერთი პერიოდი თითქოს გავუცხოვდით, აფხაზმა და ქართველმა მოსწავლეებმა ერთმანეთს ცუდი თვალთ დაფუნყეთ ყურება, მაგრამ მერე თანდათან გადნა ყინული და ისევ ვმეგობრობდით. ასევე მეზობლობაში ხდებოდა. დაბოლმღმა აფხაზებმა „ჰაიდა-ჰაიდა, ნეტუ ვაში ბერია „სტალინო“, ასეც კი გვითხრეს. მაგრამ ჩვენ წასვლას არსად ვაპირებდით, ვმუშაობდით, ყანებს ვამუშავებდით, ვთესდით, ვხნავდით, ჩაის ვკრეფდით, სახლებს მივუმატეთ ოთახები, შუშაბანდები, გავაკეთეთ პადვლები, ბოსლები, შევიძინეთ საქონელი და ვცხოვრობდით მშვენივრად, პირველად ჩვენმა მეზობლებმა აფხაზებმა და მერე მთელმა სოფელმა ჩვენგან ისწავლეს შრომა, ხვნა-თესვა, აიშენეს სახლები, მანამდე პატარა ჯარგვალეებში ცხოვრობდნენ, კაცები, რომლებიც ზარმაცები იყვნენ და შრომა, ჩაის კრეფა სირცხვილად მიაჩნდათ, ახლა უკვე გამოიღეს ხელი, და ამოძრავდნენ, ასე გახდა ჩვენი სოფელი „მილიონერი“ კოლმეურნეობა. თავმჯდომარე გრიშა არძინბამ აღარ იყო ახლა ვინმე ლაკოა დაგვინიშნეს. გამოჩნდნენ სტანახოველი ჩაის მრეკეფავეები. მათ შორის ჩემი და საშაც, რომელიც მოსკოვში იყო გაგზავნილი და ლენინის ორდენით დაჯილდოებული სხვა აფხაზებთან ერთად. ასე რომ ცხოვრება საამური გახდა. ეზოები ხეხილით გავავსეთ, მანამდე თუ აფხაზების ეზოებში ვიპარავდით, ბალს, მსხალს, ვაშლს, თხილს, კარალიოკს, ახლა სავსე

გვექონდა ეზო. ქორწილებში გვეატიფებოდნენ აფხაზები, ჩვენ იმათ. მოკლედ
ჭირი და ლხინი ერთი გვექონდა. მე რუსული და აფხაზური მალე ვისწავლე,
მოკლედ, მთელი ჩვენი ბრიგადა, ე. ი. ურავლები არაჩვეულებრივ ურთი-
ერთობაში ვიყავით აფხაზებთან.

ახლა მინდა გავიხსენო ურავლების თავგადასვლები გუდაუთაში. ზღვა
სიზმარშიც არ გვექონდა ნანახი, როცა ლიხნელები ჩამოასახლეს 1949 წელს
ტარასი რეხვიაშვილმა ზღვა რომ დაინახა ცოტა შორიდან თქვა: „ბიჭო
უყურე, ე, რამხელა სათიბები ყოფილა მარა ე ბალახუნაი ცოტა სხვაფერი-
სააო“, მერე ახლოს რომ მივიდა, ნახა ნაპირზე პატარა ტალღები კინალამ
გავიჟდა ისიც და სხვებიც. ამდენი შიშველი ხალხის დანახვაზე, ე, რა
უსირცხვილო ხალხი ყოფილა, სად ჩამოგვყარესო. ქალი და კაცი ერთად
ყრია, ქვე რალა გვეშველება, ჩვენი ბიჭუნეები და ბოშუნეები გადაგვერე-
ვინაო. მეზობელი სოფელი ოთხარაში ჩამოასახლეს სვანები, ისინიც ჩვენსა-
ვით ძალით და უბედურობით. დედაჩემი და ჩვენი ლიხნელი მეზობელი დომი-
ნა ჩალაძე (ათანას ცოლი, უცნაური სახელები კი ერქვათ ურავლებს: ბათ-
ლომე, კესარია, ტარასი, ათანა, სტრიფონა, ევნიკია, ოლიმპია, იურა, სეფია,
სირა, ივდითი) და რა ვიცი რა. მანქანის გაჩერებასთან რომ იდგნენ ეს დომინა
და დედაჩემი თან შიშით (მაინც შიში დიდი იყო, ამ ჯერ კიდევ უცხო ქვე-
ყანაში) აფხაზები ხშირად ახსენებენ ოთხარას, „აკუას“, ე. ი. სოხუმს, აჯმა —
თხა და ეს რომ ესმით ამ ისედაც დამფრთხალ ქალებს, დომინა ეჩურჩულება
დედაჩემს „ქრისტიანა ბოშო ხომ გესმის რავა აფხაზურად და ქართულად
გვაგინებენ ეს კაცები, თან რაფერ გაბრაზებულები არიან, იმხელა დანები
ქვე კიდიათ, წამო გევიპაროთ აქედან, ჩვენი მოკვლა უნდათ ალბათ“.
სანყალი დედაჩემი და დომინა გამოიძურნენ იქიდან და ფეხით ჩამოვიდნენ
სახლში, თან რალაც ნაყიდები მოჰქონდათ, 8-9 კილომეტრი სულ ძუნძულით
იარეს. დედაჩემი გახვითქული მოვიდა, რომ მოყვა ამ ამბავს მე კი აფუხსენი
რომ „ოთხარა“ სოფელია, აკუა — სოხუმი, აჯმა — თხა არის, მაგრამ რალა
დროის იყო.

მე და დედაჩემი ნავედით ძროხის საყიდლად. მე აქაც ყველას ჩვენებსაც
და მეზობლებსაც დავყავდი ყველგან როგორც რუსულის და აფხაზურის
მცოდნე, მართლაც ყველას ვჯობდი რუსულში. აფხაზურს გრიშა კვარაცხე-
ლია მასწავლიდა და ოლია გვაძბა იყო ჩვენი მეზობელი, მისი შვილები როდია,
ვალერი, ჩუჩკა და ლუბა ჩემი ტოლები იყვნენ, მისი ეზოს ხილით ვიყავით
მთელი უბანი, სანამ ჩვენი მოისხავდა, ცურვაც კარგად ვისწავლე, გავი-
პარებოდით ხოლმე ზღვაზე, თეთრ წყალზე, რომელიც დურიფში ჩამო-
ედინებოდა და დაბლა ჭალებში. ვიყიდეთ მე და დედამ გუდაუთის საქონლის
ბაზარზე კარგი ძროხა, მოვკიდე ბანარს ხელი, ძროხის ყიდვას მოვესწარიო,
მეორე წელი იყო ჩვენი ჩასახლების, მოგვყავს სახლისკენ. დედაჩემს ვეუბ-

ნები, ვითომ აფხაზები ვართ, გზაში რომ მივდივართ, დაიხსომე, აფხაზი რომ გვეტყვის „უშუბზია“ — გამარჯობა (აფხაზი გვერდს არ გაგივლიდა გამარჯობა რომ არ ეთქვა შემხვედრისთვის), პასუხად მოკრძალებულად როგორც ქალს უნდა გვეთქვა „ბზიარობაი“, გაგიმარჯოს, მოკლედ მთელი გზა ვაზუპირებინებდი (სამანქანო გზის გვერდით, თითქმის ყველა სოფელში დიდი ფეხით სასიარულო იყო, ე. ი. საქონლის და ადამიანებისთვის მოვდივართ ახლა მე წინ, ძროხა ბანარზე გამობმული, უკან სახრით დეაჩემი, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“ ფაქიზოს რომ მიათრევენ თოკით ისე, ოღონდ აქ მართო მე და დედა ვართ. თანაც ჩემი ძროხა ლამაზი და ყოჩაღად მოსიარულეა, ღმერთის წყალობით მანქანების გარდა, არავინ შეგვხვედრია. მაგრამ სოფელს რომ მოვუახლოვდით, ცხენზე მჯდომი კაცი მოდის ზუსტათ ჩვენს ბილიკზე, მე შორიდანვე დავლანდე და დედაჩემს დავაზუპირებინე „ბზიარობაი“, გაგვისწორდა ცხენიანი აფხაზი, წამოინია უზანგებზე და „ვამშუერბზიაქვა“ — გადმოგვძახა, გამარჯობათ თქვენი“, მე „ბზიარობათ“ — ვუპასუხე უცბათ, „ბზია — წამოიკნავლა დედაჩემმა, თან ხმა ეპარება, ამასობაში ის კაცი ჩაგვცილდა, მარა შიშისგან სული გაგვეპარა, ან ეხლა მობრუნდება და ნაგვართმევს ძროხას და ან ეხლა, გვიცნო, რომ ქართველები ვართ-თქო. იმ კაცს სულ არ ვახსოვდით თავისთვის მიათხარეკებდა ცხენს.

მე და დედა წავედით საახალწო ღორის საყიდლად, იქნებოდა ნოემბერი ალბათ, ჩაიცვა ჯიბეებიანი ჟაკეტი, წინა გულისჯიბეში ჩაიდო ბლომად ფული (კარგი ღორი უნდა გვეყიდა, ჩვენ კი გვყავდა ღორები, მაგრამ ნეზვი — დედა ღორი იყო და სანაშენით გვინდოდა), მიიბნია „ბულავკა“ — გარედან რომ ფული არ ამოვარდესო და გავწიეთ ჩემმა „კუქლამ“ (რომელიც ჩამომიყვანა ურავიდან ჩემმა დისშვილმა, დათომ, და მოვეყვები როგორ) გაგვაცილა ცუციას სახლამდე, ე. ი. სამანქანო გზამდე, დედაჩემი რაიმე საქმეზე რომ მიდიოდა, ან ძალღი უნდა დაეხვედრებია წინ, ან მე ძალღისთვის პურის ნატეხს ჩაიდებდა, აჭმევდა, მოიმაღლიერებდა წინ დაუგდებდა და მიდიოდა დარწმუნებული, რომ ეს საქმე კარგად დამთავრდებოდა, თუ ძალღი შემთხვევით სახლში არ იყო დილაადრიან მე წამომადებდა ლოგინიდან, ნახევრად მძინარეს დამიხვედრებდა წინ, თან მეტყოდა არ აბურდღუნდე, თვარა ვერ გადამირჩები საქმე თუ არ გამოგვივიდაო, სულ ვილოცებოდი რომ ყველაფერი მოეგვარებინა, რათა არ მოვებერტყე.

ჩავედით გუდაუთაში (მაშინ „გრუზავიკი“ საბაგრო მანქანები იყო ავტობუსები — „სოიუზტრანსი“ ჯერ არ იყო დანიშნული. გზები დანგრეული. „იამკები“ ყოველ ნაბიჯზე, მე კი ავფირინდებოდი ხოლმე „კუზაოზე“ (ძარაზე), მაგრამ, მიუხედავად დედაჩემის ლალი სიმარჯვის, მოქნილობისა, მაინც უჭირდა ამსიმაღლე სამასვალზე ამობობლება. მოვიარეთ ბაზარი ჯერ პროდუქტის, მერე უნდა გავსულიყავით სასქონლის ბაზარზე, დედაჩემმა გამა-

ფრთხილა, არაფერი აიჩემო, ჯერ ღორი უნდა ვიყიდოთო, სეროფიანი წყალი უყვარდა ძალიან ცხონებულს, რა თქმა უნდა, მეც, დავლიეთ, ნაყინიც მივპყოლეთ და დავიძარით ღორის საყიდლად, უცბად თაფლს ფიჭას მოკვარი თვალი. პატარაობიდან ჩემი ოცნება იყო (რაჟდენა რეხვიაშვილს ჰქონდა ურავში სკა, რომ ამოიღებდა სარაჯს — ფიჭა, ნერწყვს ვყლაპავდით ბავშვები, მარა ვინ გაგასინჯებდა, თაფლის ნაქონ ჭურჭელს რომ გარეცხავდნენ, „თაფლწყალს“ თუ დაგვალევიებდნენ მიციცინებულ ბავშვებს დიდი პატივისცემა იყო, ეხლაც ძალიან მიყვარს წყალგარეული თაფლის დაღვევა), შვევხვენე დედას მიყიდე ცოტა შევჭამ-თქო, გაჩერდი ახლა წერილი ფული აღარა მაქვს, სხვა დროს ვიყიდო, ჩემს ცრემლიან თვალებს რომ შეხედა გაისევა ჯიბეზე ხელი, გახსნა „ბულავკა“, ამოიღო ფული, არ მახსოვს 25 მგონი, მიანოდა თაფლის გამყიდველს, ცოტა მოგვეცო, არ ვიცი 100 თუ 200 გრ. აგვიწონა, ქაღალდზე დამიდო და ნერწყვის ყლაპვით მოვცილდით, რომ სადმე უხალხო ადგილას შემეჭამა, რომ მივედი ცარიელ დახლთან, დავდე თაფლი, პურსაც ვიყიდი და ჩახეთქეო, მითხრა დედაჩემმა და უცბად „ვაიმე ფულიო“ იტაცა ხელი გულის ჯიბეზე, მერე სხვაგან, აქეთ ეცა, იქეთ ეცა, ფული აღარ არის, „დავღუპეთ შვილებო“ დაიწყო ტირილი, ძალიან ცუდ, მძიმე მოგონებად დამრჩა დედაჩემის მოთქმა-ტირილი, სიმწრით ნაგროვები ფული ამომაცალეს, დაგტოვეთ უღოროთ, დავღუპე ოჯახი და რა ვიცი რა სიტყვებით აღარ მოთქვამდე, შემოგვეხვია ხალხი, ჩვენი ცოდვით აღარ იცოდნენ რა ექნათ, მილიცაც მოიყვანეს, მაგრამ რას გვიშველიდნენ, თქვეს ვილაც ზუგდიდელებია ჩამოსული და ასე ამწარებენ ხალხსო, მე ის თაფლი ხელში მიჭირავს, ეტყობა გათბა და დაიწყო წვეთა, მე თან ვტირი, თან თაფლი რომ მეღვრება არ მემეტება და ვილოკავ ხელს, მოიტირა დედაჩემმა, ჩვენი უბნის ქალებიც მოვიდნენ და ანუგეშეს დედაჩემი, მაგრამ რაღა ნუგეში უშველიდა, ადგა და წამომითაქა, შენი წუნკი ტუჩის ბრალია, თვარა ფული არ დამეკარგებოდაო, მერე კიდევ მიიარ-მოიარა, მახსოვს ვილაც ბიჭი დამეტაკა და მაშინ ამომაცალა, ეტყობა, დაინახა თაფლისთვის რომ ამოვიღეო, მოკლედ დედაჩემის უიმედო სახე ახლაც თვალწინ მიდგას, რა დიდი დანაკარგი იყო ეს ნაგროვები ფული ოჯახისთვის, იმ დროს დაახლოებით იყო 1952 წელი, ორი წელი ჩვენი დურიფშში ჩასახლებიდან, იცოცხლე სართულიანი წყევლა-კრულვა გაუგზავნა ჩვენს ამ უცხო სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთან ჩამომსახლებლებს, იმათ ვინც ფული ამოაცალა და წამოვედით კუდამოძუებულები, სახლში რა თქმა უნდა, მანქანის ფული არ გვინდა სასესხებლად, არავისთან მივიდოდა, იმდენად ამაყი იყო დედა და ფეხით გავუყვებით გზას, გზაზე ერთი-ორს ნაიტირებდა და მერე გავაგრძელებდით სიარულს, თან ამბობდა, არ მინდა მეზობლებმა მნახონ ამ დღეში ზოგს ეწყინება, ზოგს ბოროტს კი გაუხარდებაო. ჩემი და საშა სიხარულით მოგველოდა სახლში,

ლორს მოიყვანენ, ზამთარში ლორი გვექნებაო, ცუციას სახლთან შემოგვხვდა კუდჩამოშვებული ჩემი „კუკლა“. არც მოგვეფერა, არც ანკუტუნდა, სიხარული არ გამოუხატია, როგორც სხვა დროს იცოდა, „შენც მიხვდი ჩემს უბედურებასო“, ფეხი გაუქნია დედამ და წამოვედით, წინ დედა, მერე მე და უკან კუდჩამოშვებული „კუკლა“ მოკლემე მოჭრით, უბანს არ დავენახეები ხელცარიელიო, ყველამ იცოდა ლორიზა რომ წავედით, კუხნის ფანჯრიდან საშვიკო იყურებოდა და რომ დაგვინახა ბოსტნებზე, მოკლემე მივიძურნებით, მიხვდა, რალაც კარგი არ არის ჩვენს თავს, რა იყოვო, მოგვაძახა, დაგლუბეთ შვილებო, მიატირა დედაჩემმა, ფული დაგაკარგეთო (ამდენი ტანჯვა-წვალება გამოვლილი დედაჩემი ძალიან განიცდიდა, საკმაოდ ბევრი ფულის დაკარგვას), საშამ მოაძახა, მერე რა მოხდა, ამაზე ნერვიულობთ, მე რომ მეგონა საშამ იწერვიულებდა და წაგვეჩხუბებოდა, მაგრამ, დედას აქეთ დაუწყო დამშვიდება, ჩვენი მოკრეფილი ჩაის ფული იყო, ჩვენი ჭირიც ნაულია, ლორს მაინც ვიყიდითო, დედაჩემმა ბევრი იფიქრა, დიდხანს გაყვა მასაც და მეც იმ ფულის დაკარგვა, რომელიც ჩემს წუნკ ტუჩს ბრალდებოდა, ლორიც ვიყიდეთ და სასმელ-საჭმელიც ბლომად გვექონდა, მეორე კვირა მოვიდა (ბაზრობა უფრო კვირას იმართებოდა) და საშამ მოდის ლიხნიდან ბიძაშვილებიდან, კვდება სიცილით, დედას ეუბნება შენ ქვე მაინც ამოგაცალეს ფული და დომინას რა დამართნია მომისმინეო, ვილაცა ორ ბიჭს რომ დაუნახავს ფულიანი დომინა აკიდებიან რალაცნაირად, ფულის „კონა“ წინ დაუგდიათ, რომ აულია დომინას, უთქვიათ, ჩვენც დავინახეთ იმ ფულის „კონა“ ვილაც ებრაელს დაუფარდა დამალე და მერე გავიყოთო, უთქვიათ, დაჯექი ზევიდან, ვითომ შენთვის ზიხარ, შენ რომ ფული გაქვს ეგ მოგვეცი რაიმეს ვიყიდით ჩვენს მოსვლამდე არ ადგეო, დაჯდომია დომინა ამხელა „პაჩკას“ წავიდნენ ის ბიჭები, ელოდება დომინა, გაუვლია უბნის ქალებს ბაზარში, უნახავთ დამჯდარი, რას შვრებიო, დავილაღე და ვისვენებო, გამოოვლიათ ისე ისე ზის, რა გჭირს ბოშო, რავა დანებებულივით ხარ, მთელი დღეო, „მიშველე სერაფინა, რამე, უზომო ფულს ვაჯდვიარო, — ეუბნება დომინა ჩუმი ხმით, „ეუიმე, ეს საცოდავი გასულელებულიაო, — გადაულაპარაკა სერაფინამ ეფროსინეს, „ადე, შე, ქალო, წვედით, ახლა სახლუკეებში, აგერ დაღამდა უკვეო, ვილაც ბიჭებს ველოდები ფული უნდა გავინაწილოთო“, გადახედეს ქალებმა ერთიმეორეს, „საცოდავო, დომინუკაო“, ჩაილაპარაკეს, „აბა, თვარა გჯერათო დაა წია ნახევარი ტ...ი, გამოაჩინა პაჩკის წვერი, „უიმე, მართლა ფულუკა უნახიაო“, რალა ვქნა, საცაა ჩავიფსავ, ისეთ დღეში ვარ, შემენაცვლეო, — ახლა ეფროსინე დააჯდა ამ ფულს. დომინა უცბად მოვიდა არიქა წვედით, დევიმალთ, რას მოგვძებნიანო, ცოტუნკას თქვენც მოგცემთო, რალა იმ არგასახარლებს გავუყო, მიიმალნენ, ამოილეს ფული ნიფხვის ტოტიდან, ეფროსინემ დაშალა, ტკიცინა 25 მანეთიანებმა გამოა-

ნათეს, გახსნეს და იმისთანა შენს მტერს, იქ ამბავი ატყდა, გაზეთების კონსიყო შიგნით, უიმე მომკალით, საღაცა გამოვყო თავი, ათანუკა მომკლავსო, მთელი ფული იმ ჯიბგირებმა წაიღეს, ბანკში უნდა შემენახაო, მოკლედ, აღწერა ძნელია, მოკვდა დედა სიცილით, თითქოს დარდი შეუმსუბუქდა.

მინდა გავიხსენო კურიოზი, რომელიც ჩემს დას საშას და ვალიკოს შეემთხვა. მე და დედამ ძროხა რომ ვიყიდეთ კარგი გამოდგა, ხბო მოიგო, ინველბოდა კარგად, მაგრამ 2-3 წელი და საქონელი გვიკვდებოდა, ეტყობა ჩაის რომ უკეთებდნენ რაღაც შხამ-ქიმიკატებს „უდაბრენია“, „სილიტრა“ თოვლივით თეთრი იყო, იმას თუ ჭამდნენ რა ვიცი, დედა იტყოდა მე და ჩემი მონაგრის ჭირიც წაუღიათ, ჩვენ ვიყოთ კარგად, სხვას ვიყიდითო, ძალიან გული კი გვტკიოდა, მაგრამ არ იმჩნევდა, ხო და მე და საშამ ვიყიდეთ მაგარი ძროხა „გლანა“ ერქვა, რუსმა ქალმა მოგვყიდა, ღია ნაბლისფერი ძროხა იყო, თავის საძროხე ხბოთი, მოვიყვანეთ სოფლის ძროხების თვალი იყო, რქაზე გამონალოცი ჭინჭი შევებით თვალი არ ეცესო, ეს ძროხა დიხანს გვყავდა თავის ნაშენით, მომრავლდნენ, ზოგს ვყიდდით, მოკლედ ამის ნაშენი ჩემს გათხოვებამდე გავყვავა და მერეც. ერთხელ მე და ჯემალი რომ ჩავედით, რა თქმა უნდა, ვალიკო გადმოვიდა და გახურდა ქეიფი, ვალიკო რეხვიაშვილი ჩვენს მოპირდაპირეთ ცხოვრობდა, ეუბნება საშიკოს, უნდა მოგვყვე შენი ამბავიო და დაიწყო, „კაცო დაღლილი მოვედი „დურიშგეშიდან“ ღამე ვყარაულობდი, საშია დამხვდა წინ და მეუბნება, ვალიკო, უნდა ნამყვე არძინბებში, ჩემი ძროხა ორი დღე არ მოსულა, იქ უნახავთ უბნელებს, მე მარტო ვერ ავალ, შენ გიცნობენ და რუსულიც კარგად იცი, მე იმდენი არ ვიციო, შეიძლება სიმინდში გადავიდა ჩემი ძროხუნა „კვანნია“ და იმიტომ დაიჭირესო, რა უნდა მექნა, ნაყვევი. მივედით აფრძინბებში, ვნახეთ ის სახლი, სადაც ეზოში დიდ ბანარზე ება ჩვენი ძროხა, დავიძახე სახლში, არავინ იყო, არც მეზობლები, ჩაიში იყვნენ, ამასობაში საშია ფერებ-ფერებით შევიდა „თავის“ ძროხასთან, „მოუნველიათ ამ არგასახარებლებს ცოტა აქვს ჯიქანში ჩამდგარი რძეო“, ახსნა თოკი, ძროხამ ცოტა კი დიქმინა და გადმოგვიბრიალა თვალები, მარა საშია რომ მიეფერა და „ჩემო კვანნიაო“ დაუწყო ლაპარაკი, გამოუძღვა წინ, მე უკან და წამოვედით, სახლისაკენ, უბანში რომ შემოვედით ცოტა კი გაიწია ამ ძროხამ, მარა თოკს აბა სად წაუვიდოდა, ეზოში არაფრით შემოსვლა არ უნდოდაო. „ხომ არ შეულოცეს აფხაზუკეებმა, რას შვრება ეს ძროხა ბოსელში ეგრ შემყავსო, დავაბით ეზოში, არც ჭამს, არც სვამს. მომიჯადოვეს ძროხაო“, და წყევლის არძინბებებს საშია. ამასობაში დანარჩენი საქონელიც მოვიდნენ, საშიკომ რომ შემოუსვა ეზოში ამ ძროხის პატარა უშობელი და ერთიც მოზრდილი, ახლოს არ მიეკარნენ, ან ძროხამ რქენა-ქმენა დაიწყო, „უიმე, დვეილუპე, რას შვრება ეს ძროხაო, კვანნია, კვანნია, შენი შვილები არიან, ველარ ცნობო? — მესმის საშიკოს ყვირილი-ტირილი, ვალიკუნა ბიჭო



უყურე რას უშვრება „კვანწიუკა“ თავის შვილებსო“, გამოვედი მეც. ვუყურებთ ძროხას, ზოგი ულოცავს ზოგი ერთიმეორეს ეუბნება „ქვე რა უქნეს იმ ჯიშდანყველილებმა ამ ჭკვიან ძროხას ამისთანა, რომ თვალით არ იცდის თავის ნაშენსო“, ამ ლაპარაკში რომ არიან, მოადგენ ცხენებით არძინბეები, „საშიკვა – ოი – საშიკვა“ დაიძახეს, ვალიკომ შეხვედი იასონა და ვოვა არიანო, „ვოტ ნაშა კაროვა“-ო, თან გაკვირებული არიან, რატომ ნამოიყვანესო, მე გავმტერდი და ვუყურებ საშიკოსო, ის ხან ძროხას შეხედავს, ხან ჩვენო „რას ბოდალობენ, თუ კაცი ხარ, ეგ ამოსანყვეტლებიო“, გაცეცხლდა საშა, „ეტა კაროვა მაიაო“. მიიძახა საშიამ აყაყანდნენ ყველა უბნის ქალები, „საშიკოსია, აბა რაო“, ეს კაცები კვდებიან სიცილით, ძროხამ მიაბლაგლა ცხენებს და კაცებს, გაინია იმათკენ, „უიმნე, ბეჩა ქვე რას შვრება ეს ძროხუნაო“, დაეჭვდა ნადია. ამასობაში მოვიდა ქრისტინა, ჩაიდან, „უხ ნახეთ ჩემი კვანწიუკა, გახარებულმა მოგვაცახა, თქვენ გაიხარეთ ამგენმა მოგვიყვანესო? არიქა, ღვინო, ყველი და პური გამოუტანეთ ამ გასახარებლებსო, ისე რაღაც კი დააკვირდა ამ ძროხას, იმე ბეჩა, რაღაცა, მეჩვენება ეს ჩვენი კვანწიუკაიო, ძუძუები დაპატარავებია გონია, ე კუდიც მოკლე აქვსო, რა უქნეს ამ ძროხას ამ არგასახარებლებმაო, ის არძინბეები კვდებიან სიცილით, ქრისტინა დედა, აბა, გაუშვი, ნავიდეს, — უთხრეს აფხაზებმა ვნახოთ ძროხა რას იზავსო, მოკლედ გავხსენით თოკვი და კარები გავაღეთ თუ არა სულ კვინტრიშით ნავიდა ეს ძოხა, კვდება ვალიკო სიცილით, მე შემრცხვა, მარა საშია მაინც ვერ დავარწმუნეთ, რა უქნეს ამ ძროხას ამნაირიო, ამ დროს ტუკვა ჩვენი უბნელი მოვიდა და საშიას უთხრა შენი და ჩემი ძროხები იქეთა ბრიგადაში მეველეს დაუჭერია, შემოთვალა რაც გააფუჭეს სიმინდი, გადაიხადეთ, თვარა ძროხებს ისე არ გაგატანთო, უიმეო, არა მჯერაო, აბა, ეს ჩემი ძროხა არ არისო? ნავიდნენ ქრისტინა და ტუკვას ცოლი და ქვე არ მოიყვანეს ეს ძროხებიო. სულ ბლავილ-ბლავილით მოძუნძულდება სახლისკენ ჩვენი კვანწიაო, მთელმა ღურიფშმა გაიგო, ჩვენი ამბავი, აფხაზი და ქართველი სიცილით იხრჩობოდა. ამისთანა მსგავსება საქონლის მე არ მინახიაო, კვდებოდა საშიაც სიცილით, არძინბეების შეხვედრის მრცხვენიაო, მოკლედ ბევრი ვიცინეთ.

ეხლა ჩემი „კუკლა“ რომ ჩამომიყვანა რაჭიდან დათუნამ, ჩემმა დისშვილმა იმის შესახებ, რომ ნამოვედით ჩვენ, მთის „ჩასავალა“ უბანი „ოტიანა-ხულევი“ ხომ დაცარიელებული იყო, ერთი წლით ადრე გადაასახლეს ე. ი. მთელი ამოდენა „არტელი“ სოფელი დაცარიელდა. იყო ძაღლების ყფა-ყმუილი, აქა-იქ გადარჩენილი ქათმების, მამლების ყვირილი, ის ადამიანები, რომლებიც დარჩნენ, რომ მიეხედათ საქონლისთვის, გაეყიდათ გაეჩუქებინათ მყიდველიც არავინ იყო. გაგარეულდა ღორი, საქონელი, მომრავლდა მგელი დათვი, თავისუფლად დასეირნობდნენ სოფელში, მეზობელი სოფლე-

ბიდან „აბარლები“ შემოესივნენ ჩვენს სოფელს და მიჰქონდათ რაც კი შეიძლებოდა ყველაფერი, ახლაც ვფიქრობ, როგორი უპატრონოები ვიყავით, თითქმის მთელი ავლადიდება რაც მაღალმთიანი სოფლისთვის იყო დამახასიათებელი ყველას ისე დაგვრჩა შეშა, თივა, სახლ-კარი, პირუტყვი, ხალხი როგორც პირუტყვი ისე გამორეკეს, ზოგმა ნათესავს დაუტოვა სახლ-კარი, ზოგი თვითონ დარჩა, მაგრამ შეშინებული ცარიელ სოფლის, ყმუილი მიტოვებული ძაღლების, ბღავილი საქონლის, ჭრაქიც რომ აღარ ანათებდა ჩანკვარამებული უბანი, გამოიქცა და ზოგი გზაში მოგვეწია, მაგალითად დედაჩემი ქუთაისში დაგვეწია. ვაჟას იმედად დავტოვეთ იმდენი ქათამი, ძროხები, ღორები, ცხვრები, „კუკლა“ ეს პატარა ფინა ძაღლი ყველა-ყმუილით იკლებდა თურმე იქაობას, გენუშა ვერიჩკასი, რომელიც დარჩა იქ, „ბასუკენთების“ უბანში, ყვებოდა გაძლება აღარ შეიძლებოდა, განსაკუთრებით თქვენი „კუკლას“ ცოდვით აღარ შემედლო, ეზოს არ სცილდებოდაო, გახდა, სანამ ვაჟა მოვიდოდა, ეს ორ დღეში ამოდიოდა, მე არ მეკარებოდა, გადავუგდებდი ჭადის ნატეხს, გამწარებული მიყვოდა პირს არ აკარებდაო, მოკლედ, ვაჟამ ჩვენი საქონელი ზოგი მამდას მიაბარა, ზოგი ჩემმა დამ წაიყვანა ლიხეთში, რომლების ასავალ-დასავალი აღარ გაგვიგია, ქათმები ზოგი მელამ შეჭამა, ზოგი ქორმა მოიტაცა, დარჩა ამოდენა სახლ-კარი ქობ-ბოსელი, ბედელმარანი, უპატრონოთ, ვაჟაც აღარ ამოდიოდა ცარიელ სოფელში, „კუკლა“ ფედოსიმ (ჩემი და) წაიყვანა, მიიჩვიეს, ცოტა მოიკეთა ძაღლმა, მაგრამ მინც დარბოდა, დათუნა უვლიდა ჩემს ძაღლს რომ უყურებდა „კუკლას“ დაღონებულ თვალებს სულ კუდჩამოშვებული დადიოდაო, ხან სად შეძვრებოდა, და ხან სადო. მოკლედ აუჩემდა დედამისს უნდა წავიდეთ გუდაუთაში, წავიყვანოთ „კუკლაო“, მოკვდებო. რაღა ვუთხრა ეთერიკას და ბებიასო, მოკლეთ, დათოს სიტყვას ოჯახში ფასი ჰქონდა, ეს ერთი ბიჭი ჰყავდა ჩემს სიძეს, ორი ქალიშვილიც ლიანა და მედიკოც კი ჰყავდათ, მაგრამ, დათუნა დიდი ავტორიტეტით, სიყვარულით სარგებლობდა, გვარის გამგრძელებელი არჩუაძეების იმედი იყო. იმ დროისთვის ჩემი სიძე თედო უმდიდრეს კაცად ითვლებოდა, ქუთაისს იქეთ, ყველას მისი ოჯახი სჯობდა, თვითონ „გამრეკელი“ შეარქვეს, როგორც კარგ მოფერს და დათუნამ გაიტანა თავის სიტყვა (იქნებოდა 8-9 წლის), წამოიყვანა თედომ ფედოსი დათუნა და „კუკლა“ ქუთაისში, ლამაზი საყელური ჰქონდა ჩემს ძაღლს შებმული, დათუნას მიერჩია და თითქოს გრძნობდა ამ ბავშვის კეთილ განზრახვას, სიხარულით, წკმუტუნით მოსდევდა უკან.

ქუთაისში მატარებლის ბილეთები აუღია თედოს ფედოსისთვის და დათუნასთვის, ძაღლი რომ დაინახეს, უთხრეს არავითარ შემთხვევაში მატარებელში არ შევუშვებთო, ტყუილად არ ინვალოთო, თქვენც ვერ წახვალთო. „კუკლა“ თითქოს ხვდებოდა რაც ხდება მის ირგვლივ, ხმას არ იღებს. მაგრამ

დათუნას იმედიანი თვალით უყურებს. თითქოს ეუბნება „დანყნარდი, საქმე კარგად იქნებაო“, ტირის დათუნა, „პრავადნიკს“ — გამცილებელს ეხვეწება: „ბიძა, ბებია და ეთერიკა, ჩემი საყვარელი დეიდა ელოდება ამ ძაღლს, რომ არ ჩაფიყვანო ძაღლიც მოკვდება და ეთერიკაცო. ტირის ეს ლამაზი ბიჭი დათუნა, „კუკლა“ საცოდავად წკმუტუნებს, ლამაზი, მავედრებელი თვალებით შეჰყურებს „პრავადნიკებს“, რომლებმაც ამ ვაგონთან მოიყარეს თავი, ზოგს ეცოდება დათუნა და ძაღლი, ზოგი გულქვა და ოხერი ხელებს ასავსავენებს, არ შეიძლებაო, თედომ და ფედოსიმ ივაჟაკებს, და დაიყოლიეს „პრავადნიკი“ შეუშვეს დათუნა და „კუკლა“ ვაგონში. მთელი ვაგონის ხალხი ეფერებოდა დათუნას და ძაღლს, რომელიც შეძვრა საწოლის ქვეშ და ხმას არ იღებდა, არც საჭმელს დააკარა პირი, და დილამდე, გუდაუთაში ჩასვალმდე გასუსული იწვა. გამოვიდნენ თუ არა ვაგონდინ ძაღლი და დათუნა სიხარულით ხტოდნენ ამდენი ნანერვიულები „კუკლამ“ იმდენი მოფსა, დათუნამ კინალამ ჩაიფსაო იმის შემხედვარემ, ფედოსიმ მოაფარა გვერდზე და მოაფსმევიწა. მანქანაში მოთავსდნენ და ნამოვიდნენ დურფში, მე ჩაიში ვიყავი წასული, რომ მოსულან დათუნა, ფედოსი და „კუკლა“ ეზოში დედაჩემი ქათმებს საჭმელს უყრიდა. ქიშკარი რომ გააღეს და დედაჩემის ყვირილ-ტირილი მომესმა რაღაც ხდებოდა ეზოში, გამოვიქეცი და რას ვხედავ, დედაჩემი ჩამჯდარი, „კუკლას“ წკმუტუნი მესმის, ლოკავს სახეზე, ხელებზე, ჩემმა ყვირილმა „კუკლა“, „კუკლა“-თქო, მთელმა უბანმა ეზოში მოიყარა თავი, ვინც სახლში იყო, ცალკე ძაღლი, ცალკე მე და დედაჩემი სიხარულით ეკოტრიალობდით ეზოში, ვიღას ახსოვდა ფედოსი და დათუნა, ე. ი. ძაღლი ვეღარ დადიოდა, სიხარულითდ აფორთხავდა ეზოში, მე და დათუნამ ტირილი დავიწყეთ, ვეღარ დადის „კუკლაო“, მეზობლები ამის შემხედვარე ტიროდნენ, ამას რა სვუყურებთ, რას შვრება ეს ძაღლუკაო, ასე ფორთხვით შემოიარა მთელი ეზო, მერე თანდათანობით გასწორდა, გაიმართა და ჩემი ლამაზი ძაღლი სიხარულის წკმუტუნით გვივლიდა გარს, ყველას სათითაოდ მოეფერა, დასუნა, მერე დათუნას შეახტა ხელებზე და ლოკვა დაუნყო, მადლობას ეუბნებოდა, თითქოს. ახლა რომ მახსენდება ის სცენები, რა ჰქნა ამ პატარა ცხოველმა, რამდენი სიხარული, სითბო, სიყვარული, გაგვიანნილა ყვეალს, რას შვრებოდა, როგორ ფორთხავდა, როგორ კოტრიალობდა, რას აკეთებდა ცრემლები მომდის თვალებიდან. რამდენი წელი გავიდა ამ ამბის შემდეგ, თვალწინ მიდგას ყველაფერი ეს. იქნებდა დაახლოებით 1951 წელი, 50 წლის წინ. რამდენმა დრომ გაირბინა, ჩემი მეხსიერებიდან კი არ ნაშლილა ეს ლამაზი ბავშვური მოგონებები. ახლა ამ მოგონებებს ფარცხისში ვწერ, დღეს 14 აგვისტოა, 2003 წელი. ჩემი შვილები და შვილიშვილები ქობულეთში წავიდნენ ზღვაზე, დავრჩით მე, ჩარლი, მიკი და ქათმები. ვიხსენებ ჩემს ბავშვობას, „მიკი“ სიამის ჯიშის კატა აგერ ჩემთანაა, გადამივლის, გადმო-

მივლის, მაგიდაზე, ვეფერები, „ჩარლიკა“ ესეც ჭკვიანი არსებაა, რომელსაც თავისი პატარა ისტორია აქვს, გვერდიდან არ მცილდება. ეს „დვარნიშკა“ ძალღი უზომოდ ერთგულია ჩემი და ჩემი შვილიშვილების, უზომოდ უყვარს ყველა, ახლა სოფლის ძაღლთან თამაშობს ჭიშკართან. თან ხშირ-ხშირად შემოირბენს, დამხედავს, „მიკის“ გაეთამაშება და გავარდება ისეც იმ ძაღლთან. „ჩარლის“ ისტორია კი ასეთია.

შარშან, მე და ჯემალი იენისში მოვდიოდით ფარცხისში, რომ შვილიშვილებისთვის მოგვემზადებინა დაჩა. ხილიანიდან გამოვდიოდით, მე-14-ე სართულზე ჯემალის ფეხებში რაღაც აებლანდა, გაისმა წკავ-წკავი, რაღაც უღონო, შევხედეთ, პატარა გაძვალტყავებული ლეკვი, უფრო მახინჯი არსება არ მინახია, ძლივს დაფორთხავდა, ჯემალის ვუთხარი, ნავიყვანოთ ფარცხისში, იქნებ გამოვაცოცხლოთ-თქო (რამ ამოიყვანა მე-14 სართულზე ახლაც მიკვირს. ალბათ, ძაღლის ბეძმა. ნამოვიყვანეთ, მოკლედ ფეხზე ძლივს იდგა, ვაჭამე, მოსულიერდა, შუკაში გამომყვა ლასლასით, მთელი დაჩა დამცი-ნოდა, ეს ჯიში სად იშოვეო, რომ მომაგონდა, დავბანე, დუსტიანი წყლით, იმდენი ტილი და რწყილი გასცვივდა საცოდავს, მერე ცოტა გამო-იხედა, გაძვალტყავებული კუდიც ამიქიცინა, მადლობას მიხდიდა თავის ძაღლური გულით, ორ კვირაში ისეთი გახდა, რომ ლამაზიც მომეჩვენა, სახელიც შევერჩიეთ, ნატაშამ „ჩარლი“ დავარქვათო, დავარქვით, მოკლედ ის ნაგრძელებული ცხვირი დაუმოკლდა, მოსუქდა და ყეფაც დაიწყო, მთელი 2 თვე ჩარლის არ აკლდა პატივისცემა, მართლა კარგი ლეკვი გახდა. ჩემი წასვლის დრო დადგა, რა მექნა ჩარლისთვის არ ვიცოდი, ვატყობდი გიას მოწონდა, ვთხოვე ზაფხულამდე დაეტოვებინა. ასეც მოხდა დარჩა ჩარლიკა, გული კი მეთანაღრებოდა, მაგრამ რა მექნა, რომ ამოვიდოდი ხოლმე დაჩაზე, სულ ნივილ-კივილით მორბოდა ჩვენთან, ასე რომ გიას ოჯახი ძალიან შეიყვარა, მაგრამ ჩვენზე გიჟდებოდა, განსაკუთრებით შვილიშვილებზე, წელს რომ ამოვედით აქ ერთი ღამე აღარ მოგვცილებია, დადგა ძალიან ლამაზი ძაღლი, ჭკვიანი, ტყვილად არ დაიყეფებდა. ბავშვებთან ერთად მიდის ალგეთზე და ბანაობს, გიჟდება განსაკუთრებით ჩემთვის და ნინოსთვის, მოკლედ ასეთია ჩარლიკა, რომელიც ძალიან მიყვარს და უყვარვარ, გვერდიდან არ მცილდება, მე მარტო რომ დავრჩი, თვითონაც ძალიან მოიწყინა, აღარ იცოდა რა ექნა, არ მიმატოვა, მოკლედ მთელი დაჩის „ლუბიმიკი“ მიკისთან მაგრად ერთობა, დარბიან, გუშინ ნატაშასც სიძობაც დაირტყა, „ლედის“ ჩაეხუტა, მოკლედ ჩარლი ვაჟკაცია, უკვე მთელი უბნის ძაღლები პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. პრინცესა „ლედიმ“ ჩარლი აირჩია, ნატაშა კი გადაირია, ჩემს ჯიშიან ლედის ასეთი უჯიშო და უგავრო ქმარი რათ უნდაო, მაგრამ „ლედი“ თვითონ ინვევდა ჩარლიკას. ჩარლიკამაც ივაჟკაცა, ნატაშას ნივილ-კივილი ცაში ადიოდა, მაგრამ რაღა დროს, ასე რომ ჩემი მახინჯი ჩარლი

ძალიან ლამაზია. მოკლედ ჩარლის და ლედის სიყვარულმა ააფორიაქა მთელი ფარცხისი, ლედი ჩარლის გარდა არავის არ იკარებს, ტირის, ნკავის, აქედან ჩარლის ვიჭერ, ვკეტავ არ ვუშვებ, მაგრამ ლობეებს ზევით ახტება და გარბის, თავის სატროფსთან, ორი დღეა არ ჭამს, არ სვამს, სიყვარული ასეთი არ გამიგია, ნატაშამ მთელ თავის ეზოს ბარიკადები შემოაგლო, ბანარჩაბ-მული დაჰყავს ლედი, ჭამს თუ ძინავს, გაგიჟებულა ქალი, ტუალეტში თან წავიყვანე, ბანარით ხელში შევედი ტუალეტში, ლედი გარეთ არისო, მომესმა რაღაც ნკმუტუნე, გავაღე კარი და ჩარლიკა არ ჩახუტებია ლედისო. ავტეხე ნივილი, კივილი, ნიფხავჩახდილი დავრბივარ, ძლივს მოვაცილე, ერთიმეორესო. მე სიცილით ვიხრჩობი, ნატაშას რომ ამას ყვება, მოკლედ, მთელი ისტორიებია ამ ჯიშთან ლედისა და უჯიშო ჩარლიკას შორის, მაგრამ ძალიან ლამაზს შორის.

ესლა ვაგრძელებ ჩემს ამბებს გუდაუთაში რაც მოხდა, ვსწავლობდი კარგად, ჩაის ყველაზე მეტს ვკრეფდი, ეშმაკობაში ტოლი არ მყავდა, ბიჭი და გოგო ყველა მე შემორჩილებდოა, ჩემი სიტყვა კანონი იყო, ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვიყავით და ვდაქალობდით, მე, ჟენია, იულიასი, ეთერი ლობჟანიძე, ნოე რეხვიაშვილი. ამ სამისთვის რაც უნდა მეთქვა, ყველაფერი ისე კეთდებოდა, როგორც მე მინდოდა, ქართველების ბრიგადირად რამოდენიმე წლის შემდეგ იასონა გუგუნავა დაგვინიშნეს (დურიფში იყო გააფხა-ზებული მეგრელებით სავსე), რა თქმა უნდა, ქართული, მეგრული და აფხა-ზური ბრწყინვალედ იცოდა, მოკლედ, ყველა ბრიგადებს ჩვენი სჯობ-ნიდა. მე ჟენია და ეთერი (როცა გაგანია შეუადღე იყო, ყველა ისვენებდა, ისეთი სიცხეები იდგა) ნამოვავლებდით კალათებს და ფართუკებს ხელს — წინ გქვონდა ჩამოკიდებული, დავტენიდიტ ჩაის ფოთლით და მერე დიდ 40 კგ კალათებში ვყრიდით. ზოგჯერ წელი მოწყვეტაზე მქონდა, ისეთი მძიმე იყო ჩაით გატენილი ეს ფართუკი, სამივე შევიპარებოდით აფხაზების ჩაებში, რა თქმა უნდა, იმათ არაჩვეულებრივი პლანტაციები ჰქონდათ, თითოეულ მოსახლეზე, სულ ცოტა ნახევარი ჰექტარი იყო გაპიროვნებული, შევიპარებოდით და 1-2 საათში რაც კარგი დუყები იყო გადავლილი გქვონდა დავტენიდიტ მოპარული ჩაით კალათებს და მერე როცა სხვები ჩაეში გამოვიდოდნენ, ჩენ ან მდინარეში ვბანაობდით, ან გამოქვაბულში დავძვრებოდით თეთრი წყლის პირას რომ იყო ბლომად. ახლაც მახსოვს, დამურები რომ შემოგვაფრინდებოდნენ ხოლმე სახეში. გამოქვაბულიდან დამფრთხლები გარეთ მოფრინავდნენ, რა თქმა უნდა მოწინავე მე ვიყავი, ყველა სიძნელე ჩემს თავზე უნდა მიმელო, მერე მომყვებოდა ჟენია, მერე ეთერიკა, რომელსაც „ლობჯას“ ვეძახდით (ეთერი არ მინახავს ალბათ 40-45 წელია. ჟენია კი დურიფშივე იყო გათხოვილი და რომ დავდიოდი ჩემი ქმარი-შვილით, ყოველთვის ვნახულობდი, ისე ერთი 18-20 წელია, ისიც აღარ მინახია. უკვე ბებიები

არიან ისინიც), ბევრი გამოქვაბული იყო სადაც ზოგში ტბა იყო ძირში, ზოგან წყლის ჩურჩუხი ისმოდა, რა თქმა უნდა, ჩვენ იქამდე ვერ ჩავდიოდით, რამდენი საინტერესო თავგადასავალი გვაქვს სამივეს, განა მე, სალამოს ჩაის „პუნქტში“ რომ მივიდოდით, გატენილი კალათებით გაგიყვებოდა იყვნენ მთელი უბნის ქალები და გოგონები, ყველაზე მეტს ჩვენ ვაბარებდით ჩაის. ისინამ იცოდა ჩაის აფხაზებს რომ ვაბარავდით, მაგრამ არაფერს გვეუბნებოდა, პირიქით, უხაროდა, რომ მისი ბრიგადა მოწინავე იყო.

რა თქმა უნდა ის ჩაის ბუჩქები რომელთაც ჩვენ გადავუვლიდით, აღარ ვარგოდა მოსაკრეფად, რაც კარგი იყო წამოსული ჩვენ ვკრეფავდით, ისე ლამაზია აყლორტილი ჩაის გრძელი მწკრივები, თითქოს იხმობს ადამიანს, მოდი, დროზე მომკრიფეო, თუ თავის დროზე არ მოიკრიფებოდა, ჩაბარდებოდა და ის ხარისხი აღარ იყო. მოკლედ შეგულებული მქონდა ვისი ჩაი იყო გადასავლელი და ჩვენ 1-2 საათში, გაგანია სიცხეში ყოფას ვუტირებდით, გამოვიდოდნენ აფხაზები და სადღა იყო აყლორტილი რიგები. იცოდნენ ჩვენი ბრიგადიდან იბარავდნენ, მაგრამ ვინ — ეს აღარ იცოდნენ. შემოიღეს ყარაულობა. ჩვენ უფრო არძინებების ჩაის ვიპარავდით, ცოტა შორსაც იყო, და კარგი რიგებიც იყო, თითო რიგი 50-40 მეტრზე იყო გადაჭიმული, ჩვენ რა თქმა უნდა, ბოლომდე არ გავდიოდით, ჩაის თავს და ბოლოებში, ე. ი. სადაც იყოფოდა ჩაის ნაკვეთები, ამოსული იყო ეკალი, გვიმრა და სხვა მწვანე ბალახები, ძალიან მაღალი იყო გვიმრები, ჩვენ შევძვრებოდით ამ გვიმრებში, ვანყობდით კალათებს და ჩვენ შიგ ვიმალებოდით, თუ რაიმე საშიშროება იყო, დავიფენდით დაბლა გვიმრებს, ზევიდან გვიმრა გვფარავდა და საამო იყო ამ სიცხეში შიგ ყოფნა, ბევრჯერ გვიხსნა ამ გაუვალმა გვიმრებმა აფხაზებისგან შეიძლება არ ვეცემთ, მაგრამ ჩაის კი ნავგართმევდნენ.

ერთხელაც შულუმბეების ჩაის გადავუარეთ, ცოტა დიდხანს შევრჩით, კარგი დუყები იყო, გავიხედე და დიდ ალვის ხეების ხეივანში (ალვის ხეები და ნაძვები იყო ქარსაცავ ზოლებად დარგული, დიდი სილამაზე იყო, ამ უზარმაზარი ხეები და მობიბინე ჩაის პლანტაციები, საერთოდ, ლამაზი სოფელი იყო დურიფში, ვაკე მთის ძირი, ზღვის და მთის ჰაერი აქ სწვდებოდა ერთმანეთს, მოდის შულუმბა, ვიჩქას-ვანიას მამა ჟორა მხარზე წალდგადადებული, გავიქეცი-მეთქი, გადავჭურჩულე ჟინიას და ეთერის. მოვკურცხლეთ, ხშირი ბუჩქები და სავსე კალათები ხელს გვიშლის, მაგრამ, მაინც მთელი ძალითა და ღონით ჩაკუზულები მივარღვევთ ბუჩქებს. ამ კაცს თვალი მოუკრავს ჩვენთვის, სად გამექცევიანო, უფიქრია, მაგრამ, ჩვენ თვალსა და ხელს შუა დავეკარგეთ, შევძვრით გვიმრებში, ვართ გასუსულები, აგვირბენს და ჩაგვირბენს ჟორა, იგინება აფხაზურად, გააგრძელა მერე გზა ჩვენი ბრიგადისკენ, ჩვენ გამოვძვრით გვიმრებიდან კალათები გატენილი ჩაით დავტოვეთ საიმედოდ დამალული, დავეშვიტე მდინარე თეთრ

წყალზე, გახვითქულები, ჩავცვივდით ცივ წყალში და კარგად ვისიამოვნეთ, მერე შევფურთღეთ ჩაის მკრეფავებს და მართალი ხალხივით გავაგრძელეთ ჩაის კრეფა, იყიყინეს აფხაზებმა, იწყველეს, იგინეს, მაგრამ, ქურდი ვერ დაიჭირეს, როგორც ყოველთვის ყველაზე მეტი ჩაი ჩვენ ჩავაბარეთ.

ხშირად ეწყობოდა ექსკურსიები სხვადასხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში. ერთი ასეთი ექსკურსია მოეწყო რინის ტბაზე, ჩვენი მე-14 ბრიგადისთვის. გაივსო ერთი „კარობკა“ ავტობუსი ბრიგადის წევრებით, ჩვენთვის ადგილი აღარ დარჩა, უბნის მოზრდილი ბავშვები დაერჩით სოფელში, გავმწარდით ძალიან, რომ არ წავვიყვანეს, შალიკო ბოხაშვილს ჰქონდა საზამთრო დათესილი. ეს ჩვენთვის ახალი ხილი იყო, მოზრდილები იყო უკვე. მესერი ჰქონდა ისეთი შემოვლებული შალიკოს ბოსტანს, რომ ჩიტი ვერ ჩაფრინდებოდა. გავეცი ბრძანება, რომ უნდა მოვიპაროთ საზამთრო. ვერიჩკას ოთარა, მარუსას, ომარა და მე. გადანყდა სხვას არ უნდა ვუთხრათ, რომ არ დაგვასმინონ შალიკოსთან, ძალიან გვეშინოდა ამ კაცის. მესერის ძირში მივაგორეთ დიდი ქვა, ქვაზე დავდექი მე, შევისვი ბეჭებზე ოთარი და გადახტა, უფრო სწორად გადავაგდე ბოსტანში, სასწრაფოდ წამოდგა და დაერია საზამთროებს, 7-8 ცალი მოწყვიტა, მანოდებს, მე ომარის ვესვრი, ის ჩაის ბუჩქებში მალავს. ახლა გადმოსვლა გაჭირდა იქედან, ირბინა ოთარამ და ბოსტნის ბოლოდან გადმოძვრა როგორც იქნა ჩავიძალეთ ბუჩქებში, გავჭერთ ერთი არ ვარგა, მწვანეა, მეორე, მესამე და არც ერთმა არ ივარგა. ჩავტენეთ ბუჩქებში ეს უვარგისი საზამთროები და წავედ-წამოვედით მართალი ხალხივით, შიშით ველოდებით ექსკურსიის ხალხს. მაშინ ვიქნებოდით 13-14 წლის, საღამო მოვიდა ავტობუსი, ატყდა ჟრიამული, „სანახშოზე“ ცეკვა-თამაში, დაირას უკრავს ჩემი და საშა, აკარდენს ლენა მარუსასი, მიდის გახურებული მხიარულება. „სანახშო“ იყო შალიკოს სახლთან ახლოს. საქონელი, ღორები დაამწყვდიეს ბოსელში, ჩვენ გულისყური იქეთკენა გვაქვს, უკვე ღამეა, რამ მოაფიქრა ამ ბოსტნის დათვალიერება ამ კაცს არ ვიცი, უცბად, ამ გახურებულ ცეკვა-თამაშის დროს, მორბის შალიკო ჯოხით, ყვირილ-გინებით, ლამის ტირის კაცი, „დამლუპეს, დამაქციეს, გამქურდეს, ბოსტანი ამიოხრეს, „ხაბურზაკები“ მოუპარიათ, შვილებივით ვუვლიდი, ამას ქრისტინას ეთერიკა იზავდა თავის „აფსონებითო“. შეწყდა უცბათ ყველაფერი, ბუზის გაფრენის ხმას გაიგებდით, მარტო შალიკოს ყვირილი და გინება ისმოდა. მე ვდგავარ იქ, ვითომ აქ არაფერი, გაიგონა საშამ ჩემი სახელი, მივარდა შალიკოს და იქეთ შეუტია, „ეთერუკაზე არაფერი თქვა, აგერ, მღერის და ცეკვავსო, ამას ეგ სიგლახე რომ ექნა, ასე არხეინად იქნებოდაო?! და ჩააგდებია ენა შალიკოს. ჩვენ ქიურდობა ვერვან დაგვიმტკიცა, მაგრამ პასკიამ იცოდა (პასკია ეს სახელი იშვიათობა იყო ურავში), პასკო გონებაჩლუნგი იყო და ჩვენ სამის ლაპარაკი მოისმინა, როგორც კი რომელიმე ჩვენთაგანი გავაბ-

რაზებდით რამეზე, მაშინათვე აყვირდებოდა, „აბა, თუ არ ვუთხრა შალიკოს ზამთარი (საზამთრო რომ მოპარეთო), ვეფერებოდით პასკოს, რომ არ „ჩავეშვით“, მერე მე თვითონ რამოდენიმე წლის შემდეგ, როცა უკვე გათხოვილი ვიყავი და მე და ჯემალი გადაგვიპატიჟა თავისთან, მაშინ, ქეიფის დროს, ყველა სახლში, რომ იყო, გამოვუტყდი შალიკოს საზამთროს ქურდობაში. ბევრი ვიცინეთ.

ისევ ურავს უნდა დავუბრუნდე. დედაჩემი ნობოლს გვზრდიდა, თუმცა, მე ვიყავი პატარა, თორემ დანარჩენები კაკო, საშა, ვაჟა, ფედოსი, ხომ გათხოვილი იყო, დიდები იყვნენ და სწავლობდნენ და შრომობდნენ. დედაჩემს სასტიკად ანუხებდა კუჭი, რომ ასტიდევებოდა იმის ცოდვით ქვა ატირდებოდა. ერთხელ „ხიმრუდაში“ წავედით მალაზიაში, პურის და რალაც-რალაცების საყიდლად (მამაჩემის პენსია და ტალონები გვეძლეოდა), „ბაბიკაურების“ დაღმართს რომ მივალწიეთ, ატიკვდა დედას კუჭი, ტკივილისგან მუჭის ტოლა გახდა (დედა, ისედაც, პატარა, დაბალი ქალი იყო), ცხონებული. ტირის ტკივილისგან, კვნესის, ვტირი მეც. უცბად მეუბნება, ეთერიკა შვილო, ჩაცუცქდი, მოფსი, ხელებს შეგიშვერ და თბილმა შარდი იქნებ მომიხდეს. რავარი ჩასაცუცქებელი და მოსაფსმელია შეკვეთით, მაგრამ, ოღონდ ეშველოს რამე და რას ვჩიოდი, ჩავატარეთ ეს „ოპერაცია“, მოხვრიპა, 2-3-ჯერ და ცოტა ჩაუნყნარდა, შეუჩერა ტკივილი. ე. ი. მართლა უშველა, მოკლეთ ასე ნეალობდა საწყალი დედაჩემი, რას არ წამლობდა, შინაური ბალახეულით, თბილისშიც წავიდა დებთან, ძმებიც იქ ჰყავდა, მაგრამ ვერაფერი ეშველა, სანამ გუდაუთაში თვითონ არ უშველა თავს ზღვის წყალით. სვამდა ზღვის წყალს, სახლშიც მოჰქონდა და ასე მოურჩა. ნამდვილად ასე იყო.

მახსოვს, დედა რომ წავიდოდა, რამოდენიმე დღით სადმე, დედულეთს, ჭიბრევეში რამე რომ მოეტანა ჩვენთვის, თუ დაავიანდებოდა, მე როგორც პატარა, ჩამისვამდნენ კალთაში, საშა ან ვაჟა (კაკო სწავლობდა ქუთაისში) და მეკითხებოდნენ, „ეთო, კიკა, როდის მოვა დედუა, დღეს თუ ხვალ ან ზეგ“ (სულმოუთმენლად ველოდი დედაჩემს თუ ვეტყოდი დღეს ან ხვალ-თქი, სიხარულით ცეკვავდნენ, იცოდნენ, რომ ნაღდად მოვიდოდა. თუ გავისუსებოდი, ე. ი. ჯერ ვერ მოვიდოდა. მაშინ უნდა გენახა როგორ მიმბერტყავდნენ, ჩემს კი და არაზე იყო დამოკიდებული დედას მოსვლა. დედაჩემს დაბარებული ჰქონდა, რომ წამოვალ ჭიბრევიდან, დედულეთიდან, დილით, შუადღეს და სორში იქ კარგი მამიდა მყავდა ნინა, იქ ცოტას დაისვენებდა მამიდებთან და ისინიც დაუმატებდნენ რაიმეს, საჭმელს, ჩასაცმელს, წამოვიდოდა კედელეებით, კედლებივით იყო აღმართული მთები, იქედან იყო ფეხით სავალი გზა, ვითომ მოკლე, მაგრამ, საღამომდე ძლივს მოაღწევდა სახლამდე. დალილ-დაქანცული, ჩვენი სახლიდან კედელეები ჩანდა კარგად, იქ ერთი ადგილი იყო, სადაც დედა დადგებოდა, იყურებოდა სახლისკენ

და თავსაფარს იქნევდა, იცოდა, ჩვენც, კერძოდ, მე, მიჩერებული ვიყავი იმ ადგილს მთელი დღე, რომ დედა დამენახა და მეხარებინა საშასთის და ვაჟასთის, რომ მოდიოდა დედაჩემი. რა თქა უნდა, კდიეე დიდი გზა ჰქონდა გამოსავლელი. ნავიდოდნენ ვაჟა და საშა, შეხვდებოდნენ და მიეხმარებოდნენ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, დედას რომ დავიგულებდით სახლში.

ახლა ისეე გუდაუთა, მე მიზანი მქონდა, რომ სხვაზე უკეთ უნდა მესწავლა, უნდა მეშრომა, ყველაფერში უნდა მეჯობნა სხვისთვის. ასეც იყო, ვისწავლე, აფხაზური ენა, რუსული, გერმანულიც, კარგად ვცურავდი, სხვაზე მეტ ჩაის ვკრეფდი. სპორტში ყველას ვჯობდი სკოლის დონეზე. დავრბოდი, ვბტებოდი, ფრენბურთში და ჭადრაკში (ფიზიკულტურის მასწავლებელი გვყავდა რაფო ნადარეიშვილი, გვასწავლიდა ისტორიასაც. არაჩვეულებრივი კაცი) ტოლი არ მყავდა. პირველი ვიყავი. ამიტომაც გუდაუთის ნაკრებში წამიყვანეს, ვიყავი კაპიტანი. სპარტაკიადებზე სოხუმში ამომირჩიეს მე და აფხაზეთის ნაკრებში ვთამაშობდი, თამბაქოს ფაბრიკაში ვმუშაობდი, თან საღამოს სკოლაში ვსწავლობდი, მეცხრე კლასში. ამასობაში კარგი ტანად, თვალადი გოგო გავხდი, რომ იტყვიან „წამოვიჩიე“.

ბევრი თავყვანისმცემელი გამიჩნდა. არ დამავინწყდება პირველი ბიჭი აფხაზი ჭიჭიკო გოგობია მერვე კლასიდან რომ ვუყვარდი, ლიხნელი, ერთი იყო მეცხრე კლასში ზურა სორდია მეგრელი. წერილი მომცა წაიკითხეო. რომ წავიკითხე და სიყვარულს მიხსნიდა, გამოვეკიდე, სკოლას სულ „კრუგები“ ვარტყით. ვერ დავიჭირე. გადამირჩა. ასე გადიოდა წლები. გავხდი 19 წლის და ფაბრიკაში ჯემალიმ იმარჯვა, შემაყვარა თავი და 20 წლისაც არ ვიყავი ცოლად რომ წავყევი. 1961 წელს. რა თქმა უნდა ბევრი გაჭირვება, დაღბინება გამოვიარე, მაგრამ, მივალწიე ჩემს მიზანს, კარგი ოჯახი, კარგი შვილები, რძლები, შვილიშვილები. ღმერთის წყალობით, მისი მფარველობით კარგად ვართ.

თუ მოვიცალე, მოსაგონარი კიდეც ბევრია და საინტერესო. შეიძლება დავწერო.

19 ივლისი. 2005 წელი. ფარცხისი

1961 წელს შემეძინა ბიჭი მალხაზი-გიორგი სოხუმში. სოხუმში გადავწყვიტეთ მე და ჯემალიმ ამხანაგურ მშენებლობაში შევსულიყავით. თამბაქოს ფაბრიკაში ვმუშაობდით ორივე. დავინწყე საბუთების შეგროვება პირველ შესატან ფულს მომცემდნენ დედაჩემი და საშიკო. ამ იმედით დავრბოდი საბუთების შესაგროვებლად. ყველგან აფხაზები იჯდნენ, ნორმალურ ადგილებზე, მე აფხაზური ენა ვიცოდი, უკვე 1960-1961 წლიდან აფხაზებს ამღვრეული ჰქონდათ გონება, არ ვუყვარდით ქართველები. უკვე ჩარეული

იყვნენ რუსები ჩვენ ორ ერს შორის თესავდნენ სიძულვილს, მტრობას, სწორედ ამიტომ მამბრკოლებდნენ, მიჭიანურებდნენ საბუთის მოცემას, მოკლედ, არ უნდოდათ ჩვენი იქ დამკვიდრება, ე. ი. ქართველების. მე ეს კარგად მესმოდა და ჯემალის ვუთხარი, თბილისში წავიდეთ-თქო. აქაც მე ვიმარჯვე და გადმოვედით თბილისში. ჩავეწერეთ. ჩავგწერა ვინმე ცუგო დაუშვილმა, ჯემალიმ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, ეს იყო 1964 წელი. კოლია დვალი ჩვენი ყოფილი სოხუმის თამბაქოს დირექტორი, ახლა „საქთამბაქოს“ ტრესტის მმართველი იყო. ძალიან ვყვარდი მე როგორც კარგო სპორტსმენი, მის დროს ვთამაშობდი „აფხაზეთის ნაკრებში“ ფრენბურთს, ვიყავი კაპიტანი ნაკრების და გუნდ „ვანთიადის“ 1958 წლიდან 1964 წლამდე. სანამ თბილისში გადმოვიდოდით. ასევე მონაწილეობას ვღებულობდი სპარტაკიადებში ჭადრაკში, ცურვა. ყველაფერში მქონდა II თანრიგი. ფრენბურთში I თანრიგი, დავივირავეთ ბინა აზერბაიჯანელებთან საბურთალოზე, ფული დედაჩემმა და საშამ მომცეს. ვცხოვრობდით მშვენივრად. 1965 წელს შემეძინა ზაზა. მალხაზი ჩამოვიყვანე ჯიხაიშიდან და ვზრდიდი ორივეს. დეკრეტულით და ჯემალის ხელფასით გავდიოდით იოლად.

მთელი დასავლეთმა ჩემთან მოინდომა ცხოვრება ამ დაგირავებულ ბინაში, ერთოთახიანში. ცხოვრობდა და სასოფლოში სწავლობდა ჩემი მულის მამული მურმანი, დაამთავრა და წავიდა. ეს იყო 5 წელი, მაშინ მე 24-25 წლის ვიყავი, ჯემალი 30-ის. მერე ჩამოვიყვანეთ ჯემალის მამიდაშვილი ნაირა. მეხმარებოდა, თან ვასწავლიდი სადამოს სკოლაში. იძულებული გავხდი 2 ოთახიანი ბინა მეძებნა, ვიშოვე, დავივირავე და ცოტა ნორმალური ცხოვრება დავიწყეთ. სასწავლებლად ჩამოვიდა ჯემალის ბიძაშვილი, მაღლაკიდან, ეთერიკო, ოთხი წელი ისწავლა, მერე ჩამოვიყვანა ჯემალის დეიდაშვილი ყრუ-მუნჯი ლიანა ინტერნატში სწავლობდა, ცხოვრობდა ჩვენთან, წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა სათქმელად ადვილია...

მერე ჩამოვიყვანე ჩემი ძმისშვილი მარინა, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა საშალო სკოლა ტყვარჩელში და მომზადების შემდეგ, აბარებდა იურიდიულზე უნივერსიტეტში, ისტორიის ძველი, ახალი და მსოფლიო, დაწერა 5-ზე, გერმანულში მიიღო 5 და ქართულ წერაში 2 (ეს იყო ჩემთვის ორკვირიანი კუჭის აშლა, არ მშველოდა არაფერი), მზექალა შანიძემ დაუწერა 2 კოლბეთის ცისკარში, რომელიც იცოდა 5-ზე, მაგრამ, დაწერა 2-ზე, ფაქტები შეაბრუნა. მოკლედ, ასე გადაგვრია მარინამ. მერე გამოიტანა საბუთები და ამავე ფაქულტეტზე ტექნიკუმში ჩააბარა. ამასობაში, მეორე ძმისშვილმა ნატომაც დაამთავრა საშუალო სკოლა და ისიც ამავე ტექნიკუმში მოეწყო ეკონომიურზე. ორივემ ჩემთან დაამთავრეს. მარინა მოვანწყვე უმადლეს სასამართლოში კანცელარიაში და დღესაც იქ მუშაობს.

მე დავამთავრე საზ. კვების ტექნოლოგია. ორივე შვილი მყავდა იმ დროს. 1968 წელს დავინწყე მუშაობა კვების სამინისტროს ბუფეტში. იქედან დაიწყო ჩემი ოჯახის აღმასვლა, შევიტანეთ ფული ამხანაგურ მშენებლობაში, რომელშიც კოლია დვალმა მომეხმარა თამბაქოს ტრესტის მმართველი (ყოფილი დირექტორი სოხუმის ჯ-კის). ზოგი ჩვენ გვემართა ფული, ზოგი დედაჩემმა და საშამ მოგვცეს, 500 მანეთი გვასესხა ტატუნამ, ჯემალის მამიდამ, მუდამ კარგად მახსოვს ის ადამიანი, მთელი კვების მრეწველობის სამინისტრო ხელის გულზე მატარებდა, ყველას ძალიან ვუყვარდი, მინისტრებიდან დანწყებული, წიგნების გამყიდველამდე. ზაზუნა სამი წლის არ იყო, იქვე საბავშვო ბაღში, რომ მივიყვანე, მოვდიოდით დილით ერთად და საღამოს ვბრუნდებოდით ერთად სახლში. მალხაზი პირველ კალსში დადიოდა 60-ე სკოლაში. უჭკვიანესი ბავშვები მყავდნენ, დამეჯერე. ჩვენთვის ასე რომ არ დაეჯერებინათ, მშობლებისთვის, ჩვენ ვერ მივალწევდით იმას, რასაც მივალწევდით, მერე 151 სკოლაში გადავიდნენ, მალხაზის მიჰყავდა და მოჰყავდა ზაზა, ასე გაიზარდნენ კარგი კაცები. მშობლებს გვისმენდნენ, გვეხმარებოდნენ, სწავლობდნენ კარგად. მე სამსახურიდან დაღლილ-დაქანცული მოვდიოდი, მაგრამ მ კლასის ჩათვლით გაკვეთილებს მაინც ვიბარებდი.

ბანაკებში მიმყავდა მე თვითონ მათთან ერთად მივდიოდი ვმუშაობდი ხან სასადილოში, ხან „კულტმასოვიკად“ ბავშვებთან ერთად ვიყავი და შრომას აღარ დავექებდი, არ ვაკლებდი არაფერს, ქვეყანა მოიარეს, კინოშიც გადაიღეს „ჩვენ მოვდივართ და მოვიმღერით“ ნელი ნენოვას და გენო წულაიას სრულმეტრაჟიან ფილმში. პირველი მზიური და რობერტ დარახველიძის მოცეკვავე ანსამბლში ცეკვავდნენ ორივე ძმები. გადაღებულნი იყვნენ მოსკოვში „ოსტანკინოდან“ გადაიციემოდა მთელ სსრკ-ში „Отзавитее горник“. ზაზას მიყავდა თავის დოლით წლების განმავლობაში სანამ საშუალო სკოლაში სწავლობდნენ ყველა არდადეგების დროს სსრკ-ს სხვადასხვა ქალაქებში მიდიოდა ანსამბლი და როგორც ყველა ბავშვის მშობლები, ბებიები და ბაბუები მივყვებოდით. 2 ახალი წელი მე და ჩემმა ბიჭებმა შევხვდით „ზვიოზდნი გარადოკში“ მოსკოვში კოსმონავტთა ქალაქში ერთი ელისევეა გალინა კონსტრუქტორის მეუღლე იყო და მან დაგვპატიჟა. სპეციალურად მოიწვია ჩემპიონი მოთხილამურე ვინემ სტანისლავი და მე და ჩემი ბიჭები თხილამურებით ვსრიალებდით. ასე რომ არ ვაკლებდი არაფერს ჩემს შვილებს.

1977 წელს დამანინაურეს და გავხდი გაერთანება 130-ის დირექტორი, რომელშიც შემოდიოდა ყრუ-მუნჯთა ინტერნატი და კომაროვის სახელობის სკოლა. ერთში უნიჭიერესი ბავშვები სწავლობდნენ, მეორეში ყრუ-მუნჯები. ეს იყო უბედნიერესი დღეები ჩემთვის და ჩემი ოჯახის ყველა წევრებისათვის. დავინწყე და ავანწყე ორივე ინტერნატში საქმე, გავაუმჯობესე სასადილოში მომსახურეობის დონე. მეტი და ხარისხიანი ულუფა ყველა ბავშვს.

მოხდა ის, რომ მოსწავლემ და მასწავლებელმა შემეყვარეს და დიდი ნდობა გამომიცხადეს. ამავე წელს შევედით ახალ ბინაში ხილიანზე. მოკლედ, დიდი სიხარული სუფევდა ჩემს ოჯახში. დანიანაურება. ახალი ბინა. რემონტი, ავეჯი, მოკლედ, ავეწყეთ კარგად. ინტერნატში კადრი ყველა ძველი იყო, ახალი არავინ მიმიყვანია. ბულალტრები ნათელა ნანობაშვილი ძველი დირექტორის სოსო გოზალიშვილის დიდი თაყვანისმცემელი იყო, ფიქრობდა, ვერ გავართმევდი თავს და რომ დაინახა ყოველდღიურად წინ, წინ მიდიოდა ჩემი საქმე, მოვიპოვე ნდობა და პატივისცემა ბავშვებსა და მასწავლებლებს შორის. გადანყვიტა ემოქმედა ბოროტულად. გააკეთა ისეთი მენიუ კომაროვში, რომ შეფ მზარეულმა არ მიაქცია ყურადღება და იმავე დღეს სახელმწიფო ფასების და ხარისხის ინსპექციიდან შემონმება მოვიდა. რა თქმა უნდა, ბულალტრის გამოძახებით. ერთი შემონმებული ნათესავი ყოფილა ბულალტრის, ეს მერე გავიგე, შეამონმეს კატლენი და კისელი, რა თქმა უნდა, მენიუს არ ემთხვეოდა, წონა და ზომა. ასე ბოროტულად ვერაგულად მომექცა ეს ბულალტერი, მიუხედავად იმისა, რომ არ გავუშვი სამსახურიდან, მასწავლებლები მეუბნებოდნენ მოიცლიე ეს ქალიო, მე შემეცოდა, მან კი ასეთი ვერაგობა გამიკეთა. მე დამაქვეითეს, ჩამიკლეს ის დიდი სიხარული, რომელიც მე განვიცადე, თითქმის ერთი წელი. მე გადამიყვანეს სხვა ობიექტზე. ყველაფერი ეს, ცუდ მოგონებად დამრჩა, ნათელას კი, ღმერთმა გადაუხადა თავის ვერაგობა, მიაგო ის, რაც ეკუთვნოდა. მაგრამ, მე მაგრად დამჩაგრეს.

გივი ვიბლიანი იყო გაერთიანების დირექტორი. ბევრი ობიექტები შედიოდა მის მმართველობაში. მნახა რომ უნარიანი, კარგი ორგანიზატორი ვიყავი და გადანყვიტა გავეშვი მინისტრთა საბჭოში დირექტორად. ეს ისეთი ობიექტი იყო, რომ თითქმის 2 თვეში იცვლებოდა ყველა დირექტორი. ვიბლიანმა ნახა, რომ მე შევძლებდი თავის გართმევას. მე სიამოვნებით დავეთანხმე და არც მინანია. მისვლის დღიდანვე გავაუმჯობესე მომსახურეობა, დამინიშნეს მანქანა ანდრიადის განკარგულებით, მოკლედ გავიხარე და თავს არ ვზოგავდი, რომ კეთილსინდისიერად მოვმსახურებოდი ამ საქართველოს მთავრობას. მოკლედ, ვიქტორია სირაძე, პატარიძე, გილაშვილი, ყველა მინისტრი და მოადგილეები ხელის გულზე მატარებდნენ. დამიფასდა მონდომება, მთან-მინდის რაიკომი, პიონერთა სასახლე, მეცნიერებათა აკადემია მე დამიქვემდებარეს. ყველა დიდი და ცნობილი ადამიანების წრეში ვტრი-ალებდი. ჩემი ბავშვობის ოცნება ავისრულე. „დიდი ქალი“ გავხდი. ქმარ-შვილი არაჩვეულებრივი მყავს. მთელი საქართველოს მთავრობაში ვტრი-ალებ, ცნობილი ლევეან სანიკიძე, გრიგოლ აბაშიძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, მწერლები, პოეტები, ადამიანების გარემოცვაში ვართ მე და ჩემი ოჯახი, ეს ბედნიერი წლები გავრძელდა 1992 წლამდე. ცნობილი მოვლენების, საქართველოს ომამდე, აქ კი მე ბევრი მოსაგონარი, ბევრი კარგი და ცუდი მოსაგონარია. გახსენებაც არ მინდა იმ ავადმოსაგონარი დღეების, სადაც მე უშუალო მონაწილეობა მაქვს მიღებული, თუ შევძელი უსათუოდ დავწერ.

ურავს!

მე ქართველი ვარ სულით და ხორციით,
შვილი ქართული, უწმინდეს კუთხის,
მე ვარ რაჭველი, და მიყვარს რაჭა!

რარიგ ძლიერად, ღმერთმა ხომ უწყის.
რაჭით ინყება ჩემთვის სამშობლო,
საქართველოა სახელი მისი,
რარიგ ტკბილი და რარიგ მწარეა,
სიზმარში ნახვა მშობელი მინის.

მიყვარს მე რაჭა, სულზე ძლიერად,
მისი ლამაზი კუთხე-კუჩქულით,
ურავი ჩემი საფიცარია,
თავის ლუხუნით, თავის უხტნულით.

ჩემი ურავი, აკვანი ჩემი,
გუგუშურა და სიკოსეულა,
ციხა-გორა ჩვენი საძვალე
გულში რომ დარდად შემოჩვეულა

ჩემი ბავშვობის ტკბილი ტკივილი,
ჩემი ლამაზი ყანა-გორები,
ურავო, — ჩემო თვალებხატულა,
დაუვიწყარო, მოსაგონებო,
ნასახტრებო და ჯვარუკეებო,
სალოცავებო, ძლიერო, წმინდა,
სიზმრად გნახულობთ და ვინერ პირჯვარს
ცხადად რომ გნახოთ, ძალიან მინდა!

მუავე წყლებო და მწვანე მინდვრებო,
ლამაზ გორებით გარშემორტყმულო.
ლენხუმელავ და კარზეყანებო,
კედელეებო, ცაზე გაკრულო.

წინწკლებიანო სწრაფო კალმახო,
გუგუშურაში რომ დანავარდობ.
მიყვარხართ ძლიერ და მენატრებით,
ურავის მთებო, ლალო და კარგო.

რაჭის ჩამკეტი დაგარქვი ჩემთვის,
შენს იქეთ უკვე დიდი მთებია,
ურავო, შენებრ ლამაზი, წმინდა,
სიზმარიც კი არ დამსიზმრებია.

ჩემო რაჭავ და ჩემო ურავო,
ჩემი ბავშვობის დიდო ზრაპარო.
ჩემი ოცნების უღვევო ზღვაო,
რას შეგადარო, რომ შეგადარო.

რაც წლები გადის უფრო მახსოვხარ,
შენი სინმინდით, შენი ბუნებით,
მიყვარხარ ძლიერ, ჩემო აკვანო,
გზა-ბოლიკებით, ღელე-ღულეებით.

ჩემი ტკივილი, ჩემო ოცნება
ურავი ჩემი საფიცარია.

გულში ჩაღვრილი ცრემლები არის,
ურავზე ფიქრი და ნოსტალგია.

მიყვარს, მიყვარს და კვლავ მეყვარება,
ურავი, ნმინდა, ამაღლებული.

რაჭას დაჰყურებს მთის არწივივით,
სიკეთის მაღლით გაღაღებულნი.

სულ მენატრება და ვმღერი მუდამ
ურავი ჩემი სულის ჰიმნია.

60 წელი სულ მასზე ვფიქრობ,
სხვა ფიქრი ასე არ მიფიქრია.

მიყვარს სამშობლო სულზე ძლიერად,
რაჭა ხომ ჩემი სიამაყეა.

ჩემი ლამაზი სოფლით იწყება,
ის სიხარული — რაც მამადაია.

ვარ ურაველი და მიხარია,
რაჭა ხომ ჩემი სიამაყეა.

ურავით იწყებს მზე ამოსვლას და...
სხვა რამ სიმდიდრე არ მინატრია.

მიყვარს სამშობლო და მეყვარება,
მიყვარს რაჭა და რაჭის ბუნება.

ურავი მიყვარს სულზე ძლიერად,
ურავი ჩემს გულს ესალბუნება.

მე ქართველი ვარ სისხლით და ხორციით,
მიყვარს მოყვასი სისხლისმიერი.

რაჭით იწყება სამშობლო ჩემი,
მისი ამერი, მისი იმერი.

სულ მენატრები და ვმღერი მუდამ,
ურავი ჩემი სულის ჰიმნია.

60 წელი სულ მასზე ვფიქრობ,
სხვა ფიქრი ასე არ მიფიქრია!

ჯეგალის — ჩემს მეუღლეს

აღალი, კეთილი, მართალი,
ლამაზი სული და გული,
ლამაზი ოჯახის პატრონი,
უღევი სიყვარული!

უყვარხარ დიდს და პატარას,
ნაღდად უყვარხარ ყველას,
ეგ შენი ჭკვიანი თვალები,
ელავს ვით ცისარტყელა.

კაცი ვერ გნახავს მოცლილს,
სიკეთს აფრქვევ ირგვლივ,
ყველას დამხმარე შენ ხარ,
ღმერთიც სიკეთით გიხდის.

არავის მტერი არ ხარ,
მჯერა არც შენ გყავს მტერი,
რაც ბევრ სიკეთეს გასცემ,

უფრო ხარ ბედნიერი.

კარგი კაცი ხარ, ნაღდი,
ჯანმრთელი სულის, გულის,
მართლაც ღირსი ხარ, ღირსი,
ყველასგან სიყვარულის.

მუდამ ჯანმრთელი იყავ,
თესე სიკეთე ირგვლივ,
შენი კეთილი გული,
მუდამ სიკეთეს იშკის.

ღმერთმა დალოცოს ჯემო,

შენი ოჯახი დიდი,

არ მოშლილიყოს არა!

ღმერთს და შენს შორის ხიდი!

თესე სიკეთე მუდამ,
დიდხანს იცოცხლე ჯემო,
ღმერთმა გაშოროს ცუდი,
აღალმართალო, — ჩემო!



9.03.1996 წ.

ჩემი ოჯახი ჩემი ტაძარი,
სალი, ლამაზი, უზადო, წმინდა,
სულ მუდამ იყოს ასეთი კარგი,
მუდამ ასეთი ჯანსაღი მინდა.

ჩემი ბიჭები იყვნენ ჯანმრთელნი,
სულით და ხორციით იყვნენ ძლიერნი,
ქართული ჯიშის გამგრძელებელნი,
საამაყონი ქართველი ერის.

ქართული წესის მატარებელი,
ჩემი ოჯახი, სუფთა და წმინდა,
ჩემი ნინიკო, ჩემი ლიკლიკა,
მათი სიცოცხლე, სიკეთე მინდა.

შვილიშვილები მინდა ბიჭები,
გამგრძელებელნი ქართული გვარის,
მირიან, ბექა, ბაკური, ლაშა,
მოდგმა დავითის და ფარნავაზის.

თამარიც მინდა, მინდა მარიამ,
ქეთევანი და ნესტანი მინდა,
ქართული მინდა, ნაღდი ქართული,
ქართულ ცასავით ლამაზი წმინდა.

შვილიშვილები მინდა მრავალი,
მინდა გამრავლდეს ქართული გენი,
ძლიერნი მინდა, მინდა ამაყნი,
ქართული მინის მოამაგენი.

დაე, აღსრულდეს ჩემი ოცნება,
დე, ამისრულდეს ღაღადი გულის,
ჩემი ოჯახი იყოს ძლიერი,
მატარებელი წესის ქართულის.

ყველა ქართველი იყოს ძლიერი,
რაც ქართულია იყოს ლამაზი,
მუდამ გვფარავდეს წმინდა მარიამ,
ბევრი გვყოლოდეს ჩვენ ფარნავაზი.

ღმერთო ისმინე, ჩემი ვედრება,
ამრავლე ერი, ქართული გენი,
გადამირჩინე ჩემი სისხლხორცი,
გადაარჩინე ქართველი ერი.

1990 წლის 11 დეკემბერი

გამოზაფხულდა, აყვავდა ნუში,
საამო სუნი ტრიალებს ირგვლივ,
ყვავის ენძელა, ია, ია და...

სიცვიე ბოლო ნუთებსლა ითვლის.

ხალისობს გული, ხარობს სიცოცხლე,
ახალი სისხლით ივსება ძარღვი,
და იფურჩქნება, სკდება კვირტები,
გაზაფხულია, მარტია, მარტი!..

მიყვარს 8 მარტი, სულზე ძლიერად,

8 მარტი ჩემი გამხარებელი,

ჩემი ბექუნა გამოჩნდა ამ დღეს,

გვარის და ჯიშის გამგრძელებელი.

გამოჩნდა ბიჭი, ბიჭი მერცხალა,
ლომის შექმნილი, ნაშობი ირმის,
ქართულ ნიაღში ნაზარდ, ნანრთობი,
ეროვნული დროშის, ეროვნულ ჰიმნში.

ჩემო, ბექუნავ, ჩემო სიცოცხლევე,

ვაჟკაცო, გმირო, ბიჭო ლომგულო,

ჩემი თხოვნაა, რომ შენს სამშობლოს,

სულ ემსახურო, სულ უერთგულო.

მუდამ იყავი სამშობლოსათვის,
დაუღალავი თავდადებული,
არ შეიძლება რომ არ ივარგო,
ისეთ დროსა ხარ დაბადებული.

მინდა რომ იყო კარგი ქართველი,

მუდამ ვილოცებ შენთვის ბებიკო,

მე მჯერა შენი, აბა შენ იცი!..

ჩემი ანდერძი არ დაივინყო!..

იხარე ჩემო მერცხალა კაცო!

შენს სამშობლოში იყავ ზღიერი,

შენ და ლაშიკომ, ეთუნამ, ნუცამ,

უნდა ამრავლოთ ქართველი ერი.

ააჩუქურთმე, ააგვირისტე,

ახატ-დახატე სამშობლო შენი,

მუდამ იყავი ქრისტიანი და

ლელოს გამტანი, სიმართლის მთქმელი.

გლოცავ ბებიკო, შენ გამიმრავლდი,

ჩემო ჯიშო და ჯილაგო, კარგო,

შენი გვარისთვის, საქართველოსთვის,

უნდა ივარგო, ...უნდა ივარგო!

1991 წლის 8 მარტი. 7.03.1996 წ.

ლაშიკოს!

მარტია 25, სიხარულია დიდი!
ვაშაკიძეთა გვარში, დაბადებულა ბიჭი

ყოჩივარდები ირგვლივ,
იებში ჩაფლული მარტი,
გრძელდება გვარი დიდი,
იზრდება ბიჭი კარგი.

ბრიალა, ხარისთვალემა,
ჯანმრთელ ფეხებზე მდგომი,
კარგი ჯიშის და ჯილაგის,
კარგი დაიკოს მყოლი.

მეორე ბიჭი გამოჩნდა,
გახარებულა ბებიკო,
ბაბუკას სიყვარული ხარ,
ჩემო ლომგულა ლაშიკო.

შენ და ბექუნა, ორთავე,
დაუღლებულხართ მარტში,
მარტია ჩემი ოცნება,
ლხინია ჩემს დიდ სახლში.

უკვდავებაა ჯიშის,
გაგრძელებაა გვარის,
ხარობს კედელი, ქერი,
ხარობს სახლი და კარი.

ლომგულა ბიჭო ლაშა,
არ შეარცხვინო ერი,
არ შეარცხვინო გვარი,
ოჯახი ბედნიერი.

უნდა ხარობდეს შენით,
სამშობლო საქართველო,
მრავალტანჯული მინა,
ლამაზი მთა და მდელო.

იარეთ ბევრი — ბევრი,
იცოცხლეთ მუდამ, მუდამ —
ბექამ, ლაშიკომ, და...
ეთერქალმა და ნუცამ!

8 მარტი 1996 წელი

ჩემი ოჯახი, ანკარა წყარო,
მოჩუხჩუხე და მოჟრიამულე,
ხასხასა მდელი ფიანდაზია,
ზედ ჩემი ჯჷსი მოსიარულე.

მართალი ჯიში ლამაზი ჯიში,
თავანუელი მიმოდის ლაღად,
მხოლოდ სიკეთე და ვაჟკაცობა,
ქართველ ქალობა მიმოაქვთ განძად.

მეამაყება და მიხარია,

ჩემი ოჯახი, ლამაზი, წმინდა,
შთამომავლობა მოდის ძლიერი,

მრავლდება გვარი... მეტი რა მინდა?!

მინდა იმრავლონ, მინდა იხარონ,
მინდა, რომ იყვნენ ნაღდი ქართველნი,
ძლიერი სულის, ძლიერი გულის,
ლელოსგამტანნი, სალნი, ჯანმრთელნი.

ქართველი ერის მოსიყვარულე,

ტრადიციების მატარებელნი,

ჩემი ოჯახის, დიდი ოჯახის,

გამმრავლებელნი, გამხარებელნი.

ღმერთო დალოცე ჩემი ოჯახი,
გადააფარე მფარველი კალთა,
სულ ჟრიამული, სიცილ-კისკისი,
ისმოდეს ირგვლივ, ვაჟთა და ქალთა.

დე, ასე იყოს, იხარ-იმრავლონ,

აგრძელონ გვარი, გვარი ძლიერი,

უხვად მოიმკან მოსამკეველი,

ბარაქიანი და ხვავრიელი.

ჩემი ოჯახი, ჩემი ტაძარი,

სუფთა, ნათელი, მაღალი, წმინდა,

ღმერთმა დალოცოს, ღმერთმა ამრავლოს,

ო!.. ამისრულე... ღმერთო, რაც მინდა.

12.03.1996 წ.

ღმერთო, ნუ მოუშლი ჩემს მონაგარს სიკეთეს, სიყვარულს, სიცოცხლეს, კარგ ქალობას, კარგ კაცობას, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, მისთვის თავდადებას. მე დიდი იმედი მაქვს ჩემი სისხლის და ხორცის, კარგი კაცობის, კარგი ქალობის. იციან ვისი გორისა არიან. მიხარია, ძალიან მხიარია, ჩემი ლამაზი, საღი, შთამომავლობის დანახვა. ვლოცულობ მათი ჯანმრთელობისთვის, მათი გამრავლებისთვის, სიკეთისთვის.

დიდ ეთერის, პატარა ეთუნასაგან

გაიხარე ჩემო ბებო,
 მოგვევლინე შენს სახელად,
 მე თეთრი ვარ, როგორც ფიფქი,
 პეპელა ვარ ასაფრენად.
 ცისარტყელა წარბები მაქვს,
 წამწამები აკალმული,
 თვალეები ხომ — საოცრება,
 ახატული-ჩახატული.
 წარბ-წამწამა, თვალბრიალა,
 ლერწამტანა — მუნჯიკელა,
 მეტიჩარა, პრანჭიკელა,
 შემომვევლეთ ყველა, ყველა.

1 წლის ნუციკოს — ბებოსაგან!

ნუციკელა — მუცლიკელა,
 ბისკვიტუნა — ტაკოსქელა,
 გეხუტუნე — გეკუჭუნე,
 შემოგვევლოს ბებო ყველა.
 სიხარულო, სიყვარულო,
 მზეცქრიალა, მომღიმარო,
 შემოგვევლე მაგ ღიმილში,
 ეშხიანო — ბებოს დარო.
 დატლაკუნობ აქეთ-იქით,
 მეზობელა, შე, სოფელა,
 ტაკუნია, ტუკუნია,
 ვაგვახარე ბებო ყველა.

7 წლის ნუციკოს!

დიდი ბებოს სახელი მაქვს,
 ნუციკო ვარ, ცხვირპაუჭა,
 სულ ყველანი მიყვარს ძლიერ,
 თუმც, გული მაქვს ერთი მუჭა.
 ზაზა მამა, მიყვარს ძლიერ,
 ძლიერ მიყვარს მე დედიკო,
 ბექაც მიყვარს ძლიერ-ძლიერ,
 მარინაც, ეთო ბებიკოც.

ეთო ბებო მეძახოდა,
 ნუციკელას — დრუნციკელას,
 გოგო ვიყავ პუტკუნია,
 მუცლიკელა — ტაკოსქელა.
 გავიზარდე ტანწერწეტა,
 აღარა ვარ დრუნციკელა,
 დღითი-დღე ლამაზი ვხდები,
 გიხაროდეთ ყველას — ყველას.

მინდა კარგად რომ ვისწავლო,
 გავახარო დედა, მამა,
 ჩემს ძამიკოს ბექუნას,
 არ ჩამოვრჩე, არა, არა!
 მე ასეთი სურვილი მაქვს,
 სუყველანი იყოთ კარგად,
 ვიცოცხლოთ და გავიხაროთ,

ღმერთი გამიგონებს ამას.
 ღმერთო გვამყოფე ჯანმრთელნი,
 ეთო ბების მონაგარი,
 გავიზარდოთ, გამოვიდეთ,
 ჯანმრთელნი და მუხლმაგარნი.

1999 წლის 10 აპრილი.

ჩემო ლამაზებო, ჭკვიანებო, ჯიშოიანებო, შემოგვევლოთ თქვენი ეთერი ბებო. ყველა ძალიან, ძალიან მიყვარხართ. ჩემი დიდი სურვილია გიყვარდეთ ერთმანეთი. სულ ერთად დაისვენეთ, ამ ლამაზ, სუფთა, წმინდა ადგილზე. მე ძალიან მიყვარს ფარცხისი. ვიცი, თქვენც გიყვართ, ხოდა, აბა, თქვენ იცით.

ეთო ბებო გკოცნით ყელას.

ეთუნას — ეთო გეგოსგან!

უძირო თვალებით —
 ლამაზი წარბებით,
 დახუნძლულა ეთუნა,
 ლამაზ ნამწამებით.
 ფითქინა ლოყებით,
 მაღალი კისერით,
 ლამაზი ხელ-მკლავით,
 ლამაზი ნვივებით.

შოლტივით გოგოა,
 მაღალი, მწყაზარი,
 ეთუნასნაირი —
 სხვა გოგო სად არი!!!

ლაშიკოს!

ხარისთვალა ლაშას,
 ვაჟკაცურს და ძლიერს,
 შემოგვევლოს ბებო —
 მის ქართველურ იერს!

ნუციკოს!

გემრიელო ნუცა,
 ბებიკონას ქალო,
 შემოგვევლოს ყველა —
 მზის და მთვარის დარო!

გეჟას!

ჩემს მომღერალ ბეჟას,
 არვინა ჰყავს ტოლი —
 იმდენს ხატავს, ძერნავს,
 დაგვიმტვრია „სტოლი“!

გეჰას და ნუციკოს!

20 აგვისტოდან ბებო მოგელით,
დღეს აგერ უკვე ოცდაერთია,
რამდენი ღამე თქვენს მოლოდინში,
თვალგახელილმა ბებომ ათია.

სადა ხართ ბებო, ამდენი ხანი,
მოგელით მთელი ეზო-მიდამო,
მე და ბაბუკამ, გაგილამაზეთ,
თქვენ, შვილიშვილებს, ეს კარმიდამო.

თქვენ კი არ ჩანხართ და მენატრებით,
აღბათ, არც გახსოვთ აქაურობა,
თქვენი ბებია მარტოკა არის,
მიკის და ლამაზოს ესაუბრება.

სადღაც მანქანის ხმა მომესმება,
და ამოვირბენ სწრაფად კიბეებს,
ლამაზოც კიკინ-კიკინით მომდევს,
მაღე მოვლენო, დამაიმედებს.

ცუდი ყოფილა ეს მოლოდინი,
ასე არასდროს მომნატრებიხართ,
ბებო, რაღა ვქნათ მე და ბაბუკამ,
შვილებზე მეტად რომ გვყვარებიხართ!

ძლიერ მიყვარხართ და მენატრებით,
ლაშიკო და შენ, ჩემო ბექუნა,
ჩემო ლამაზო გოგო-ბიჭებო,
ბექა, ლაშიკო, ნუცა, ეთუნა!

თქვენ რომ ყიჟინებთ, თქვენ რომ ხმაურობთ,
მე მიტომ მიყვარს ეს ეზო-კარი,
უთქვენოთ ბებო, აბა, რათ მინდა,
ირგვლივ თუ არ მყავს მე მონაგარი.

გამოყრუებულ ეზოს და სახლ-კარს,
ვერ ვეგუები, მაკლიხართ ძლიერ, —
კატას, ქათმებს და თხას ვეფერები,
ჩემო კარგებო, მე თქვენს მაგიერ.

მოგელით ბებო, თვალეები დამწყდა,
აბა, რა მინდა, მე ამ ფარცხისში,
ხვალაც დაგიცდით, მერე კი წავალ,
გულდანყვეტილი, იმ ცხელ თბილისში!

ჩემს პატარებს ჩემი გული
სანთელივით უნდა გენტოთ,
შემოგველოთ ჩემი თავი,
ბექა, ლაშა, ნუცა, ეთო!
გამიხარდით, გამიმრავლდით,
თქვენი იყოს ეს ქვეყანა,
იცოდეთ რომ მიწა-წყალი,
სხვას არა აქვს თქვენისთანა.

ივაჟუბაცვით, იკარგქალეთ,
გაუფრთხილდით საქართველოს,
მის ტყე-ჭალებს, მთა-გორაკებს,
ცისფერ ზეცას, მწვანე მდელოს.
კარგი ჯიშის, ჯილაგის ხართ,
დე, იხაროს თქვენმა გენმა,
გენმა შორით, მომავალმა,
ძლიერმა და ძველისძველმა.

ასე ჩემო მონაგარო,
მუდამ გლოცავთ ჩემი გული,
გული თქვენთვის ანთებული,
თქვენზე დარდით გათანგული.
გლოცავთ თქვენი ბებიკონა,
თქვენი სიყვარულით მთვრალი,
თქვენი კარგი ქალკაცობით,
მოვიხადო ქვეყნის ვალი.

ასე ჩემო სიხარულნო,
სანთელივით უნდა გენტოთ,
სულზე ტკბილო პანანებო,
ბექა, ლაშა, ნუცა, ეთო.

22. 04. 1996 წ.

ვუღვნი ზეჟას, ნუციკოს, საშკას და დენისკას!



ორი თიკნის ყიდვით,
გავიხარეთ ყველამ,
სახელეზიცი შვეურჩიით,
ყორანა და ბელა.

ერთი იყო სულ მთლად შავი,
მეორე კი თეთრი,
ერთი ბეჟას თიკანია,
ლაშიკოსიცი ერთი.

ატყდა დიდი ხამური და
სიხარული სახლში,
ბეჟა, ნუცა იძახიან,
ალარ გავალთ კარში.

კიკინებენ ჩვენი თხები,
გარს ვეხვევით ყველა,
ყორანა არ გვეკარება...
ჭკვიანია ბელა.

ჩვენს ბებიკოს და ბაბუკას,
ვენაცვალეთ ყელში,
გაგვახარეს პატარები,
ხშირად ვირბენთ ტყეში.

დაგვიბანა, დაგვივარცხნა,
ეთო ბებომ თიკნები,
ჭუჭყიანი თმა-ბენვები,
გაუხდათ თიფთიკები.

გადავარქვით სახელეზიცი:
ყორანა და ცქვიტო,
ჩვენი დიდი სურვილია,
სულ მათთან რომ ვიყოთ.

ვიდეოზეცი გადაგვიღო,
ლიკა დედამ ყველა,
ყორანას — ცქვიტო დავარქვით,
ლამაზოს კი ბელა.

2000 წლის 14 ივლისი

ბექას ოცნება



ბექა ამაცობს თიკნებით,
„მწყემსი ბიჭი ვარ მაგარი,
ტყეში, ვატარებ ორივეს,
სახლში მოგვივლენ მაძლარნი.

საშუაღ, დენისკაც წამოვლენ,
სამი ვაჟკაცი ვიქნებით,
სალამოს კი დავბრუნდებით,
ჩემი ლამაზი თიკნებით.

აახმაურეს შუკა და
გავარდნენ ტყეში თიკნები,
უკან მისდევენ სამივე
მაგარი მწყემსი ბიჭები.

სამივე ყარაჩოღელმა,
თოკებს გაუშვეს ხელები,
თავისუფალმა თიკნებმა,
გადაირბინეს ველები.

სდიეს და სდიეს ყვირილით,
მაგარმა მწყემსმა ბიჭებმა,
ამასობაში გორებიც...

გადაირბინეს თიკნებმა.

გაიგო მთელმა ფარცხისმა,
ბექას თიკნების დაკარგვა,
ბერი, ჯეელი პატარა,
მათ მოსაძებნად გავარდა.

ლამაზო კი დაიჭირეს...

ცქვიტი გაიჭრა ველადა,
ბექუნა მისდევს ფეხდაფეხ,
შავ თიკანს დასაჭერადა.

გადაირბინეს გორები,
ტყეები, პურის ყანები —
შუა ქუჩაში დაუხვდნენ,
ცქვიტოს ფარცხისის ქალები.

ვერ დაიჭირეს, გაექცათ,
ბექუნა მისდევს ყვირილით,
ნუციკოც გამოედევნა,
თავის ძმას ტირილ-ტირილით.

ნუციკოს, საშკას სირბილში,
ამოუვარდათ გულები,
ცქვიტო და ბექა ჰგონიათ,
მათ უკვე დაკარგულები.

შევარდა ცქვიტო შუკაში,
ბექაკოც მისდევს ქარივით,
უეცრად დიდმა ნაგაზმა,
პირი დაალო ღლაფივით.

„არ მიკბინო“ შესთხოვა, —
სიავეს უკლო ნაგაზმა,
ნამით შერჩერდა ბექუნა,
მერე კი ისევ „დაგაზა“!

ვერსად მიაგნო ცქვიტოს კვალს,
უკვე შორს იყო წასული,
ძლიერ დაღონდა ბექაკო,
ეტკინა სული და გული.

ამდენ დარდსა და გასაჭირს,
არ მოელოდა პატარა,
ველურმა, ოხერმა ცქვიტომ,
ფარცხისი შემოატარა.

ეთერი ბებოს რა ვუთხრათ,
როგორ შევხედოთ თვალებში,
თავი არ გამოგვეყოფა,
ფარცხისის ლამაზ ქალებში.

ასე მსჯელობდნენ სამთავე,
ბექა, საშკა და დენისკა,
„თიკნების მწყემსვა დღეიდან,
ერთხელ მაინც თუ გვეღირსა...“

არ მოვიცილებთ გვერდიდან,
თოკსაც არ გავუშვებთ ხელსო,
ოღონდაც ეთო ბებოსგან,
ღმერთო გვიხსენი დღესაო!

2000 წლის 14 ივლისი

რა თქმა უნდა ეთერი ბებომ დატუქსა ბავშვები, მაგრამ, რომ გაიგო მათი გმირული შემართება და ბოლომდე ბრძოლა იმ ოხერი თიკნის დასაჭერად... მოეფერა, გაამხნევა და უთხრა: „მწყემსებს ათასი ფათერაკი მოსდით და თქვენც ერთი მათგანი დაგემართათო — შემდეგში უფრო ყურადღებით იქნებითო“. — „თქვე უ... ყარაჩოღელებოვო“!

შვილიშვილების ფიქრები

ბექა და ნუციკო ფარცხისს ისვენებენ,

ლაშა და ეთუნა ახალდაბაშია,

ძლიერ ენატრებათ ორთავეს ფარცხისი,

ლაშიკოს აბოდებს და ერთ ამბავშია.

„დროზე წამიყვანეთ ფარცხისში ბექასთან,

ბებიკოს თურმე იქ თიკნები ჰყოლია,

დადიან, მწყემსავენ, ნეკერს მიაართმევენ,

ამ თქვენს ახალდაბას, ფარცხისის სჯობია“!

„მე მინდა ფარცხისში“, იძახის ლაშიკო,

ვირბენ იქ ტყე-ღრეში, ნაცნობ ადგილებში,

ბექუნია და მე, ეთო და ნუციკო,

ვატარებთ იმ თიკნებს ჩემს ნაცნობ მინდვრებში“.

სუყველა კითხულობს, როდის ჩამოვლენო,

ლაშა და ეთუნა აკლია ფარცხისსო,

ბექა და ნუციკოც ოცნებობს ორივე,

როდის დადგებაო ნანატრი აგვისტო.

ასე ოცნებობენ იქედან, აქედან,

ოცნება დიდია, უსაზღვრო ფიქრები,

ეს ოთხი პატარა ბიჭი და გოგონა,

აწი, ჩვენ სულ ერთად, სულ ერთად ვიქნებით!

2000 წლის 16 ივლისი. ფარცხისი.

შვილთაშვილს ნიკოლოზს



დაიბადა დიდი კაცი.

ნიკოლოზი მოგვევლინა,
პირველი პირველთა შორის,

უფალს ლოცვა აღევლინა.

ჩემო პატარა – დიდო ნიკოლოზ,
ღვთისმშობლის კალთა მუდამ გფარავდეს
ფეხბედნიერი – სვებედნიერი
გამრავლდიტ ჯიში ამ ქვეყანაზე.

აგრძელეთ გვარი, ახარეთ ერი,
ამრავლეთ ჯიში, ქართული გენი.

იყავ სიკეთის და ვაჟკაცობის,
კაცურ-კაცობის, სიკეთის მქნელი.

ხომ გაგვახარე, ბებო, სულყველა,
აგრძელე გვარი ვაშაკიძეთა,
შენი შემოსვლა ჩვენს დიდ ოჯახში
ნიკოლოზობით გამოიკვეთა.

შენ მოგვევლინე სიცოცხლის ფესვად,

შენა ხარ ჩვენი დიდი იმედი,

ფეხბედნიერი, სვებედნიერი,

სიკეთის მქნელი, სიმართლის მჩენი.

დალოცვილ იყავ უაფალ ღმერთისგან,

ნიკოლოზ წმინდის მადლი გფარავდეს,

ამრავლე გვარი, ახარე ერი,

იბედნიერე ამ ქვეყანაზე.

ჩვენმა ოჯახმა ხომ გავიხარეთ,

გახარებულად იყავ ამ ქვეყნად,

მეკვლე ხარ ჩვენი დიდი ოჯახის,

გლოცავთ, გამრავლდით სუყველა ერთად.

გამიმრავლდით, გამიძლიერდით,

ჯვარი გწერიათ ავი თვალისგან,

მუდამ გფარავდეთ მაღალი ღმერთი,

კალთა გფარავდეთ დიდი მამისა.

აბა, შენ იცი, ფეხბედნიერო,

გამიმრავლდი და გამიძლიერდი,

გფარავდეს ღმერთი, წმინდა ნიკოლოზ,

ამოიყარე ტოტნი ძლიერი.

2000 წ. ივნისი, ფარცხისი. ეთერი ბუბი.



ჩემო ნიკოლოზ, ჩემო ფეხბედნიერო, აბა, შენ იცი... შენი მოსვლით გაგვახარე, ბებო. გაამრავლე გვარი, გააძლიერე ცვენი ოჯახი, ჩვენი ერი. ბედნიერ, თავისუფალ საქართველოში იცხოვრეთ, იხარეთ ერის საკეთილდღეოდ!

შვილთაშვილ ნიკოლოზს!

ბედნიერი მამა-დედა,
ბებიები-ბაბუები,
დიდები და პატარები,
ბიჭები, მამიდები.

დიდები და პატარები,
სუყველანი აგვაცეკვა
ამ პატარა დიდმა კაცმა
გადაგვრია, აგვაცეცა.

ზოგი კუტუ-კვეცს ვუსინჯავთ,
ზოგი თითებს, ზოგნი თვალებს.
თვალის ფერი, კანის ფერი
ჯერ ვერავის შევადარეთ.

დიდი ნიკოლოზი ვარ და
ვერ შევარცხვენ მე ჩემს სახელს,
არ შეგარცხვენთ თქვენც არასდროს,
გავიზრდები, მერე ნახეთ!

ბედნიერი ფეხით მოველ,
უნდა ყველა გაგახაროთ,
გენი – სუფთა ქართული და
ერი უნდა გაგამრავლო.

აბა, ჩემო ნიკოლოზო,
მუდამ იყავ ბედნიერი,
ასახელე შენი გვარი,
აძლიერე შენი ერი!

გაიხარე, გამიმრავლდი,
გაახარე შენი ერი,
ნიკოლოზო, ღვთისნიერო,
ფესვები გაქვს შენ ძლიერი.

გაიზარდე, გააძლიერდი,
ასახელე გვარი, ჯიში,
გაახარე დედა, მამა,
შენ ხომ მოგვევლინე ბიჭი.

ბიჭი ვარ და თან რა ბიჭი,
კუჭუ-კვეცი მაქვს ძლიერი.
უნდა გავაგრძელო გვარი,
უნდა გავამრავლო ერი!
აბა, ჰე, და გაიხარეთ,
მოგეველინეთ მე ამ ქვეყნად.
ეთო ბებოს მონაგარი.
უნდა ვიყოთ ყველა ერთად!!!

ერთად ყველამ გავიხაროთ,
გავამრავლოთ ჯიში-გენი,
ვასახელოთ საქართველო,
ვაძლიეროთ ჩვენი ერი!

2000 წ. ფარცხისი
ეთო ბებო. დიდი ბუბია 80 წლის

ჩემს შვილთაშვილს ნიკოლოზს

შემოაბიჯე ჩემს დიდ ოჯახში,
იყავი მუდამ ფეხბედნიერი,
შემოდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი —
ღმერთი უკვდავი, ღმერთი ძლიერი.
გახარებულნი გველოს ამ ქვეყნად,
ამრავლე გვარი, ახარე ერი,
დიდი კაცობის მომსწრე იყავი,
იყავ ჯანმრთელი და ბედნიერი.
იყავ ვაჟკაცი, ლელოს გამტანი,
ღვთის მფარველობა მუდამ თან გახლდეს,
სიკეთით სავსე, ნაღდი ქართველი,
— მაღალო ღმერთო! ეს ნატვრა ახდეს.
შემოემატე ჩემს ლამაზ ოჯახს,
ბიჭი ბრიალა, ხარისთვალება,
ვაშაკიძეთა გვარის სიკეთეც
და გამრავლებაც შენ გვევალება.
აბა, იცოცხლე, იხარ-იმრავლე,
გაახალისე ჯიში ძლიერი,
მუდამ იყავი ლელოგამტანი,
ჩემი მონაგრის ფეხბედნიერო.

2021 წ.

ჩემო კუნთმაგარო, მუხლმაგარო ნიკოლოზ, ღმერთკაცის სახელი გქვია.
 გფარავდეს მისი მადლი, გამიხარდი, გამიმრავლდი, გამიძლიერდი. გიყვარ-
 დეს შენი ჯიში, ჯილაგი. შენი ერი. კაცურად ატარე შენი ქართველობა. სულ
 გახსოვდეს, რომ მაგარი, ძლიერი ერის შვილი ხარ, ძირძველი, უკვდავი
 ქვეყნისა ხარ. აალამაზე, ააჩუქურთმე შენი ლამაზი ქვეყანა, იცოდე, რომ
 საქართველო სხვას არა აქვს შენისთანა. ჩემი ბექას და სალომეს სიხარულო,
 გლოცავთ ყველას ჩემს მონაგარს, გაძლიერდით, გამიხარდით, გამიმრავლდით.

ეთერი ბებო, 83 წლის.

ჩემს შვილთაშვილს გიორგის

ნუცუბიძეთა გვარში —

დაბადებულა ბიჭი

დიდი ღიმილით, კაცურ კაცობით,

სიკეთითა და ნიჭით.

ჩემო ღიმილა, ჩემო ვაჟკაცო,

ძირძველთ ფესვებზე ამონაყარო,

მუდამ იყავი ძლიერი, დიდი,

რომ გააოცო მთელი სამყარო.

დალოცვილ იყოს შენთვის ეს ზეცა,

და სალოცავი მინა ქართული,

აავგირისტე, აალამაზე,

მშობელი მხარე — ცამდე ასული.

მუდამ ღიმილი ჰქონდეს სახეზე,

— შენი ღიმილის ჭირიმე ბებო,

ჩემი ერეკლეს, ეთუნასათვის,

მათ სიკეთისთვის რომ იოცნებო.

შენი დიდება გლოცავს და გკოცნის,

ამრავლე გვარი, ახარე გენი,

მუდამ იყავი ლელოს გამტანი,

ნუცუბიძეთა ფეხბედნიერი.

ჩემო პაპა გიორგი

გაიხარე ბები, გამრავლდი ამ ქვეყანაზე სიკეთით, სიყვარულით, კაცურ-კაცობით იყავი მდიდარი. შენი გული სავსე ყოფილიყოს მშობლების, ბებიების, ბაბუების, ნათესაგების სიყვარულით. ბებულიკა გიორგი, შენ ისეთი ჯიშის და ჯილაგისა ხარ, ისეთი ლამაზი ქვეყნის, ერის შვილი ხარ, რომ შენ სხვანაირად არ გაქვს უფლება. ძალიან გიყვარდეს შენი ახლობლები, ჩემო ღიმილის კაცო, ფეხბედნიერი ხარ ნუცუბიძეებისთვის, პატარა დამიკო უკვე კარზეა მომდგარი. გამრავლდით, გაიხარეთ, ჯანმრთელობით და სიკეთით იყავით სავსე ნუცუბიძეებო.

გვოცნით ეთო ბებო.
2023 წ. მაისი

ჩემს შვილთაშვილს ალექსანდრეს

მეორე ბიჭი მოფრინდა
ნუცუბიძეთა გვარში,
ხარობს დიდი და პატარა,
ლხინია გოგის სახლში.

დაუღლდნენ გიო და სანი,
ორი მაგარი ბიჭი.

ღმერთო, ორთავეს მოჰმადლე
ჯანმრთელობა და ნიჭი.

აბა, შენ იცი, სანდრიკო,
ამრავლ-ახარე გვარი.

ხომ იცი, შენი თანმდევი
ძლიერი ფესვი არი.

ერთი უღელი უკვე ხართ,
მეორეს ველით კიდეც;

ამრავლეთ გვარი და ერი,
იხარეთ კიდიო-კიდე.

აბა, თქვენ იცით, ბიჭებო,
გააძლიერეთ ერი!

ამ ლამაზ საქართველოში
იყავით ბედნიერნი.

დიდი ბებია ეთერი.
2023 წ. 8 ავისტო, ფარცხისი.

ჩემო ბებუკებო, გიორგი და ალექსანდრე!
გამრავლდით, გაიხარეთ, გაძლიერდით, კაცურ-კაცობით იყავით
მდიდრები.

სავსე იყოს თქვენი გულეები სიკეთით, ბებიების, ბაბუების, მშობლების,
ნათესაების, სამშობლოს დიდი სიყვარულით.

ბებულიკებო! — თქვენ ისეთი ჯიშისა და ჯილაგის, ისეთი ლამაზი
ქვეყნის, ერის შვილები ხართ, რომ კარგი ვაჟკაცები უნდა იყოთ.

გიყვარდეთ თქვენი ლამაზი საქართველო. იღვანეთ მისთვის. უერთგულეთ
მას და აუცილებლად კეთილ ნაყოფს მიიღებთ.

ჩემო ღიმილის კაცებო, გაიხარეთ, გამრავლდით, გაძლიერდით.

თქვენი დიდი ბებო ეთერი, 83 წლის.
2023 წ. 8 ავისტო, ფარცხისი.

ფარცხისს!

ოდესღაც მეფეთა სავანე ყოფილა,
ფარცხისი წმინდა, სუფთა და კრიალა,
თავზე რომ ახურავს სევანური ქუდივით,
ლურჯი ცა, ვარსკვლავნი, და მთავრე ბრიალა.

გორები, გორები, ტყეები, ტყეები,
მინდვრები, ჭალები, მდინარე ალგეთი,
ხეხილით დატვირთული ბაღები, ბაღჩები,
ქართლში არ მინახავს სოფელი ასეთი.

ფარცხისის გორაზე ათასი ლანდია,
ერთ მათგანს შევარქვი ქართველის გოლიათი,
დღეს თავს რომ დაჰყურებს, ამაგრებს, ამძლავრებს, —
ალგეთის მგლის ლეკვებს, მისი ათინათი.

ფარცხისის ბრძოლებით განთქმული ეს მხარე,
უამთაგან ნგრეული ბევრია ტაძარი,
ბევრია ციხე და ბევრია სამარხი,
საძვალე ქართლელთა, ქართველთა აქ არი.

სწორეთ ისევე აქ დაიზრდებიან,
ალგეთის ლეკვები, ძლიერნი მგლისანი,
ისე არასდროს არ ამოწყდებიან,
ჯავრი რომ არ ჭამონ ვერაგი მტრისანი.

2000 წლის 10 ივლისი, ფარცხისი

მიყვარს მე ფარცხისი სულზე ძლიერად,
მისი მთა-გორებით, მდინარე ალგეთით,
ეს საკვირველი ლამაზი ადგილი,
სხვაგან არ მეგულვის სიკეთე ასეთი.

ნაზად მოჩურჩულე ხეების ფოთლები,
დილის მონაბერი სიცოცხლის ნიავი,
ჩიტების ჭიკჭიკი, კალიების კრული,
ხეზე განაბული შავთვალა ქლიავი.

დახუნძლული ხეები, ხილი ნაირფერი,
გავსილა ეზოები ხვავით და ბარაქით,
მინდვრებზე ზღვასავით ლივლივებს სიმინდი,
პური მოსამკელად ჰა — უკვე მზად არი.

კოდალას კაკუნი, ჩხიკვების ფრთხიალი,
ძაღლების ყეფა და მამლების ყივილი,
გუგულის ძახილი, „კაფე-და თესეო“,
ლამ-ლამით ბუ-ჭოტის უაზრო კივილი.

შუკები გავსილი სიკეთით, დიდებით,
გაისმის ყვირილი, სიცილი, ხარხარი,
საამოთ შერწყმულა ირგვლივ ყოველივე,
სიცოცხლის სათავე მგონია აქ არი!

ურმების ჭრიალი, მწყემსის შეძახილი,
ჩაგვესმის დილას და საღამოს ყურებში,
ისეთი კარგია ყოველდღე ფარცხისი,
გინდა, რომ ჩაისვა მთლიანად უბეში.

თითქოს მაგნიტივით მენევა რაღაცა,
მახარებს, მაღაღებს, სიკეთე ამ მხარის,
პატარა ოაზისი შევარქვი ამ ადგილს,
სიმშვიდე, სინყნარე, სიცოცხლეც აქ არის.

მიყვარს მე ფარცხისი სულზე ძლიერი,
მისი მთა-გორებით, ჭალებით, ალგეთით,
მართლაც საკვირველი, სუფთა და კრიალა,
არსად არ მეგულვის ადგილი ასეთი.

2007 წლის 9 აგვისტო, ფარცხისი



მერაბს და ზვიადს

„მაგრამ ხომ დავრჩით ჩვენ ორნი ერთად
მერთალნი რაინდნი, მწუხარე სახის“

ზვიადის მერაბისადმი მიძღვნილი ლექსიდან.

დარჩით და მარად იქნებით ჩვენთან,
იხარებთ ხალხის გულეებში მუდამ,
საქართველოში რომ დარჩეს ერთი,
ერთი ქართველი რომ დარჩეს თუნდაც.

ვილოცებთ თქვენთვის და ჩვენს გულეებში,
მარად ცოცხალნი იქნებით ზვიად!
ამაღლებულნი ვიქნებით მარად,
ვისაც უდრეკნი ქართველნი გვქვია.

„ზვიადაურნი“ ბევრნი ვართ ბევრნი!
ვერ დაგვამარცხებს მტერი ვერაგი,
ნაღდი გულით და სუფთა ხელებით,
ისეთნი, როგორც შენ და მერაბი.

დავრჩით მართალნი, გაუტყეხელნი,
ჩვენ თქვენთანნი, ქართველნი, ნაღდნი,
თქვენგან ვისწავლეთ ჩვენ სიყვარული,
საქართველოზე ფიქრი და დარდი.

შეგისისხლბორცეთ და შეგიყვარეთ,
„მიქელანჯელოს კუმტნო დავითნო“,
აღარ ჩაქრება სული ქართული,
თქვენის მოსვლით რომ ისევ აინთო.

ვერ ჩააქრობენ, ველარ მოკლავენ,
სატანის მოდგმა ვერ გაიხარებს,
აღარ ჩაკვდება ქართული გენი,
საქმენი თქვენი მუდამ ივარდებს.

არ დავიჩოქებთ ნაღდნი, მართალნი,
არ დავუდგებთ ჩვენ მკვლელებს გვერდით,
თუნდა გვხოცონ, გვტანჯონ, სულში გვაფურთხონ,
დილეგში გვყარონ რკინის ხუნდებით.

არ დავიჩოქებთ, მუდამ წინ ვივლით,
ხომ გაგვიკვლიეთ უვალი გზები,
ფიცის ქართულით, ჩვენ რომ შეგფიცეთ,
თქვენი ერთგულნი მუდამ ვიქნებით.

თქვენი ხატება თანა გვდევს ყველას,
თქვენი სახელის ერთგულნი ვრჩებით,
თქვენზე ვილოცებთ, თქვენით ვიხარებთ,
მჯერა იმძლავრებს ქართული გენი.

გოდება

არსით სინათლე, აღარც იმედი,
მშობელი შობილს ცოცხლად დასტირის,
ბუკიოტებმა დაიპყრეს ზეცა,
მინაზე ტურა, მელა გაჰკვივის.

ყველა სარკმელი ამოიგმანა,
დაბნელდა მზე და დაბნელდა მთავრე,
შავი სუდარა ჩაიცვა ზეცამ,
გარინდებულა როგორც სამარე.

ჩაკვდა ყოველი, რაც იყო წმინდა,
საქართველოში ზეობს სატანა,
მოგვიკლეს კაცი ვინაც იცოდა,
მტერთან ბრძოლა და ლელოს გატანა.

მოგვიკლეს ქართველს ქართული გული,
მოკლეს ქართველი, ნალდი ვაჟკაცი,
საქართველოს კი ყიდის და სჯიჯგნის,
სატანის მოდგმა, ეს არაკაცი!

აღსდექ ზვიადო! ველით აღდგომას,
მოსპე სატანა, აგვინთე შუქი,
და შენს ქართველებს კვლავ დაგვანახე,
ხასხასა მდელი და ზეცა ლურჯი.

ნინ გაგვიძეხი როგორც ყოველთვის,
მოგყვებით ერი, უებრო ქართველს,
მხოლოდ შენ, ზვიად! სენი სახელი,
შენი სიმართლე თუ გადაგვარჩენს.

შენ ეგიძლია აგვიყოლიო,
მხოლოდ შენ ძალგის წინამძღოლობა,
ნაღდო ქართველო, ტანჯულო გმირო,
მუდამ დაგლოცავს შთამომავლობა.

მუდამ ენთები წმინდა კელაპტრად,
ნალდი ქართველის გულში ზვიადი,
სუფთა ქართველო, უზადო კაცო,
სიმართლის მთქმელო, გმირო დიადო.

**ზვიადი... ეს ისეთი შუქურაა, რომლის ჩაქრობა
არ შეუძლიათ ბნელეთის მოციქულებს. 1.03.1994 წ.**

ეს ლექსი დაენერე მაშინ, როცა ერთი ჩემი ახლობელი ადამიანი მოვიდა ჩემთან ჯიხურში და შემომტირა: რომ ზვიადი ნამდვილად მოკლეს, რომ საქართველოს მოუკლეს კაცი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შეაღია ერის კეთილდღეობას. მის თავისუფლებას. ზვარაკად შემოგვეწირა ჩვენ. ჩვენ კი რითი გადაუხადეთ მას, ტყვეით... ილიას ტყვეით, ქართველის ხელით მოკლეს ეს ბუმბერაზი კაცი, მოვლუნა ერისთვის, მისი სიკეთისათვის თავდადებული. არ აპატივს ზვიადს საქართველოს სიყვარული. მას ხომ ჩვენზე უფრო სხვანაირად უყვარდა საქართველო. ის სხვა იყო. ღმერთის რჩეული ზე კაცი.

ქრისტეშობა

აღბათ თვითონ ღმერთი ირჩევს — უცნაური რამეა,
ქრისტეშობა თითქმის მუდამ უცნაური ლამეა.

დეკემბერი დააჭენებს, ყინვით ნახატ ეტლებსა,
ამ ღამით ხომ წამებული, ქრისტე იშვა ბეთლემსა.

მერე ზეცად აღევლინე, არ გიგუეს მიწაზე,
ნუთუ აღარ დაბრუნდები, ცოდვილ დედამიწაზე.

ზეცად წასულს უკან მოგყვა ლოცვა-ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩა და იუდა რამდენი.

აღბად, მისთვის გაიფდა ლალატი და გაცემა,
ფეხზე დგომა არის ძნელი, ადვილია — დაცემა!

მეც დავრწმუნდი არ გამქრალა, ქვეყნად შური და მტრობა,
მეც მომიწევს ლეონარდოს საიდუმლო სერობა.

და წარსული სიზმრად მექცა, მომავალი ოცნებად,
მეგობარი ველარ მიცნობს, მნახავს და გაცდებდა.

ქრისტეშობას, სხვა ჩემს გარდა, სევდას ვინ დაიბუდებს,
ძველი წელი ხსოვნას მართმევს, ახალი კი იმედებს.

ქრისტე — აღსდგა! ქრისტე აღსდგა, ჩემი სული ცას უხმობს,
ჭეშმარიტად! — კვლავ იუდა ნიშნის გებით მპასუხობს.

თუმცა შუბლზე სამარცხვინო მინდა დაღი დავაკრა,
ჯვარს ვერ ვკადრებ, ქრისტეს მერე ზედ იუდა გავაკრა.

შერცხვენილი, ნაწყმედილი, ეგდოს ქვეყნად, ეთრიოს,
ხოლო შენზე მრავალ მლოცველს, კვალავაც ღამე ეთიოს.

ნინსენა ძნელად გადარჩება, ხატი უფრო ადვილად,
ქრისტე აღსდგა — ჭეშმარიტად, ქრისტე აღსდგა ნამდვილად.

ღიმილი და მილოცვები თუმცა ბევრი გავეცით,
ქრისტე აღსდგა — ჭეშმარიტად, ხოლო ჩვენ კი დავეცით.

ზვიად გამსახურდია
1992 წლის 7 იანვარი. იჯევანი.

ერისთვის თავდადებულო,
ერისთვის განამებულო,
კაცო, მაღალო, ზვიადო,
ცათამდის ამალღებულო.

ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა,
ბიბლიის ნიგნზე დებული,
ზენამ გვიმრავლოს ქართველი,
შენსავით თავდადებული.

ბევრი გვყოლია ქართველებს,
კაცნი ერისა ერთგულნი,
თორნიკე, ცოტნე, გიორგი,
დემეტრე თავდადებული.

გვყოლია მღვდელი თევდორეც,
გვყოლია ყორღანაშვილიც,
შადიმანებიც გვყოლია,
ჯანსუღებრ უღვაშაშლილნი.

გვყოლია ამირეჯიბი,
გვყოლია კოტეტიშვილი,
მადლობა უფალს ხომა გვყავს,
ზვიადური ღმრთისშვილი.

ღმერთმა გვაჩუქა ქართველი,
სულით-ხორცამდე ვაჟკაცი,
ყველასგან გამორჩეული,
სულსხვანაირი, — სხვა კაცი.

— გამოგვადვიძე, აგვინთე,
მძინარე გენი ქართული,
ივარდ-მოფენილი გზას,
შენ ამჯობინე ხელრთული.

ერის გულისთვის ენამე,
ჯვარს გაცვეს, გლანძღეს, გაგინეს,
გჯეროდეს ქართველი ერი,
ძეგლს თავის გულში აგიგებს.

ვერ ჩააქრობენ იმ სანთელს,
რომელიც გულში აგვინთე,
ვეღარ ჩაკლავენ ქართველში,
იმ იმედს, შენ რომ გვადირსე.

ვერ დააჩოქებს ნაღდ ქართველს,
ედიკა — თეთრი მელია,
დაიჩოქებენ ლაჩარნი,
ვინც უვანიახებრ გველია.
ღმერთო, გვანახე ზვიადი,
სულ მალე საქართველოში,
ერის რჩეული ვაჟკაცი,
მუდამ გამტანი ლელოსი.
არ გაგვიცრუო იმედი,
მოგელის ერი ზვიადო,
საქართველომ და ქართველმა,
შენან ერთად რომ ივარდოს!

1991 წლის 14 იანვარი

მე. როგორც ერთ რიგით მოკვდავ ადამიანს — სულით ხორცამდე ქართველს მემამყება ჩემი ძირძველი ქართველთა შთამომავლობა. ამაყი ვარ მირიანით, ფარნავაზით, ვახტანგით, დავითით, გიორგი-ლაშათი, თამარით, ერეკლეთი, ილიათი, ზვიადით, მერაბით, რა თქმა უნდა ბევრი სხვათა და სხვათა...

ქართველ ერს

ოდითგანვე ასე იყო,
მთის არწივნი არწივობდნენ,
ვაჟკაცები ვაჟკაცობდნენ,
მგლის მუხლებით დადიოდნენ.
საქართველოს ისტორიამ
ასე გაგვაცნობიერა,
ქართველ ერის დაჩოქებას,
ვერ მოესწრო მტერი ვერა!
ახლა რაღა გვემართება,
დახლეჩილა საქართველო,
ნუთუ მასონთ უნდა დარჩეთ,
ეს ლამაზი მთა და მდელო?!

არა! არა! არ ჩაქრება,
სანთელი — აღმოდებული,
არ იქნება საქართველო,
მტრებისაგან აკლებული.

ვივაჟუკაცებო, ვიკარგქალებო,
არ ჩავიხრით მუხლებს არა!
სხვის იმედით არ ვიცხოვრებთ,
მგლის ნაბიჯით ვივლით მარად.

უვალმა გზა გაგვიკვალა,
დაგვანახა დღის ნათელი,
თავს დაადნა საქართველოს,
ვით თაფლის წმინდა სანთელი.

მაშ, მივდიოთ მის ნაკვალევს,
არ შევწყვიტოთ მასზე ფიქრი,
თორემ ხედავთ? — საქართველოს —
გარს ეხვევა მავნე ფითრი.

ზვიადის გზა ქრისტეს გზაა,
უნდა მივყვეთ მის ნაკვალევს,
ის ზვარაკად შეგვეწიროს,
და გვავალებს ყველა ქართველს.

დანხო და ძმანხო, მამულიშვილები, —
არ დააჩოქოთ ქართველნი, არა!
ქრისტეს მოთმენით იარეთ მუდამ,
თან მოირჩინეთ ნყლეული, იარა.

ჩვენთან არს ღმერთი, არის სიმართლე,
არის ქართველი — მუდამ იქნება,
იწვის სანთელი და იკაშკაშებს,
არსთა გამრიგემ ასე ინება.

ასე გვმოძღვრავს ის ზეკაცი,
ასე გვლოცავს მისი სული,
სამშობლოსთვის სამსხვერპლოზე,
მოვიტანოთ ყველამ გული.

დროა ერთად დაედგეთ ყველა,
ერი, ბერი, კაცი, ქალი,
ყველამ ერთად მოვიპოვოთ,
სამშობლოსთვის სამართალი.

21.06.1999 წ.

იხედი!

ცოცხალია პრეზიდენტი,
ის მუდამ იქნება ჩვენთან,
ერისშვილი, ერის კაცი,
მართალია მაღალ ღმერთთან!

საქართველოს სიყვარული,
აღარ აპატიეთ ზვიადს...
ვინც სატანად მოგვევლინა,
ვისაც თეთრი მელა ჰქვია.

ერმა იცის ვინ ვინ არი,
ვინ სატანა, ვინ ღმერთკაცი,
ამდენ სულში ჩაფურთხებას,
სიკვდილი სჯობს ასჯერ ასწილ.
გაყიდულო პრეზიდენტო,
გაყიდულო საქართველოვ,
ტირის ერი, გლოვობს ზეცა,
ცრემლად იქცა მთა და მდელო.

ერის კაცი, ერის შვილი,
ენირება ერის საქმეს,
დრო მოვა და ისევ ერი,
ერი იტყვის თავის სათქმელს!
ერის რისხვა დაატყდება,
სატანას და მოდგმას მისთა,
საქართველოს გამყიდველებს,
არ ასცდება ხალხის რისხვა.

ზვიად! შენი სიყვარულით,
ბრდღვინავს, გმინავს საქართველო,
გულში იღრჩობს ცრემლს და ბოღმას,
ტყე და ველი, მთა და მდელო.

ლეგენდა თუ სინამდვილე,
გორავს, ბრუნავს ხალხის გულში,
სატანამ და ერის მკვლელმა,
ჩაადუჟა ქართველის სულში.

სატანის და გველის მოდგმა,
ბოზოქრობს და ანთხვეს გესლსა,
მაგრამ ვერასოდროს ვერ მოსპობს,
გამსახურდიების გენსა.

გენი მოდის ჯიშიანი,
ლამაზი და მშვენიერი,
მჯერა, მნამს, ასეც იქნება,
მათით იამაყებს ერი.

არ ჩაკვდება ჯიში კარგი,
იამაყებს საქართველო,
გაიხარებს ზვიადიც და
მშობლიური მთა და მდელი.

კოკო, ცოტნე და გიორგი!
სულ პატარა ზვიადიკო!
გააგრძელეთ მამის კვალი,
რომ ზვიადი მუდამ იყოს!

მჯერა, მუდამ რომ იქნება,
საქართველო და ზვიადი,
მოდის გენი ქართული და
რწმენა დიდი განთიადის!..

1994 წლის 15 იანვარი

ძლიერ ბერმუხას ფესვებზე,
ამოყრილია ყლორტები,
და იზრდებიან... მოდიან!..
ზვიადაურის ბოკვრები!

მჯერა!

მჯერა სიმართლის, მჯერა სინათლის,
მჯერა ერისთვის ტანჯულ ზვიადის,
მჯერა ქართველთა მფარველ ღვთისმშობლის,
მჯერა მზისა და მზე განთიადის.

ვიცი, ივარდებს ვარდი ჩემთვისაც,
ვიცი, რომ მოვა მალე ზვიადი,
ვიცი, ნაკვალევს მისას მოჰყვება,
დროშა ქართული, ლალი, დიადი.

არ — ჩაიგება ხმალი ქარქაშში,

არ — დაიჩოქებს ნაღდი ქართველი,

არ — დამთავრდება იავნანა და...

არ — გადახმება ჩემი მთა-ველი.

მუდამ იქნება ჩემთვის ქართველი.

ზვიადისებრი — ამაყი, ნმინდა,

მე საქართველო მინდა ქართული,

არ დაჩოქილი, ძლიერი მინდა.

ვერ მოერევა სატანა ზვიადს,

მას საქართველო იცავს მართალი,

მჯერა! სატანა რომ დამარცხდება,

მჯერა! აღსდგება კვლავ სამართალი.

გულითა მჯერა ვერ დამარცხდება,

ზვიადის ერი, ერი დიადი,

მჯერა თბილისში შემოაბიჯებს,

დიდი ზვიადი და განთიადი!!!

ღმერთო ამისდინე ეს ოცნება!

20.01.1994 წ.

სახელი ქართული, სული ხომ ქართული,
 უებრო ვაჟკაცი, მალალი დიადი,
 ერის საფიცარი, ერის მაჯისცემა,
 ერის სიამაყე... ჩვენი ზვიადი!

მე მემამაყება ჩემი ქართველობა,
 მე ძლიერი ვარ, შენ რომ ხარ ზვიადი,
 მიყვარს რასაც ჰქვია ქართული სახელი,
 მიყვარს ჩემი ცა და ჩემი განთიადი!

მომსწრე ვარ მე ძლიერ ბინძურ ისტორიის,
 არასდროს გვყოლია ამდენი სატანა,
 ვამაყობ წარსულით, მრცხვენია ანმყოსი,
 ჩემს გულს აღარ ძალუძს ან მეტის ატანა.

მე მინდა რომ დავრჩე სულით ქართველად,
 მე მსურს საქართველო ნამდვილი ქართული,
 მიყვარს ქართველის დედა ამაყი, ძლიერი!..
 თბილისის რომ დაჰყურებს, ზეცას აღმართული.

მინდა ფარნავაზი, მინდა ვახტანგ მეფე,
 მინდა დავითი და მინდა თამარ-ქალი,
 მინდა, რომ დაბრუნდეს ნამდვილი ქართველი,
 მინდა, რომ აღზევდეს კვალავაც სამართალი.

თუ ეს არ იქნება მოკვდება გული და...
 ჩაკვდება ყოველი, ქართული რაც არი,
 დარჩებათ მასონებს საჯიჯგნად, საოხრად,
 სისხლი ქართული და ქართული მთა-ბარი.

მოკვდება ქართული ლილე და შავლეგო,
 მტრები წარგვიყვნიან სიონს, ნიკორწმინდას,
 თუ არ გამოვფხიზლდით, თუ არ ავლსდექით და
 თუ არ დავიბრუნეთ ისევ სული წმინდა.

მინდა მკვდრეთით აღსდგეს კვალავაც საქართველო,
 მინდა დაუბრუნდეს ყველა თავის კერას,
 მიწაზე გართხმულნი, ფურთხილოკიები,
 ვერას დააკლებენ დიდ ზვიადს... ვერას!!!

ამაყნი ქართველნი კვლავ მოლოდიონში ვართ,
 არასდროს გაცვდება სახელი ზვიადი!
 მჯერა გაიმარჯვებს სიმართლე, სინმინდე,
 მჯერა სინათლის და დიდი განთიადის!

30.01.1994 წ.

2 თებერვალი

2 თებერვალი... ქართველთა დაცემა,
 2 თებერვალი... სირცხვილი დიდი,
 ქართული ჯიშის, ქართული გენის,
 „ქართველის“ მიერ დაღვრილი სისხლი.
 რა ბოროტება, რა სიძულვილი,
 რა გამეტებით სროლა-ყიჟინა,
 „ქართველმა“ მოკლა, ისევ ქართველი,
 სატანის ტყვიამ გაისისინა...

და გაიარა ქართველის გული,
 ნაგვექცა ბიჭი მედროშე ჩვენი,
 ქართული დროშა გათელეს ფეხით,
 ფეხით გაგვეთელეს ქართველი ერი.
 ტყვიას ესროდა ქართველს — „ქართველი“,
 და კლავდა მართალს ბოროტი სული,
 დროშა ქართული სისხლით დასველდა,
 ქუჩა კი დარჩა სისხლით მორწყული.

დარჩნენ ასფალტზე სულით მართალნი,
 ერის ნამდვილი ნაღდი შვილები,
 შეწირულები ღმერთს და სიმართლეს,
 ჩვენი ბიჭები, ჩვენი გმირები.

შიშველ ხელებით ებრძოდნენ ბოროტს,
 სანთლად აანთეს სული ქართული,
 მაგრამ სატანამ ტყვიით განგმირა,
 მათი ოცნება და მათი გული.

თქვენ გმირები ხართ, შეწირულები,
 მუდამ აგინთებთ ჩვენ წმინდა სანთლებს,
 გფიცავთ! თქვენსავით შევეწირებით,
 ჩვენს ვაჟკაც ზვიადს, მის ქართულ საქმეს.

ზვიადის საქმეს, მერაბის სათქმელს,
 კვლავ გავაკეთებთ, კვლავ ვიტყვით სიტყვას,
 კვლავ გავგიძღვება წინ ზვიადი და...

კვლავ დავატეხავთ სატანას რისხვას!!!

გვწამს ზვიადის და მისი ოცნების,
 გვწამს გაიმარჯვებს სიმართლე ქვეყანდ,
 დროა ქართველნო კვლავ დავირაზმოთ,
 „ზვიადაურნო“ — კვლავ დავდგეთ ერთად!

დავდგეთ ძლიერად, ამაყად, წმინდად,
სულ ოდნავ მაინც ვემსგავსოთ ზვიადს,
„ზვიადისტებო“ — სიმართლისტებო!
ხედავთ?!.. რა დიდი სახელი გვქვია.

ვიყოთ ზვიდნი, ვიყოთ ამაყნი,
არ მოვიყაროთ მუხლი რასდროს,
„ზვიადაურნო“!.. მედგრად იყავით,
მერაბის სულიც სწორედ ამას გვთხოვს.
„ზვიადისტებო“! — თავები მაღლა,
ვერ მოგვერევა ბოროტი მტერი,
გვიყვარს სამშობლო, თავისუფლება,
ღმერთის წყალობით ბევრნი ვართ, ბევრნი.

ბევრი ვართ, მჯერა ავაფრიალებთ,
დროშას სიმართლის, დროშას შინდისფერს,
მჯერა, სულ მალე მოვევლინება...

უდრეკი კაცი, თავის დაღლილ ერს.
ფეხზე დავდგებით ერი და ბერი,
მასთან ვიმდერებთ ყველა შავლეგოს,
მჯერა, ზვიადი გაამთლიანებს,
დაშლილ ქართველ ერს და საქართველოს.

2.02.1994 წ.

სულში ჩაფურთხებულო და
გათელილო საქართველოვ,
მოღალატე ქართველებით, —
გადამწვარო მთა და მდელოვ.

ის რაც მტერმა ვერ დაგაკლო,
ვერ გაგტეხა, ვერ დაგამხო,
შენს მინაზე ფეხადგმულმა,
საკუთარ სისხლში ჩაგახრჩო.

გადაგბუგა თბილისო და
დასავლეთო მოგაოხრათ,
საცოდავო სამაჩაბლოვ.

მესმის... მესმის შენი ოხვრა!

მომდურავო აჭარავ და —
გაყიდულო აფხაზეთო,
დაკარგულო მინა-წყალო, —
ქართველისთვის ერთად-ერთო.

შაოსანო დედებო და —

უსიმღერო საქართველო, —

არ გერჩია?!.. იმ ქართველის —

იმ ქართველის გზით რომ გველო?

ახლა?!.. ახლა გვიანია,
ფრჩხილდაცლილი თითზე კბენა,
სიმართლისთვის, სინათლისთვის,
ამოგაძვრეს ძირში ენა.

ანი, მაინც გამოფხიზლდი,

ამოუძვრე ორგულს ხმალი,

მარტო ღმერთი ვერ გიშველის,

და ვერც მისი სამართალი.

ჩქარა!.. თორემ დაგვიანდა,

დაგვიჩლუნგდა ხმალი, ენა,

სიმართლისკენ, ზვიადისკენ,

ყველა ერთად, ერთად ყველა!

28.01.1994 წ.

„იმელის“ შენობასთან რომ დაუჩოქეს
შევარდნაძეს სარიშვილის მეთაურობით

მუხლმოდრეკილნო!.. მოლალატენო!..
გამყიდველებო ერის და ჯიშის,
მუხლზე დაეცით?!.. არაქართველნო!..
ვისთვის და რისთვის, რისთვის და ვისთვის?!
მულხმოდრეკილნო... ვერ გაიხარებთ,
სიკვდილი გაზით ყვეალს ბეჭებზე,
რა პასუხს აძლევთ, რას იტყვით ნეტა,
გაყიდულ, ჯვარცმულ ქართველ ბიჭებზე.

ვის შეანირეთ, რისთვის დახოცეთ,
ჯიში ქართული, ალაღმართალნი,
ვითომ გმრიები... ვისი შვილები?!..
ნუთუ აღარ არს ან სამართალი?!

სატანა გიზით ყველას სულეებში,
ყველას ნაფურთხი სამარე გელით,
გამყიდველებო, სისხლისმსმელებო,
ქართული ჯიშის, ქართული გენის.

არ გაიხაროს თქვენმა სისხლხორცმა,
ღმერთმა დაგწყევლოთ, იყავით კრულნი,
სულ ყველას გწყევლით ქართველი დედა,
ვინაც სატანას მიჰყიდეთ სული.

ჩვენ მაინც გვჯერა, გვჯერა სიმართლის,
გვჯერა აღსდგება კვლავ სამართალი,
და საქართველოს დაუბრუნდება,
კაცი — უდრეკი — კაცი მართალი!!!

28. 01. 1994 წ.



სიცოცხლე და სილამაზე,
სიყვარულის ტყუპისცალი,
დადის ერთად ქვეყანაზე,
როგორც ჩვენი ორი თვალი.

სიხარულიც, მათთან არი,
ვით მდინარის შენაკადი,
საამო საყურებლად,
განსაცდელად ერთობ კარგი.

სულო ჩემო ამოსუნთქვავ,
გულო სავსე სიხარულით,
ივარდე და იმაისე,
აყვავილდი სიყვარულით.

სანთლად გენთოს სილამაზე,
სიყვარული გზად და ხიდად,
შეგძლებოდეს, შეგძლებოდეს,
დიდი გრძნობის ტვირთის ზიდვა.

გულო ჩემო შეგძლებოდეს,
სავსე იყო სიყვარულით,
სულო ჩემო არ გეცხოვროს,
ცრემლითა და სინანულით.

გაუმარჯოს სილამაზეს,
სიკეთეს და სიხარულს,
გაუმარჯოს უბერებელ,
მარადიულ სიყვარულს.

17. 03. 1996 წ.

„წვეთი სისხლი არ არის
ჩემი არაქართული“,
წმინდა ნინოს ვაზის რტოა,
ჯვარში გადასახული.

წმინდა მარიამი და
წმინდა ნინო გვფარავენ,
ჩვენი მტრები, ორგულნი,
ბოლმას ველარ მალავენ.

კვლავ აღსდგება ქართული,
სული, გული, გონება,
არ მგონია ქართველი,
ვინმეს დაემონება!

გაცოცხლდება ყოველი,
თუ რამეა ჩამკედარი,
დედოზარი შემოკრავს,
აშენდება საყდარი,
დამშვენდება თბილისი,
გული საქართველოში,
მინდა გმირი გამოჩნდეს —
კვლავ გამტანი ლელოსი.

მინდა ისევ ისოდეს,
ლილეო და ცანგალა,
დაცემულა მართალი
მაგრამ ისევ აღმსდგარა!

ხო და ისევ აღსდგება,
საქართველო მთლიანი,
მწამს რომ ღმერთი დაგვიცავს,
ღმერთი — ის მაღლიანი.

მე მინდა, რომ მოვესწრო,
ერთიან საქართველოს,
აფხაზეთს, სამაჩაბლოს,
გურიას, სამეგრელოს!
რაჭას, სვანეთს, იმერეთს,
კახეთს, ქართლს და აჭარას,
მესხეთსა და ჯავახეთს,
მოვესწრები, აბა, რა!

„წვეთი სისხლი არ არის
ჩემში არაქართული“ —
წმინდა ნინოს ვაზის რტოა
ჯვარში ამოქარგული.

6. 10. 1997 წ.

შენი მართალი სიტვის ჭირიმე,
არ გაახარო მტერი ბოლომდე,
მუდამ შენ სიტყვას ძალა ჰქონდეს,
საქართველოდან — საქართველომდე.
მტერს არ ეძინა, მომენტს ეძებდა,
ჩაეხშო შენი სიტყვა მართალი,
გაგწირეს, როგორც დიდი ზვიადი,
სადღა ვეძებოთ ან სამართალი!

ენა, მამული, სარწმუნოება,
ნაგვართვეს გურამ, ვაი ქართველმა,
აღარ გვაქვს რწმენა, აღარც იმედი,
ნუთუ გაგვწირა მალაღმა ღმერთმა?!
იქნებ კვლავ აღვდგეთ, გამოვიღვიძოთ,
კმარა ამდენი მსხვერპლის შეწირვა,
დიდი ზვიადი დაგვყურებს მაღლით,
შენი ძახილიც ზეციდან გვესმის.

აღსდექით ერო, გამოიღვიძეთ,
სალათას ძილის რალა დრო არის,
წინ ზვიადისთვის, ილიასათვის,
მოწოდებაა ქართველი ერის.

ხოდა, კვლავ აღვდგეთ, გამოვიღვიძოთ,
დავიცვათ მთა და ლამაზი მდელო,
ვაკეთოთ მხოლოდ ქართული საქმე,
გადავარჩინოთ ჩვენ საქართველო!

1999 წელი, როცა მოკლეს დიდი ქართველი გურამ შარაძე.

სალვადორი — ხუანი



ჩემი ბაზარში მდგომი ქალები
ასე ერთობიან დღის განმავლობაში.

ატყდა ბაზარში გადაძახილი,
სალვადორიო, გუშინ ხომ ნახეთ,
...მე, ვენაცვალე იმ სიმაღლეში,
რა ჰქნა, რომელ ქალს დაუგო მახე?!
ნატო იძახის ღამეებს ვათევ...

ხუანზე ფიქრით, ვოცნებობ მასზე,
აღარ მაქვს ძილი და მოსვენება,
მინდა ვიხილო ასჯერ-ათასჯერ!

ბებო, ბაზრიდან გარბის სალამოს,
მას აღარ ახსოვს აღარაფერი,
ჭირს წაუღია ჩემი მწვანილი,
ოლონდ ხუანი ვნახო ჯანმრთელი.

მადონას ტანჯავს ჩვენი თელასი,
შუქი არ იყო წუხელ ღამითო —
ხალხნო მითხარით... გამაგებინეთ...
ხუანი რომელ ქალთან არისო.

კუკლას, თამრიკოს, ჟუჟუნას, გულოს,
თქვენი ხუანი ფეხზე ჰკიდია,
ოლონდ გაყიდონ ყველი, მწვანილი,
სხვას აღარაფერს აღარ ჩივიან.

დულს და გადმოდულს ჩვენი ბაზარი,
ყველას დარდი აქვს თავისებური,
თუ ვერ ივაჭრეს კარგად და ბლომად,
ვის ახსოვს ხუან — ის უბედური.

ჰაე, ამრიგად, გარბის დღეები,
ყველა ოცნებობს ჩვენთან ბაზარში,
ზოგიც, ხუანზე, ზოგიც კლიენტზე,
ვაჭრობაც შედის, ძლიერ აზარტში.

ღმერთმა დაგლოცოთ და დაგიფაროთ,
გქონდეთ სუყველას ბარაქა, ხვაევი,
იოხუნჯეთ და იმხიარულეთ,
სხვა უკეთესი აბა, რა არი!

აგსრულებოდეთ ყველა ოცნება,
ოჯახზე, ხვაეზე და ბარაქაზე,
კარგ ხასიათზე მუდამ იყავით,
არ იჭორაოთ არასდროს სხვაზე.

2007 წლის 16 ივნისი

ჩემო ლამაზო ქვეყანავ,
ჩემო ზურმუხტო მთავარო,
ღვთისმშობელის ნაკურთხი ხარ,
თვით სამოთხის შესადარო.

საფიცარო, საოცნებო,
საქართველოს მზე და მთვარევე,
დახუნძლულო ხვავ-ბარაქით,
კახეთის და რაჭის მხარევე.

რაჭა ჩემი სიყვარულის,
სიყმანწილის აკვანით,
ყველა კუთხეს მირჩევნია,
სუყველაზე მაღალია.

მაღალია, მართალია,
განთქმულია სილამაზით,
სიკეთით და მასპინძლობით,
ვაჟკაცების სიმამაცით.

ეს კახეთი ხვავიანი,
მდიდარი, ბარაქიანი,
ჩურჩხელით და რქანითელი,
განთქმულილი ხელხვავიანი.

ქართლის ვაშლი,
მსხალ, ატამი,
კაცი გულთან
მისატანი.

აჭარა ხომ ნულარ იტყვით,
ციტრუსებით ყვითლად ყვავის,
შავი ზღვა და ფორთოხალი,
მანდარინიც უხვად არის.

საოცნებო, საფიცარო,
დაკარგულო აფხაზეთო,
სული ტირის, გული ტირის,
ქართველისთვის ერთად-ერთო.

გურია და გურულები,
გრიანებენ, შრიანებენ,
შეჰხარიან შევარდნაძეს,
ხან ტირიან, ხან გალობენ.

მეგრელები?!.. სამეგრელო,
გზააბნეულ ჭუკებს გვანან,
არ იციან მათია თუ...

აფხაზების ეს ქვეყანა.

მიანგრიეს, მოანგრიეს,
იავარქმნეს კოხტა მხარე,
ლანჩავებმა, გულუებმა,
გაუთხარეს მათ სამარე.

ბევრი მოკლეს თანამოძმე,
ჩააშავეს კოლხი ქალი,
არ იციან სად ეძებონ,
ვის მოსთხოვონ სამართალი.

აბნეული, დაბნეული,
ასეთია ჩემი მხარე,
იქნებ, ღმერთმა გადმოგვხედოს,
ღმერთო კიდევ გაგვახარე.

მოავლინე სამართალი,
ააყვავე ეს ქვეყანა,
საქართველო და სამშობლო,
სხვას ვისა აქვს ჩემისთანა.

1985 წლის 9 აგვისტო



სულითა და გულით გილოცავთ ახალ 1998 წელს. დაე, ეს წელი და სხვა მრავალი ყოფილიყოს ჩემი საყვარელი, „ყველაზე სწრაფი“ რაჭველებისათვის, საქართველოს ყოველი კუთხისათვის, სიკეთის, სიხარულის, სიყვარულის, ხვავისა და ბარაქის მომტანი.

გილოცავთ და გკოცნით ეთერი რეხვიამვილის დიდი ოჯახი.

რამოდენა სიხარული, რამდენი გაბრწყინებული სიყვარულით სავსე თვალები იყო იმ ბენდიერ, მშვენიერ, დაუვინყარ დღეს დარბაზში. მადლობებით, ხვევნა-კოცნით ავავსეთ 300 ქალმა ამ ლამაზი დღისთვის გაზეთ „რაეო“-ს თავკაცი ბონდო გაგნიძე. მისი თანამშრომლები, რაჭის და რაჭველების დიდი ქომაგი ამირან ჩიკვილაძე. ყველანი ისინი ვისაც მონდომება და სურვილი იყო თავი მოეყარა ამდენ რაჭველ ქალს ერთად და გაეხსენებიათ ის რაჭული, ძირძველი ტრადიცია, რასაც ოჩხარი ჰქვია. დაირა და გარმონი, „რაეო“, „რაშოვდა“, „ქალსა ვისმე“, „ქვედრულა“ „ორპირული“, ფერხული და სხვა. მოკლედ ამის მნახველს და გამგონეს სხეულის ყველა ძარღვი გვიტოკავდა, გაცოცხლდა, გაახლდა, თუ კი რამ მიძინებული, მინავლებული იყო ყოველ ჩვენთაგანში. მოკლეთ ძალიან გვიხაროდა ყველას, თითქმის რაჭის ყველა სოფლის წარმომადგენელი იყო ამ დიდ ზეიმზე, რომლებიც მრალად არიან მიმოზნეული საქართველოს ყველა კუთხეში და ყველგან ამბობენ რაჭულ, ბრძნულ, აუჩქარებელ, მართალ სიტყვას. მადლობა დიდი ამ მონატრებული ტრადიციის გახსენებისათვის. იმ დიდი სიხარულისათვის, „რაეო“-ს თავკაცებს. ყოველ ჩვენთაგანს არასოდეს დაგვავენყდება 2000 წლის 14 მაისი. იმედი დიღია კვლავ და კვლავ გაგვახარებენ ჩვენი „ბიჭუნები“ და „ბოშუნები“ ახალ-ახალი შეხვედრებით, ძველი ტრადიციების გახსენებით, მონყობით. მაგალითად, კარგი იქნება ღამისთევასაც თუ გააკეთებენ ხოლმე, სადაც ახალგაზრდობა შეიკრიბება, მოხდება ერთიმეორის გაცნობა — „დანკერეღა“ — ჩუმ-ჩუმად შეთვლიერება, თხოვა-გათხოვება. მოკლეთ ყველაფერი ის რაც მოსდევდა ამ ღამისთევას.

14. 05. 2000 წ. ოჩხარი

„რაეო“-მ გვამცნო რაჭველებს,
გინვევთ ყველასო ოჩხარში,
მარტოკა „ქალუკეები“,
კაცნი არ გვინდა „ოდრაშნი“.

ოდითგანვე ოჩხარი,
მარტო ყოფილა ქალების,
ღამე რომ იკრიბებოდნენ,
იყო ბრიალი თვალების.

თავს იწონებდნენ ცალ-ცალკე,
ნამზად ნაკეთით თავისი,
ლობიანებით, ბოხჩურით,
ხაჭაპურით თუ ხავინით.

ცეკვა-სიმღერით, ფანდურით,
ოდრო-ჩოდროთი, რაჭულით,
დაირითა და გარმონით,
განთქმული რაჭულ-ბაჭულით.

სუყველამ გული ვიჯერეთ,
სიმღერით მრავალხმიანით,
ორპირულით და ფერხულით,
ტაშ-ფანდურუკას გრიალით.

ჩვენი ბერმუხა ზურიკო,
ქაფიანიძეზე გვარადა,
დაჯუნჯულებდა, ცეკვაგადა,
რაჭულ, დათუკას დარადა.

უხვად აფრქვევდა სიყვარულს,
ალალ-მართალი გულიდან,
ამდენი ქალის მნახველი,
სულ ბუქნავდა და უვლიდა.

სულ გადაგვეკონა სუყველა,
ახალგაზრდა თუ ბებერი,
ჩაგვჩურჩულებდა... ყურებში,
არვინ არისო შენფერი.

ცეკვა-სიმღერით გვატკბობდა,
ჩვენი ლამაზი თამადა,
შუქურა ჰქვია სახელად,
მასხარაშვილი გვარადა.

მანანა არჩუაძისამ
გადაგვირია დარბაზი,
ოჩხარის მშვენიება იყო
ქალი შველივით ლამაზი.

ლამაზმანები ამდენი...

ყველას ჩამოთვლა ძნელია,
შემდეგში ვიტყვი დანარჩენს,
მომავალი ხომ ჩვენია.

კვლავაც შეხვედრის იმედით,
ერთი-მეორეს დავშორდით,
მჯერა მრავალჯერ ვიხარებთ,
„რაეო“-თი და რაშოვდით!

16.05.2000 წ.



ერთი ასეთი უცნაური ამბავის მოწმე გავხდი ამ რამოდენიმე დღის წინ. ჩემი კარგი ნაცნობი და თანამოაზრე მოვიდა ჩემთან და მთხოვა:

— პურის საყიდლად გამოვედი, მაცი გამომედევენა უკან და იქნებ ცოტა ხანს შენ დაიტოვო როგორმეო.

— მე ვუთხარი, დიდი სიამოვნებით, თუკი გაჩერდება-თქო.

— ისეთი ჭკვიანია და ისეთი ამბების მომსწრე, მაგას ვენაცვალე, ბედისწერის ამბავია ყველაფერი, თორემ ჩემი მაცი ვინ იცის ახლა სად ან ვისთან იქნებოდაო. ნახავ, შენც როგორ მოგეწონებაო, შეგიყვარდებაო.

მე ცოტა არ იყოს, დავიბენი, ხან პატარა ბავშვი წარმოვიდგინე, ლაპარაკის ემხში რომ შევიდა, ვიფიქრე, ქმარია ალბათ, სკლეროზი დაემართა ამ უბედურ დროში-მეთქი, შემეცოდა, მოკლედ ამ საუბარში ბევრმა აზრმა გამირბინა თავში, მაგრამ ვცდილობდი შემენარჩუნებინა ჩვეული სიმშვიდე ბოლომდე, თან ერთი სული მქონდა შემეხედა მაცისთვის.

გავიდა ნაცნობი და ფერებ-ფერებით შემოიყვანა გულში ჩახუტებული თეთრი კრავივით გაკრეჭილი შავთავალა — მაცი. გოაცებისაგან პირი დავაღე.

— აი, ეს არის მაცი, რომლის თავზედაც გადაიარა ყველაფერმა იმ უბედურებამ, რაც დეკემბერ-იანვარის დღეებში მოხდა თბილისში, რომლის უშუალო და უნებლიე მონაწილე იყო და არის იმ დროისათვის პატარა ლეკვი, ახლა უკვე დიდი მაცი.

აი, რას მომიყვა ნაცნობი, რომელმაც კიდევ ერთხელ გამახსენა ის ავადმოსაგონარი დღეები და ღამეები, რომლებიც ცვლავ გრძელდება. შხამს შხამი ემატება, ტკივილს ტკივილი, სიკვდილს — სიკვდილი, რომელსაც ბოლო სამ წელიწადში სატანის ზეობასთან ერთად ზეიმობს საქართველოში და ბოლო არ უჩანს.

იმ სამარცხვინო ქართველი ერისთვის დღეებში, როდესაც კანონიერი გზით არჩეულ მთავრობას თავს დაესხა სატანაზე სულმიყიდული, გონებადაბნელებული ხროვა, ავაზაკებისა და კაცის მკვლელების, 26 კომისრების მეტროსთან ვიდექით ჩვენი პრეზიდენტის და საქართველოს გულშემატკივარი ხალხი, ვუყურებდით როგორ იწვოდა და ნაცრდებოდა თბილისი საქართველოს გული, ერის მოღალატე ქართველების მიერ ნასროლი ტყვიამფრქვევებით.

ყოველივე ამ საშინელების და საზიზღრობის შემეყურე ჩვენი პრეზიდენტივით მართალი, ღმერთზე მინდობილი ქართველები ვტიროდით და შეველას



ვთხოვდით მაცხოვარს, ვევედრებოდით უფალს გადაერჩინა საქართველო და მისი პირველი პრეზიდენტი ქართველი ერის სასიქადულო შვილი, ბავშვობიდანვე საქართველოს თავისუფლებისათვის, ქართველი ერის ნათელი მომავლისათვის მებრძოლი ადამიანი. ვილოცებოდით გონზე მოსულიყვნენ სატანასთან წილნაყარი გონებადაბნელებული ადამიანები რომლებიც დიდი მონღოლებით დღითა და ღამით შეუჩრებლივ ანგრევდნენ და წვავდნენ დედა თბილისს, რუსთაველის გამზირს, ქართველისთვის საფიცარს და სალოცავს. საქართველოს მკვლევლები ქვესკნელში ჩაძირვით ემუქრებოდნენ ქართველი კაცის მიერ რუდუნებით, წვითა და ლოცვით დღემდე მოტანილი ისტორიულ ძეგლებს, რომლებიც ახლაც თვალუბდაობრილი და გაჭვარტლული გამოიყურებიან, რისთვის?! იმისთვის, რომ დაემონებინათ ქართველი ერი, გაეძარცვათ ეკლესია-მონასტრები, დასავლეთი და აღმოსავლეთი, მოეკლათ და ჩაეჩეხათ ქართული სული, დაეჩოქებინათ, ფურთხი აელოკათ და ისე ჩაბარებოდნენ რუს ვანიებს, თვითონ კი ეგრიალათ შინ და გარეთ შავი და თეთრი მერსედესებით (შავათ მოახმაროთ ღმერთმა მართალი კაცის თითო „პატარა ქობი“ საზღვარგარეთ გაეიშასქნებინათ შავი დღისთვის, სულ მალე მოუვათ ეს შავი დღე მათ და მათ შთამომავლობას).

უცბად, — ყველა ნათელა, ტყვიების სროლითა და დუბინკების მარჯვე ტრიალით ხალხისაკენ წამოვიდნენ მილიციელები, „მხედრონი“ და ჩვენი „საამაყო“ გვარდიელები, თქვე ქართველებო, ვის იცავდით, ვისთვის და რისთვის ტირიხართ, გიჩვენებთ როგორი ვაჟკაცები ვართო, დაგვიწყეს ცემა, ტყვიის სროლა, წივილი-კივილი, დაჭრილი ადამიანები, ზოგი სასიკვდილოდაც და ვინ იცის რა უბედურება დაატრიალეს მეტროსთან ამ „ვაი ქართველებმა“, ვუყურებდი და ვტიროდი, როგორ გამეტებით ზელავდნენ „ქართველები — ქართველებს“, „ხუნტისტები“ „ზვიადისტებს“, თითქოს ორივე მხარე საქართველოს შვილები არ ყოფილიყვნენ, ვაი, დაქცეული და გაყიდული საქართველო-მეთქი და მეც გამოვიქეცი იმ შიშველხელებიან ქართველებთან ერთად, ვისაც ზვიადისტები — სიმართლისტები გვერქვა.

გამოვექეცი „სატანისმოციქულებს“ და მეტროში რომ შევალნიე ფეხებში ამებლანდა მოწკავენკავე რალაც არსება, დავხედე, სისხლში მოთხვრილი ლეკვი მოათრევდა წელს. ავიყვანე ხელში ვნახე მუცლიდან სისხლდენა, ნანღავები გადმოყრილი, რა ვქნა, ვიფიქრე, დასაგდებად ველარ გავიმეტე, ასე ხელში აყვანილი ამოვედი ზევით მივრბივარ და ვაჩერებ მანქანას, ჩემს დანახვაზე, ალბად, ხალხი იფიქრებდა, ეს ქალი და ლეკვი სისხლში მოთხვრილები რას დარბიან აქეთ-იქით (იმ დღეებში სისხლი არავის აკვირვებდა). მძლოლმა მკითხა: — რა გაგჭირვებიაო. მე ჩავჯექი მანქანაში და ვთხოვე ექიმთან წავეყვანე, იქნებ ეს ლეკვი გადავარჩინო-თქო, თითქოს ამ ლეკვის გადარჩენით სამშობლო გადამირჩებოდა. ასეთი სიმბოლური აზრი ამეკვიატა და

ყველაფერი უნდა მელონა და გადაამერჩინა ეს უსუსური არსება, რომელსაც სიკვდილი შეჟღდომოდა ტანში...

მივიყვანეთ ექიმთან, გაუკეთეს სწრაფი ოპერაცია, მუცლიდან ამოუღეს მტრის მიერ ნასროლი ტყვია და ლეკვმაც მოიხედა. შვებით ამოვისუნთქეთ მეც და მძღოლმაც, რომელიც ძლიერ განიცდიდა ლეკვის ამბავს, გამოვიყვანეთ სახლში. გზაში გაირკვა, რომ ეს ახალგაზრდა „ხუნტის“ მომხრე იყო, მე კი „ზვიადისტი“, მაგრამ, ორივეს მთელი სულითა და გულით გვანუნებდა პატარა მაცის ბედი (ასე დავარქვე გზაშივე ამ ლეკვს). იმ წუთას საქართველო იყო გამთლიანებული. მოვუარე კარგად, გამოჯანმრთელდა, ჩემი მაცი. იმ მძღოლმაც მოიკითხა რამდენჯერმე, გაიზარდა, გალამაზდა, ხო და აგერ შენს თვალწინ არის ჯანმრთელი და სალსალამათი მაცი, ოღონდ ნატყვიარი ემჩნევა მუცელზე. დაამთავრა ნათელამ ამბის მოყოლა. ნატყვიარზე ხელით მოვეფერე მაცის, გაიტრუნა, ესიამოვნა და უცბად მაცის ნატყვიარმა გამახსენა მთავრობის სახლის და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს შორის, ტროატუარზე, ვეებერთელა ჭადარი, რომელშიც გარჭობილია ჭურვი დღესაც, „გულში დაჭრილი ჭადარი“ ასე შევარქვე მე ამ ჭადარს. ასეა დაჭრილი გულში მთელი საქართველო. მოფერება და სიყვარული სჭირდება დაკოდილ გულს, მოვლა-პატრონობა, დიდი რუდუნება და ყველაფერი ერთად და იქნებ მოხდეს სასწაული და გადავარჩინოთ ჩვენივე ხელით დაჭრილი, სასიკვდილოდ გამეტიებული, ღვთისმშობლის ნაკურთხი და ნაჩუქარი დედა საქართველო.

მოფერება და ხელის გადასმა, ერთიმეორის სიყვარული, მიტევება თუ გადაგვარჩენს.

9.04.1994 წ.



ეთერ რომანოზის ასული რეხვინაშვილი – დაიბადა 1940 წ. ურავში. ამბროლაურის რაიონი. 1950 წელს გადასახლდნენ გუდაუთის რაიონის სოფ. დურიფში. დაამთავრა აჯაგჩიგრას 8-წლიანი სკოლა (1956 წ.), სოხუმის მე-12 საშუალო სკოლა (1958 წ.). სწავლის პერიოდში იყო გუდაუთის რაიონის ფრენბურთის ნაკრების კაპიტანი, შემდეგ სოხუმის „აფხაზეთის“ ქალთა ნაკრების წევრი. მუშაობდა სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში და იყო ამავე ფაბრიკის ფრენბურთის გუნდის კაპიტანი (1956-1963 წ.წ.). თბილისის მე-2 თამბაქოს ფაბრიკაში (1964-1965 წ.წ.).



სწავლობდა თბილისის კულინარიულ ტექნიკუმში (1966-1967 წ.წ.). მუშაობდა კვების მრეწველობის სამინისტროს წარმოების უფროსად (1967-1970 წ.წ.). სწავლობდა ვაჭრობის ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე (1970-1977 წ.წ.). მუშაობდა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 170 საზღვების გაერთიანების დირექტორად (1977-1978 წ.წ.). საქართველოს მინისტრთა საბჭოში ბუფეტების გაერთიანების დირექტორად (1978-1991 წ.წ.). 1994 წლიდან მუშაობს დელისის საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორად კომერციის დარგში. მიღებული აქვს მრავალი ჯოჯოღო.

ამასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იყო სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მასშედის სამართლიანობის დაცვის ასოციაციის მუდმივმოქმედი კომისიის წევრი; ქალთა გაერთიანება „თამარიონის“ ვიცე-პრეზიდენტი; კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების წევრი. სპორტისა და ფიზიკური კულტურის კომიტეტის მიერ მინიჭებული ჰქონდა მეორე სპორტული თანრიგი ფრენბურთში.